

# **შრომითი დავალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2019, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2019, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №7

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2019, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეზელი

### 1. შრომითი დავები ძალოვან სტრუქტურებში

#### 1.1) სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

ფორმალური რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება .....	4
სამსახურიდან გათავისუფლება	
შტატების შემცირების გამო .....	18
თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის თაობაზე ბრძანების კანონიერება .....	39

#### 1.2) მიუღებელი ხელფასის, დანაკლისის ანაზღაურება, სამსახურის სტაჟის გამოანგარიშება

მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა .....	70
სამხედრო ორკესტრის მუსიკოსად მუშაობის ფაქტის აღიარება .....	82
თანამდებობრივ სარგოს შორის სხვაობის გამო დანაკლისის ანაზღაურება .....	91

### 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გათავისუფლების კანონიერება

კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს მოთხოვნის საფუძველი .....	112
სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუცია .....	130
უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის უფლების დაცვა .....	146

### 3. სამინისტროდან მოხელის გათავისუფლების კანონიერება

შტატების შემცირების გამო .....	167
--------------------------------	-----

# 1. შრომითი დავები ქალოვან სტრუქტურებში

## 1.1) სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

### ფორმალური რაობრანიზაციის შედეგად დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-757-757(კ-18)

15 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

კ. ბ-ემ 2016 წლის 25 თებერვალს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ კ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166221 ბრძანების და კ. ბ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანების ბათილად ცნობა, კ. ბ-ის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენა და მისთვის თანამდებობაზე აღდგენის დღემდე ყოველთვიური 1130 ლარის მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) პატრულ-ინსპექტო-

რის თანამდებობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166221 ბრძანების საფუძველზე კ. ბ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს განკარგულებაში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანების საფუძველზე მოსარჩელე დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. კ. ბ-ის მოსაზრებით იგი უკანონოდ გაათავისუფლეს, რადგან ის საფუძველი, რომელიც მითითებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში მისი კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ რეალურად არ არსებობდა. კერძოდ, არ განხორციელებულა არც შტატების შემცირება და არც რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევდა შტატების შემცირება, შესაბამისად, მოსარჩელის მოსაზრებით მისი თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ ბრძანება უკანონოა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანება (მოსარჩელის ნაწილში) კ. ბ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166221 ბრძანება (მოსარჩელის ნაწილში) კ. ბ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ; კ. ბ-ე აღდგენილ იქნა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე; კ. ბ-ეს აუნაზღაურდა თანამდებობაზე აღდგენის დღემდე მიუღებელი თანამდებობრივი სარგო, რაც შეადგენს ყოველთვიურად 1130 ლარს. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან და-

კავშირებული ფაქტობრივი გარემოებები; თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს კ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების, იძულებით განაცდურის ანაზღაურებისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნის კანონიერების განსაზღვრა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლზე, რომელიც იცავს შრომის თავისუფლებას. დასახელებული ნორმით დაცულია არა მარტო უფლება, პირმა აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება, განახორციელოს, შეინარჩუნოს და დატოვოს ეს სამუშაო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389,26.10.2007). საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გარანტირებულია სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო საჯარო სამსახურში მიღების პირობები განსაზღვრულია კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე საჯარო სამსახურში მიღებისას, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს, დაცულია რაიმე სახის არამართლობიერი, კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში აგრეთვე, ყველას აქვს შრომის სამართლიანი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მათ შორის არ დაუშვას პირის შრომითი პირობების იმგვარად დადგენა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლობიერად შეზღუდავს.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული შრომის უფლება, მათ შორის გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა მიმართ ისეთი ზომების გამოყენება, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლობიერად შეზღუდავს და ასევე, ხელი არ შეუშალოს პირს საკუთარი პიროვნების განვითარებაში. ამას-

თან, პალატამ აღნიშნა, რომ შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. საქართველოს კანონმდებლობა შრომითი უფლების შეზღუდვის მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებს ადგენს და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ შესაბამის ფარგლებში, თავისი უფლებამოსილების კანონიერად, კეთილსინდისიერად განხორციელების გზით ანიჭებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კ. ბ-ე იყო საჯარო მოსამსახურე და მასზე ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. მოსარჩელის შრომის უფლებას არეგულირებს, ასევე „პოლიციის შესახებ“ კანონი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №216621 ბრძანებით კ. ბ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, ხოლო ამავე მინისტრის 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანებით, კ. ბ-ე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით, შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. ამდენად, მოსარჩელის თანამდებობრივ ცვლილებას საფუძველად დაედო სამსახურში განხორციელებული ცვლილებები – რეორგანიზაცია. პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი, ასევე, შეიძლება გახდეს შტატების შემცირება ან რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 41.1.„ბ“ მუხლი). იმავე რეგულაციას ითვალისწინებს სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი. ხოლო 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის სა-

ფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ამდენად, თავისთავად მხოლოდ რეორგანიზაცია არ შეიძლება მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდეს. მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შტატების შემცირება. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2015 წლის 1 ოქტომბრის №2164292 ბრძანებით ცვლილება შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში. ცვლილების შედეგად, ჩამოყალიბდა იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილება (ქუთაისი), სადაც გათვალისწინებულ იქნა პატრულ-ინსპექტორის 79 საშტატო ერთეული. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ცვლილებამდე არსებული საშტატო განრიგი ითვალისწინებდა იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) პატრულ-ინსპექტორის 79 საშტატო ერთეულს. შესაბამისად, საშტატო ერთეულის ცვლილებას რეორგანიზაციის შედეგად ადგილი არ ჰქონია.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება პატრულ-ინსპექტორთა ფუნქციონალური მოვალეობების ცვლილება. სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მითითება, რომლის თანახმად, საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის



დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება მოვალეობების შესრულებას, შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტიურობის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს: ა) მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ბ) ძირითად უფლებამოსილებათა წრე, ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლება ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება მდგომარეობას არ ცვლის; გ) მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; დ) ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება (სუს 08.12.2015. საქმე №ზს-449-442(კ-15)).

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ დანესებულების რეორგანიზაციის შედეგად მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა არ შემცირებულა, ამასთან არც ფუნქციური დანიშნულების ცვლილებას ჰქონია ადგილი. შესაბამისად, ამგვარი რეორგანიზაცია არ ქმნის მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საკმარის საფუძველს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტები არ არის დასაბუთებული, არ დგინდება გარემოება რაც შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ადეკვატური მიზეზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული სადავო აქტები გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ და გაუმართლებლად არღვევს მოსარჩელის კონსტიტუციურ უფლებას – შრომის თავისუფლებას. სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტის მსჯელობას მასზედ, რომ რეორგანიზაციის განხორციელება განსაზღვრავდა გამოცემული აქტების კანონიერებას. პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ფორმალურ რეორგანიზაციას და იგი არ იწვევდა ძირეული ფუნქციური მოვალეობებისა თუ საშტატო ერთეულის ცვლილებას. აღნიშნულ პირობებში განხორციელებული რეორგანიზაცია ვერ გახდება დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მსგავს რეგულაციას არ ადგენს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო აქტები გამოცემუ-

ლია კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. ვინაიდან სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი კ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, იგი კანონით დადგენილი წესით ექვემდებარება სამსახურში აღდგენას, კერძოდ: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე. პალატამ, ასევე, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ კ. ბ-ეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებით გაცდენილი თანამდებობრივი სარგო, მისი თანამდებობიდან განთავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით. დადგენილია, რომ კ. ბ-ის თანამდებობრივი სარგოს მუშაობისა და განთავისუფლების შემდგომ პერიოდში შეადგენდა 1130 ლარი. ამდენად, კ. ბ-ეს აუნაზღაურდა ყოველთვიურად 1130 ლარი, მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს სახით, სამსახურიდან განთავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მსჯელობისას არ არის დაკონკრეტებული შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელი ქმედება (ან უმოქმედობა) ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული თუ საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს ან რომელი კონკრეტული მტკიცებულებით დასტურდება გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისთვის კანონმდებლო-

ბით გათვალისწინებული დარღვევების არსებობა. შესაბამისად, გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რომელიც ცალსახად დაადასტურებს რომელი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე იქნა გამოცემული გასაჩივრებული აქტები, რაც საბოლოოდ მათი ბათილად ცნობის საფუძველი გახდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი. იმავე კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს ოთხი თვისა. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სამინისტროს მოსამსახურეს ორი თვის განმავლობაში უნარჩუნდება ხელფასი (ფულადი სარგო) ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით, შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კადრების განკარგულებაში აყვანა (გარდა პირადი პატაკისა) გულისხმობს ამ მუხლით გათვალისწინებული პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას და მათი საშტატო ერთეულის გაუქმებას/შემცირებას. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2164292 ბრძანების თანახმად გაუქმდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო, მასში გათვალისწინებული ყველა საშტატო ერთეულით, მათ შორის გაუქმდა მოპასუხის მიერ რეორგანიზაციამდე დაკავებული შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) პატრულ-ინსპექტორის საშტატო ერთეულიც. აღნიშნული რეორგანი-

ზაციის საფუძველზე 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166221 ბრძანებით კ. ბ-ე გათავისუფლდა თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში, ხოლო ოთხი თვის შემდეგ მოხდა მისი სამსახურიდან დათხოვნა საქართველოს შს მინისტრის 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანებით, შს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 37-ე მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით არ არსებობდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166221 ბრძანებისა და 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანების ბათილად ცნობის, შესაბამისად, მოსარჩელის სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების საფუძველები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166221 ბრძანებით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის მაიორი კ. რ. ბ-ე (პ/ნ ...) გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანებით, შსს კადრების განკარგულებაში მყოფი, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს ყოფილი ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის მაიორი კ. რ. ბ-ე (პ/ნ ...) დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში 2016 წლის 2 თებერვლიდან. ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამ-

ტიციების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული წესის 37-ე მუხლი (დათხოვნა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო) და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2164292 ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებით დამტკიცებულ თანდართულ საშტატო განრიგში. შედეგად, ჩამოყალიბდა იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილება (ქუთაისი), სადაც გათვალისწინებულ იქნა პატრულ-ინსპექტორის 79 საშტატო ერთეული. ცვლილებამდე არსებული რედაქცია ითვალისწინებდა იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) პატრულ-ინსპექტორის 79 საშტატო ერთეულს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 25 იანვრის №MIA 2 17 00199046 წერილის თანახმად, შსს იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) ყოფილი პატრულ-ინსპექტორის კ. ბ-ის თანამდებობრივი სარგო მუშაობისა და განთავისუფლების შემდგომ პერიოდში შეადგენდა 1130 ლარს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემული დავის გადწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს იმის დადგენა, რამდენად არსებობდა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული კ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებით დგინდება, რომ კ. ბ-ის შრომითი უფლებები დაირღვა მისი თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №216621 ბრძანებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 თებერვლის №255232 ბრძანებით. ამ უკანასკნელის გამოცემის საფუძველად მითითებულია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული წესის 37-ე მუხლი (დათხოვნა

კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო) და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტები. აღნიშნული ბრძანების გამოცემამდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №216621 ბრძანებით კ. ბ-ე გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით, შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კადრების განკარგულებაში აყვანა (გარდა პირადი პატაკისა) გულისხმობს ამ მუხლით გათვალისწინებული პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას და მათი საშტატო ერთეულის გაუქმებას/შემცირებას. ამდენად, პოლიციელის შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების თავისთავად მხოლოდ რეორგანიზაცია არ შეიძლება მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის საფუძველი გახდეს. მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შტატების შემცირება.

საკვსაცხო პალატა მიუთითებს, რომ პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნის წესს ადგენს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ პოლიციელი სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი სამსახურიდან შეიძლება დათხოვნილ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. საგულისხმოა, რომ 2014 წლის 1 იანვრამდე მოქმედი (27.07.1993წ. №318) „პოლიციის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის პირ-



ველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება მოსამსახურიდან დათხოვნილი ყოფილიყო რეორგანიზაციისას ან/და შტატების შემცირებისას. შესაბამისად, აღნიშნული დანაწესით მხოლოდ რეორგანიზაცია შესაძლებლად მიიჩნევა მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლებას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებული „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ იძლევა შტატების შემცირების არარსებობის პირობებში მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე კანონშეუსაბამოა მოსარჩელის შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ ბრძანება, რომლის გამოცემის საფუძველად მითითებულია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანების 37-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის მეორე დღიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხდება სამინისტროს პოლიციელის, სამხედრო მოსამსახურის, საჯარო მოხელისა და სამოქალაქო პირის დათხოვნა სამინისტროდან. სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს მოსამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. იმავე მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის მოსამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს. 97-ე მუხლის შესაბამისად, რეორგანიზაციისას საჯარო მოხელის გათავისუფლება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაციას თან შტატების შემცირებაც ახლავს. ამასთან, საჯარო მოსამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო მოსამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. ამასთან, საშტატო ერთეული გაუქმებულიად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საშტატო ერთეული

გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, რომ ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ (სუს. №ბს-1367-1325(კ-07) 10.03.09წ. გადანყვეტილება). აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად გამოცემული დათხოვნის შესახებ ბრძანებით უტყუარად უნდა დგინდებოდეს, რომ სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობა და ახლად შექმნილი თანამდებობისათვის გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს მოხელე ვეღარ აკმაყოფილებს.

ზემოაღნიშნული, ნორმების საფუძველზე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანაზე და შემდეგ მისი შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემაზე უფლებამოსილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრონო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში 2015 წლის 1 ოქტომბრის №2164292 ბრძანებით განხორციელებულ ცვლილებას თან სდევდა შტატების შემცირება. აღნიშნული ცვლილების შედეგად, ჩამოყალიბდა იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილება (ქუთაისი), სადაც გათვალისწინებულ იქნა პატრულ-ინსპექტორის 79 საშტატო ერთეული. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ იქნა, რომ ცვლილებამდე არსებული საშტატო განრიგი ითვალისწინებდა იმერეთის მთავარი სამმართველოს ... სამმართველოს ... განყოფილების (ქუთაისი) პატრულ-ინსპექტორის 79 საშტატო ერთეულს. შესაბამისად, საშტატო ერთეულის ოდენობისა და პატრულ-ინსპექტორთა ფუნქციონალური მოვალეობების ცვლილებას რეორგანიზაციის შედეგად ადგილი არ ჰქონია. ამდენად, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებაში „პოლიციის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითება ფორმალურია და აღნიშნული საფუძველით კ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება არ შეესაბამება ამავე ნორმით დადგენილ მოთხოვნებს. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ფორმალურ რეორგანიზაციას და იგი არ იწვევდა ძირეული ფუნქციური მოვალეობე-



ბისა თუ საშტატო ერთეულის ცვლილებას. აღნიშნულ პირობებში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლება, კადრების განკარგულებაში აყვანა და შემდეგ კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო სამსახურიდან დათხოვნა ეწინააღმდეგება სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ამდენად, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დამტკიცებულად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ არის წარმოდგენილი და აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, რომლის თანახმად, დანესებულების რეორგანიზაციის შედეგად მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა არ შემცირებულა, ამასთან არც ფუნქციური დანიშნულების ცვლილებას ჰქონია ადგილი. შესაბამისად, ამგვარი რეორგანიზაცია არ ქმნის მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საკმარის საფუძველს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტები არ არის დასაბუთებული, უტყუარად არ დასტურდება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებისა და დათხოვნის კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული სადავო აქტები გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ და გაუმართლებლად არღვევს მოსარჩელის კონსტიტუციით დაცულ შრომის თავისუფლებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომ სასამართლოს მიერ კ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სამინისტროდან დათხოვნის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტების უკანონოდ ცნობის გამო კ. ბ-ე კანონით დადგენილი წესით ექვემდებარება სამსახურში აღდგენას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთ

№ბს-464-464(კ-18)

15 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

დ. გ-მა 2017 წლის 13 თებერვალს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანებისა და „სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დ. გ-ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის

დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორის (სამოქალაქო პირი) თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მისი კადრების განკარგულებაში გადაყვანის დღიდან მის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით დ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 და „სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანებები და მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოცხადეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან კანონით დადგენილ ვადაში; დ. გ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად შრომა თავისუფალია. დასახელებული ნორმით დაცულია არა მარტო უფლება, პირმა აირჩიოს სამუშაო, არამედ უფლება, განახორციელოს, შეინარჩუნოს და დათმოს ეს სამუშაო. ადამიანის უფლებათა საყო-

ველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით აღიარებულია ყოველი ადამიანის შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით გარანტირებული შრომის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოფილ იყოს პიროვნების მიერ სამუშაოს საკუთარი სურვილისამებრ არჩევის უფლება, მათ შორის ვალდებულებას, არ მოხდეს პირისათვის მუშაობის უფლების უკანონოდ წართმევა. ამ განსაზღვრებით ხაზგასმულია, რომ პიროვნებისა და მისი ღირსების პატივისცემა გამოიხატება სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებაშიც, რაც ხელს უწყობს პიროვნების განვითარებასა და მის სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრებას.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შრომითი საჯარო-სამართლებრივი დავა. კერძოდ, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 1 თებერვლის №251615 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 ივნისის №1300040 ბრძანება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესი“ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეებზე, სპეციალური ნოდების მქონე და სამოქალაქო პირებზე, მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეებზე. მითითებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურე თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან და გადაიყვანება კადრების განკარგულებაში სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებისას (მათ შორის, შტატით განსაზღვრული თანამდებობის გაუქმებისას). ამავე მუხლის თანახმად, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის შემთხვევაში, მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ/განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან. თუ აღნიშნული ვადის ამოწურვისას მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად/განთავისუფლებულად აღნიშნული ვადის ამოწურვიდან მეორე დღეს. რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოსამსა-

ხურის

დათხოვნის/განთავისუფლების შემთხვევაში, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმავდროულად წარმოადგენს გაფრთხილებას სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის/განთავისუფლების შესახებ.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორი დ. გ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში 2016 წლის 30 დეკემბრიდან. პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ბრძანების მართლზომიერების შემოწმების მიზნით გამოკვლეულ უნდა ყოფილიყო ის წინაპირობა, რომელმაც გამოიწვია მოსარჩელის კადრების განკარგულებაში გადაყვანა.

როგორც საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის № MOD 2 15 00000138 ბრძანებით ირკვევა აღნიშნულით დამტკიცდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შტატი №8/1134-01 (დანართი №1), რომლის მიხედვით სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში გათვალისწინებული იყო სულ 1154 საშტატო ერთეული, მათ შორის, კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალურ სამმართველოში შედიოდა ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება, სამი ოპერატიული განყოფილება და ჰაუპტვახტი სულ რეგიონალურ სამმართველოში იყო 75 საშტატო ერთეული, ამათგან ინსპექტორის\* 6 საშტატო ერთეული გადანაწილებული იყო ოპერატიულ განყოფილებებში, რომელთაგან ... ინსპექტორის\* თანამდებობაზე დანიშნული იყო მოსარჩელე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის № MOD 4 16 00001147 ბრძანებით დგინდება, რომ კვლავ განისაზღვრა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილებაში ინსპექტორის\* 2 საშტატო ერთეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის კადრების განკარგულებაში გადაყვანის პერიოდში ადგილი არ ჰქონია შტატების შემცირებას. პალატა მოიხმობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებ-

ლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები. ამავე კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

ზემოთ მითითებული ნორმების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოყვანილ უზენაესი სასამართლოს განმარტებას, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განხორციელებული რეორგანიზაცია მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლების უპირობო საფუძველს მხოლოდ იმ შემთხვევაში ქმნის, თუ მის მიერ დაკავებული თანამდებობის შესაბამისი სამშტატო ერთეული უქმდება. სამშტატო ერთეული გაუქმებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ფუნქციური დატვირთვით ამგვარი თანამდებობა აღარ არსებობს და ახალი სამშტატო ერთეულით განისაზღვრება სხვა უფლება-მოვალეობები და ამგვარი სამშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. რაც შეეხება რეორგანიზაციის შემდეგ განხორციელებულ ცვლილებებს, პალატა ამ ნაწილშიც ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას. პალატამ მოიხმო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის № MOD 1 17 00000289 ბრძანება, რომლითაც ცვლილება იქნა შეტანილი „სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის № MOD 2 15 00000138 ბრძანებაში და განახლებული სახით ჩამოყალიბდა №1 დანართი, რომლის თანახმად, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შტატი №8/1134-01 შემადგენლობაში გათვალისწინებულ იქნა სულ 1137 თანამდებობა, გაუქმებული იქნა რეგიონული სამმართველოები, მათ შორის, გაუქმდა კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო და ჩამოყალიბდა ოპერატიული განყოფილებები, კერძოდ, შეიქმნა 7 ოპერატიული განყოფილება, რომელთაგან მოპასუხის განმარტებით, კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ნაცვლად შექმნილია ... განყოფილება, სულ 27 სამშტატო ერთეულით, მათ შორის, გათვალისწინებული იქნა ინსპექტორის 2 თანამდებობა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული თანამდებობების მხოლოდ რაოდენობრივად გაუქმება იმგვარად, რომ ახალ საშტატო ნუსხაში კვლავ არსებობდა იგივე თანამდებობა – ინსპექტორის საშტატო ერთეული, რომელიც იმავე იერარქიულ საფეხურზე იყო და მისთვის არ იყო გათვალისწინებული ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ, მოპასუხის წარმომადგენლის მიერ მითითებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ... განყოფილებაში კვლავ განისაზღვრა ინსპექტორის საშტატო ერთეული, რომელზეც შესაძლებელი იყო დანიშნულიყო სამოქალაქო პირი.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, რასაც აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, იმის გათვალისწინებით, რომ არ ყოფილა გამოკვლევული და შემდეგ დასაბუთებული თუ კონკრეტულად რა ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით იქნა მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს ისეთ ქმედებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმის გარემოებები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლევული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-



თლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს. ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ განიზიარა სააპელაციო საჩივარში მოყვანილი არგუმენტები და მიუთითა, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას, მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც გაბათილდებოდა სარჩელში მითითებული გარემოებები. აღნიშნული გარემოება კი ქმნიდა იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომ სახეზეა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესის არსებითად დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის №1147 ბრძანებით, ცვლილება შევიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის №138 ბრძანებაში და დანართი №1 ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით, რითაც გაუქმებულ იქნა ე. წ. „ვარსკვლავიანი“ თანამდებობები; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორი\* (სამშატო კატეგორია „კაპიტანი“) თავდაცვის სამხედრო პოლიციის კაპიტანი დ. მ. გ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში 2016 წლის 30 დეკემბრიდან.

კასატორის მითითებით, დ. გ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას და კადრების განკარგულებაში გადაყვანას საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლი-



ციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მოსამსახურე თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან და გადაიყვანება კადრების განკარგულებაში სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მიმდინარე რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისას (მათ შორის შტატით განსაზღვრული თანამდებობის გაუქმებისას); კასატორი მიუთითებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის №289 ბრძანებაზე, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის №138 ბრძანებაში და დანართი №1 ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით. მითითებული ბრძანებით მთლიანად გაუქმდა სამხედრო პოლიციის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო, რომელშიც შედიოდა ... განყოფილება და სამხედრო პოლიციის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოში ჩამოყალიბდა განყოფილებები. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №1394 ბრძანებით, კადრების განკარგულებაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორი\* (სამშტატო კატეგორია „კაპიტანი“) თავდაცვის სამხედრო პოლიციის კაპიტანი დ.მ. გ-ი გათავისუფლდა სამსახურიდან 2017 წლის პირველი მაისიდან.

კასატორი აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომლებზე“. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მკაფიოდ ასაბუთებს, რომ მოსამსახურე თავისუფლდება და კადრების განკარგულებაში გადაიყვანება სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისას, რომელიც განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, მათ შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ ბა-

თილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანება დ. გ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ. მითითებული ბრძანების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის №1147 ბრძანება, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის №138 ბრძანებაში და დანართი №1 ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით, რითაც გაუქმებულ იქნა ე.წ. „ვარსკვლავიანი“ თანამდებობები (ბრძანების დანართში ... განყოფილების გასწვრივ მითითებულია „დასახელება გამოირიცხოს“, რაც მის მთლიანად გაუქმებაზე მიუთითებს). კასატორის მოსაზრებით სასამართლომ გადაწყვეტილებაში არასწორად მიუთითა ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე და შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი შეფასებაც მისცა მას.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს დასაბუთებას, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის №1147 ბრძანებით კვლავ განისაზღვრა სამხედრო პოლიციის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ...განყოფილებაში ინსპექტორის\* 2 საშტატო ერთეული, რადგან ბრძანების დანართში ... განყოფილების გასწვრივ მითითებულია „დასახელება გამოირიცხოს“, რაც მის მთლიანად გაუქმებას ნიშნავს. ამასთან, სასამართლომ მთლიანად ცნო მითითებული ბრძანება ბათილად ისე, რომ არ შეუსწავლია ის გარემოება, რომ მითითებული ბრძანება ეხება სხვა პირებსაც და არა მხოლოდ დ. გ-ს.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ განხორციელებული რეორგანიზაცია/ოპტიმიზაციის შედეგად, გაუქმებულ იქნა ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს რეგიონალური სამმართველოები და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა ოპერატიული განყოფილებები. კასატორის მოსაზრებით გასათვალისწინებელი იყო, რომ ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს რეგიონალური სამმართველოების გაუქმების შედეგად, ოპტიმიზაცია შეეხო ე.წ. „ვარსკვლავიანი თანამდებობებს“. მათ შორის იმ თანამდებობას, რომელიც ეკავა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორს – დ. გ-ს.

რეორგანიზაციამდე სამხედრო პოლიციის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო მოიცავდა 75 საშტატო ერთეულს. ... განყოფილებაში (სადაც დასაქმებული იყო დ. გ-ი) არსე-

ბობდა 2 ინსპექტორის ე.წ. „ვარსკვლავიანი“ თანამდებობა. რეორგანიზაციის შემდგომ, გაუქმდა სამხედრო პოლიციის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო და ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ნიალში ჩამოყალიბდა ... განყოფილება, რომელიც წარმოადგენს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს სამართალმემკვიდრეს. ... განყოფილების საშტატო რიცხოვნობა შედგება 27 საშტატო ერთეულისაგან, მათ შორის, ინსპექტორის 1 საშტატო ერთეული, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო თანამდებობას და ინსპექტორის 1 საშტატო ერთეული, რომელიც წარმოადგენს სამხედრო თანამდებობას. ყურადღებას ვამახვილებთ ინსპექტორის თანამდებობაზე, ვინაიდან დ. გ-ი გათავისუფლებულია სწორედ ინსპექტორის თანამდებობიდან.

კასატორის მოსაზრებით საფუძველს მოკლებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი შეფასება და მსჯელობა, თითქოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული საქმის წარმოება ჩატარებულ იქნა არასრულყოფილად, საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელების გარეშე, სასამართლომ აღნიშნულის არგუმენტად მოიშველია ის გარემოება თითქოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შეფასებული მოსარჩელის პიროვნება, მისი დამსახურება და კვალიფიკაცია, ასევე ადმინისტრაციულმა ორგანომ რატომ მიანიჭა უპირატესობა სხვა კანდიდატებს რეორგანიზაციამდე არსებული ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნულ პირებთან შედარებით. სასამართლო მსჯელობა არის ზოგადი ხასიათის და ვერ უთითებს სამართლის ნორმას, თუ რატომ იყო ვალდებული ადმინისტრაციული ორგანო რეორგანიზაციის შედეგად საშტატო ერთეულის გაუქმების პირობებში ემსჯელა მოსარჩელის დამსახურებასა და მის კვალიფიკაციაზე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მაინც ვერ იქნებოდა მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება შტატის არ არსებობის გამო.

კასატორის მოსაზრებით საგულისხმოა, რომ რეორგანიზაციამდე დ. გ-ი, რომელიც დანიშნული იყო სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორის\* თანამდებობაზე, ახორციელებდა კანცელარიის სპეციალისტის უფლებამოსილებას, ხოლო რეორგანიზაციის შემდგომ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორის\* შტატი, რომელზეც

დანიშნული იყო დ. გ-ი, გაუქმებულ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის №1147 ბრძანებით, რაც გახდა მისი კადრების განკარგულებაში გაყვანის საფუძველი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 2 თებერვლის №37 ბრძანებით განისაზღვრა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ქვედანაყოფებისა და მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობები, რომელიც რეორგანიზაციამდე განსაზღვრული არ ყოფილა. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 2 თებერვლის №38 ბრძანებით განსაზღვრულია ინსპექტორის უფლებამოსილება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მითითება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული საქმის წარმოება ჩატარებულ იქნა არასრულყოფილად, საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელების გარეშე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შეფასებული მოსარჩელის პიროვნება, მისი დამსახურება და კვალიფიკაცია, საფუძველს მოკლებულია. ამდენად, სასამართლოს უნდა ემსჯელა და შემდეგ შეეფასებინა კონკრეტულად თუ რა სამუშაოს ასრულებდა მოსარჩელე, რაზედაც მოცემულ შემთხვევაში მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

კასატორი მიიჩნევს, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომც არ ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რეორგანიზაცია შტატების შემცირებით – საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიციური კადრით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება. შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა უკავშირდება მუშაკთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინისა და ა.შ. ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება. ამდენად კასატორი მიიჩნევს, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული ბრძანებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე აღძრული სარჩელით სადავოა დ. გ-ის შრომითი უფლების დარღვევის არსებობა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორის\* თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების საკითხი.

გასაჩივრებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების 34-ე პუნქტით საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ინსპექტორი\* დ. გ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში 2016 წლის 30 დეკემბრიდან. სადავო აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული ბრძანების გამოცემიდან 4 თვის შემდეგ – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის (სამსახურიდან გათავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით), საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოცემულ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანება „სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილების ყოფილი ინსპექტორი\* დ. გ-ი გათავისუფლდა სამსახურიდან 2017 წლის 1 მაისიდან.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო ბრძანებებით გათვალისწინებული საკითხი რეგულირდება „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლით – „კადრების განკარგულება“, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურე თავისუფლდება შესაბამისი თანამდებობიდან და გადაიყვანება კადრების განკარგულებაში შემდეგ შემთხვევებში: ა) სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებისას (მათ შორის, შტატით განსაზღვრული თანამდებობის გაუქმებისას); ბ) მინისტრის შესაბამისი გადანყვეტილებით სამსახურებრივი გადაადგილებისას შესაბამისი თანამდებობის შერჩევამდე; გ) ამ წესის მე-11 მუხლის 21-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამასთან, მე-2 პუნქტით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის შერჩევა მათ შორის შეიძლება გულისხმობდეს მოსამსახურის კვალიფიკაციის შემონახვას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შესაბამისად ან/და აღნიშნული კვალიფიკაციის შესაბამისი თანამდებობის არსებობის დადგენას. მოსამსახურეს შეეთავაზება თანამდებობა, თუ არსებობს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა. მე-3 პუნქტით კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. აღნიშნული ვადის ამონურვამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის შემთხვევაში, მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ/განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან. თუ აღნიშნუ-



ლი ვადის ამონურვისას მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად/განთავისუფლებულად აღნიშნული ვადის ამონურვიდან მეორე დღეს. მე-4 პუნქტით რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოსამსახურის დათხოვნის/განთავისუფლების შემთხვევაში, მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმავდროულად წარმოადგენს გაფრთხილებას სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის/განთავისუფლების შესახებ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინების იმ ნაწილის გაზიარების შესაძლებლობა, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ. სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის №1147 ბრძანება, რომლითაც „სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის №MOD 2 15 00000138 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და ბრძანების დანართი №1 (სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შტატი №8/1134-01) ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით. №1 დანართის თანახმად დგინდება, რომ განხორციელდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რეორგანიზაცია და აღნიშნულის საფუძველზე გასაჩივრებული 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანებით მოსარჩელის გარდა რეორგანიზაციას დაქვემდებარებული განყოფილებების სხვა თანამშრომლებიც იქნენ გადაყვანილი კადრების განკარგულებაში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განხორციელებული რეორგანიზაცია წარმოადგენდა „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების გამოცემის „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს, რომლის თანახმად, სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაცია წარმოადგენს

მოსამსახურის შესაბამისი თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის უპირობო საფუძველს, რადროსაც მოსამსახურეზე ვრცელდება მითითებული მუხლის მე-3 – მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურა, რაც მოსარჩელის მიმართ დასრულდა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2017 წლის 1 მაისის ბრძანების გამოცემით.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება „სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანების ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით ბათილად ცნობის ნაწილში და მიიჩნევს, რომ მითითებულ ნაწილში ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დამტკიცებულად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ არის წარმოდგენილი და აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, რამდენადაც, დასტურდება, რომ დ. გ-ის შრომითი უფლებები დაირღვა მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანებით.

სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი (სამსახურიდან განთავისუფლება შემცირებასთან დაკავშირებით), საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. აღნიშნული ვადის ამონურვამდე კადრების განკარგულებაში ყოფნის შემთხვევაში, მოსამსახურე უნდა დაინიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან დათხოვნილ/განთავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან. თუ აღნიშნული ვადის ამონურვისას მოსამსახურე არ დაინიშნება შესაბამის თანამდებობაზე, სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, მოსამსახურე ითვლება დათხოვნილად/განთავისუფლებულად აღნიშნული ვადის ამონურვიდან მეორე დღეს. საკასა-



ციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლა წარმოადგენს დათხოვნის/გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემის უპირობო საფუძველს, რამდენადაც სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. იმავე მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს. 97-ე მუხლის შესაბამისად, რეორგანიზაციისას საჯარო მოხელის გათავისუფლება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაციას თან შტატების შემცირებაც ახლავს. ამასთან, საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. ამასთან, საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, რომ ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ (სუს. №ბს-1367-1325(კ-07) 10.03.09წ. გადაწყვეტილება). აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად გამოცემული დათხოვნის/გათავისუფლების შესახებ ბრძანებით უტყუარად უნდა დგინდებოდეს, რომ სტრუქტურულ ქვედანაყოფში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობა და ახლად შექმნილი თანამდებობისათვის გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს მოხელე ვეღარ აკმაყოფილებს. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვე-

ტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (სზაკ-ის 96.1 და 96.2. მუხ.). ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულების შესრულება ემსახურება ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და რა მოტივებით უარყო წარმოების შედეგით დაინტერესებული მხარის არგუმენტები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის № MOD 2 15 00000138 ბრძანებით დამტკიცდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შტატი №8/1134-01 (დანართი №1), რომლის მიხედვით სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში გათვალისწინებული იყო სულ 1154 სამშატო ერთეული, მათ შორის, კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალურ სამმართველოში შედიოდა ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება, სამი ოპერატიული განყოფილება და ჰაუპტვახტი, სულ რეგიონალურ სამმართველოში იყო 75 სამშატო ერთეული, ამათგან ინსპექტორის\* 6 სამშატო ერთეული გადანაწილებული იყო ოპერატიულ განყოფილებებში, რომელთაგან ... განყოფილების ინსპექტორის\* თანამდებობაზე დანიშნული იყო დ. გ.-ი. საქართველოს თავ-

დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის № MOD 4 16 00001147 ბრძანებით კვლავ განისაზღვრა სამხედროს პოლიციის დეპარტამენტის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ... განყოფილებაში ინსპექტორის\* 2 საშტატო ერთეული და საბოლოოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის № MOD 1 17 00000289 ბრძანებით „სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის № MOD 2 15 00000138 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და №1 დანართის თანახმად, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შტატი №8/1134-01 შემადგენლობაში გათვალისწინებულ იქნა სულ 1137 თანამდებობა, გაუქმებულ იქნა რეგიონული სამმართველოები, მათ შორის, გაუქმდა კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველო და ჩამოყალიბდა ოპერატიული განყოფილებები, კერძოდ, შეიქმნა 7 ოპერატიული განყოფილება. სადავო არ არის, რომ კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ნაცვლად შექმნილია ... განყოფილება, სულ 27 საშტატო ერთეულით, მათ შორის, გათვალისწინებული იქნა ინსპექტორის 2 თანამდებობა.

ამასთან, არ დასტურდება კასატორის მიერ მითითებული გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის № 1147 ბრძანების დანართში ... განყოფილების გასწვრივ მითითებული „დასახელება გამოირიცხოს“ მის მთლიანად გაუქმებას ნიშნავს. რადგან, საბოლოოდ 2017 წლის 6 აპრილის №MOD 1 17 00000289 ბრძანებით „სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის №MOD 2 15 00000138 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით. რეორგანიზაციის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტით დ. გ-ის გათავისუფლებამდე (დათხოვნამდე) – 2017 წლის 1 მაისამდე მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა არ გაუქმებულა, კასატორი ადასტურებს, რომ რეორგანიზაციის შემდეგ გაუქმდა სამხედრო პოლიციის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო, რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ... განყოფილება. აღნიშნულ განყოფილებაში შემავალ თანამდებობათა დასახელების ნუსხაში ინსპექტორის თანამდებობის დასახელების მითითება ადასტურებს მითითებული დასახელების არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სადავო 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაცი-

ციული წარმოება ჩატარებულ იქნა არასრულყოფილად, საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელების გარეშე, არ არის შეფასებული და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ არის გადმოცემული დასაბუთება მოსარჩელის პიროვნების, დამსახურების, კვალიფიკაციის შესახებ, ასევე მოტივაცია, თუ რატომ მიენიჭათ უპირატესობა კადრების განკარგულებაში მყოფ სხვა კანდიდატებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და დ. გ-ი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამონურვამდე რატომ არ დაინიშნა შესაბამის თანამდებობაზე. ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო თავად დაედგინა მთელი რიგი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა და შეფასება გარკვეულ სიცხადეს შეიტანდა სადავო საკითხის გადაწყვეტაში. ისეთ პირობებში, როდესაც ინსპექტორის საშტატო ერთეული იმავე ფუნქციური დატვირთვით, რომელზეც დანიშნული იყო მოსარჩელე დ. გ-ი, კვლავ განისაზღვრა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ...განყოფილებაში, დამსაქმებელი, თუნდაც საშტატო ერთეულების შემცირების შემთხვევაში, ვალდებული იყო გამოეკვლია, შეეფასებინა და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გადმოეცა, მოტივაცია იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა მან, აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის დროს კონკრეტული პირისათვის უპირატესობის მინიჭებისას, რადგან აღნიშნული საშტატო ერთეული იდენტური ფუნქციური დატვირთვით რამდენიმე არსებობდა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ... განყოფილებაში, რის გამოც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რომ კონკრეტულად მოსარჩელე დ. გ-ის საშტატო ერთეული გაუქმდა და შესაბამისად, რეორგანიზაციამდე არსებულ ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნულ ყველა პირს, მათი კვალიფიკაციის და დამსახურებრივი დამსახურების გათვალისწინებით და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, თანაბარი უფლება ჰქონდა დანიშნულიყო რეორგანიზაციის შედეგად განსაზღვრულ ინსპექტორის თანამდებობაზე.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული

ციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება. იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ მის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია შტატების შემცირების პირობებში ადმინისტრაციისათვის მინიჭებული დისკრეციის საფუძველზე არ დასტურდება გასაჩივრებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანებით, რამდენადაც სადავო აქტი არ შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით დადგენილი წესით საკითხის განხილვის შედეგად ჩამოყალიბებულ დასაბუთებას. შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დ. გ-ის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული ინსპექტორის თანამდებობა იმავე სახელწოდებით ისევე არსებობს რეორგანიზაციის შემდგომ 2017 წლის 6 აპრილის №MOD 1 17 00000289 ბრძანებით დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში, რომელიც იმავე სახის უფლება-მოვალეობებით არის აღჭურვილი, რომელიც გათვალისწინებული იყო რეორგანიზაციამდე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურაში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დაძლია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით დაკისრებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 1 მაისის №MOD 9 17 00001394 ბრძანების კანონიერების მტკიცების ტვირთი. ამდენად, ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებული ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში შეესაბამება მოცემული საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობას და ამ ნაწილში არ არსებობს საკასაციო განაცხადის გაზიარების შესაძლებლობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-

დეს ნაწილობრივ. ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება. აღნიშნულ ნაწილში დ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს. ამასთან, დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა ლ ა ნ ე შ ი ბ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის თაობაზე და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. გ-ის სარჩელი „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №4866 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების  
ბანკარგულებაში აყვანის თაობაზე ბრძანების  
კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-847(2კ-18)

17 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 14 ივლისს მ. რ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 5 დეკემბრიდან იგი დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე და მუშაობდა 2017 წლის 4 იანვრამდე. მ. რ-ის მითითებით, მას ეკავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს .....ის განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობა.

მოსარჩელის აღნიშვნით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 ბრძანებით იგი აყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, ოთხი თვის განმავლობაში, ხოლო 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

მოსარჩელის მითითებით, რეორგანიზაციის შედეგად მისი გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, შესაბამისად, მოითხოვს მის მი-



მართ გამოცემული აქტების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას, იძულებით გაცდენილი სრული პერიოდის განმავლობაში.

ამდენად, მოსარჩელემ „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 ბრძანებისა და „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანების ბათილად ცნობა, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მ. რ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მ. რ-ის სასარგებლოდ მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან – 2017 წლის 4 იანვრიდან თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდისათვის, ყოველთვიურად ხელზე მისაღები ხელფასის – 1073,60 ლარის ოდენობით ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით მ. რ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით მ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 და „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებები და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში გამოცემა დაევალა. მ. რ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურა. დანართის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს შემადგენლობაში შევიდა შემდეგი განყოფილებები: საერთაშორისო პროექტების მართვის განყოფილება, კოორდინირების განყოფილება, საგზაო მოძრაობის ზედამხედველობის განყოფილება, რისკების მართვისა და ანალიზის განყოფილება, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, ...ის განყოფილება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს საშტატო განრიგი განისაზღვრა 54 საშტატო ერთეულით, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილება განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით: განყოფილების უფროსი (პოლიციის პოლკოვნიკი ს/მ) – 1, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ს/მ) – 5, უფროსი ინსპექტორი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 8, ინსპექტორი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 7.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 6 აპრილის ბრძანებით მ. რე მივლენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილებაში 2016 წლის 13 აპრილიდან 2016 წლის 13 ოქტომბრამდე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 2 ივნისის №1341801 ბრძანებით მ. რ-ეს შეუწყდა მივლინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილებაში და ამავე რიცხვიდან დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილებაში, უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 დეკემბრის №3258147 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებაში, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საშტატო განრიგი. გაუქმდა სა-

ორგანიზაციო სამმართველოში შემავალი სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება და ...ის განყოფილება და მათ ნაცვლად შეიქმნა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით: განყოფილების უფროსი (პოლიციის პოლკოვნიკი ს/მ) – 1, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ს/მ) – 5, უფროსი ინსპექტორი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 5, მთავარი სპეციალისტი – იურისკონსულტი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 3, ინსპექტორი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 5, წამყვანი სპეციალისტი – იურისკონსულტი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 2.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ს. რ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

„შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ყოფილი ...ის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ს. რ-ე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2017 წლის 25 მაისს გაცემული №123286ნ ცნობის მიხედვით, დგინდება, რომ მ. რ-ის ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენდა 1073,60 ლარს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. მითითებული კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო ნოდებების მქონე პირების საქმიანობაზე, ხოლო ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და მისი კადრების განკარგულებაში აყვანის საფუძველზე ამომწურავად განსაზღვრავს, კერძოდ, აღნიშნული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციელი საამიწოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით: ა) პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე; ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება; გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის დროს. აღნიშნული განმტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის შესაბამისად, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით: ა) პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე; ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება; გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის დროს.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს; ამავე პუნ-

ქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს; დასანიშნად წარუდგენს პრემიერ-მინისტრს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს, ხოლო „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ს. რ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში. „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ყოფილი ...ის განყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ს. რ-ე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი კანონი) 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ამავე კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმების ანალიზით ცხადი იყო, რომ მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შტატების შემცირება, ხოლო საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება მაშინ, როდესაც ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანების მე-10 მუხლზე (როგორც რეორგანიზაციამდე, ისე რეორგანიზაციის დროს მოქმედი), რომლითაც განსაზღვრულია საპატრულო პოლიციის საორგანიზაციო სამმართველოს კომპეტენცია. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად საორგანიზაციო სამმართველო არ გაუქმებულა, მეტიც მისი კომპეტენცია დარჩა უცვლელი (განიცადა მცირედი ცვლილება). გარდა ამისა, რეორგანიზაციამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული იყო ...ის განყოფილების უფროსი ინსპექტორის 8 საშტატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შემდგომ ახალი საშტატო ნუსხით სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება და ...ის განყოფილებები გაერთიანდა, რის შედეგადაც შეიქმნა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, სადაც უფროსი ინსპექტორის 5 საშტატო ერთეულია გათვალისწინებული.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია რეორგანიზაციის შემდგომ განხორციელდა შტატების შემცირება, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაასაბუთა, რომ განყოფილებების გაერთიანებით ასევე შეიცვალა ან გაიზარდა უფროსი ინსპექტორის ფუნქცია/მოვალეობები. საშტატო ერთეული კი გაუქმებულად ითვლება მაშინ, როდესაც ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. ბრძანების ამ კუთხით დასაბუთებით ყოველგვარი ეჭვი უნდა გამოირიცხოს იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციულ მიდგომას.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარ პირობებში, მოპასუხემ უნდა იკვლიოს, შესაძლებელი იყო თუ არა მ.რ.-ის დარჩენა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილების მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია



შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში მოქალაქის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით უნდა პასუხობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით, კერძოდ, 51-ე და 52-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მისი გამოცემა უნდა განხორციელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ სწორედ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 და „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებები და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილ ვადაში გამოცემა უნდა დავალებოდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან სადავო სა-



კითხის გადაწყვეტის გარეშე ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სადავო ბრძანებები და ადმინისტრაციულ ორგანოს გარემოებების გამოკვლევის და შეფასების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა დავალებოდა, ვერ დაკმაყოფილდებოდა მოსარჩელის მოთხოვნები სამსახურში აღდგენისა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. რ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინებით მ. რ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა მათზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილებაში, რომელიც შეიქმნა ორი განყოფილების გაერთიანების საფუძველზე, საშტატო ერთეულების რიცხოვნობა განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით და შემცირება შეეხო უფროსი ინსპექტორის 3 საშტატო ერთეულს. შესაბამისად, დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ სახეზე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოსარჩელის დათხოვნის ფორმალური მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, თუმცა არსებულ პირობებში სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და მიიჩნია, რომ არსებობდა საკითხის ხელახალი გან-

ხილვის მიზნით საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ კვლავაც დაადასტურა სასამართლოს მიერ არაერთგზის წარმოდგენილი პოზიცია იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო, შტატების შემცირების შემთხვევაში, თანამშრომელთა შერჩევის პროცესში სარგებლობს საკმაოდ ფართო დისკრეციით და უფლებამოსილია განსაზღვროს იმ პირთა წრე, ვინც განაგრძობს დარჩენილ საშტატო ერთეულებზე საქმიანობას. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო კონტროლი აღნიშნული კატეგორიის დავების განხილვის პროცესში არის შეზღუდული, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს სასამართლოს უფლებამოსილებას შეამოწმოს, თუ რამდენად მართებულია ის ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძველები, რომელზე დაყრდნობითაც მიღებულია გადაწყვეტილება თანამშრომლის დათხოვნის თაობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებების პარალელურად, კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის პროცესში, სააპელაციო სასამართლომ არსებითად მიიჩნია და ყურადღება მიაპყრო მოსარჩელის მიერ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის სახელზე დაწერილ პატაკს, რომელშიც მოსარჩელე აცხადებდა თანხმობას დანიშნულიყო ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე; სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პატაკი რეგისტრირებულია 2017 წლის 10 იანვარს, დაცულია მოსარჩელის პირად საქმეში და მისივე განმარტებით, წარმოადგენს თანხმობას უწყების მხრიდან განხორციელებულ შეთავაზებაზე.

სააპელაციო სასამართლომ კანონიერი ნდობის პრინციპს არ დაუკავშირა მხოლოდ აქტის არსებობის ფაქტი და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების მიმართ ჩნდება ნდობის პრინციპი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ტიპის აღმჭურველი ღონისძიება უნდა იყოს განჭვრეტადი და შეძლებისდაგვარად პროგნოზირებადი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ კანონიერი ნდობის არსებობის დადასტურება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვდა იმ ფაქტობრივი თუ სამართლებრივი ღონისძიებების შეფასების საჭიროებას, რაც იძლევა საკმარის საფუძველს დადგინდეს, რომ პირს გააჩნდა ლეგიტიმური საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა არსებული განვითარება შესაძლებელს გახდიდა კონკრეტული შედეგის დადგომას. წერილობითი შეთავაზების არარსებო-

ბის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს რეგისტრირებული და საქმეში დაცული პატაკი, რომელიც შეიცავს კონკრეტული პოზიციის დასახელებას, აძლევდა მყარ საფუძველს გაეზიარებინა მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ თანხმობა მისი მხრიდან გაცხადებული იყო კონკრეტული შეთავაზების საფუძველზე.

არსებულ პირობებში, სააპელაციო სასამართლომ არ გამოორიცხა კანონიერი ნდობის პრინციპის გამოყენების დაშვების შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ წარმოეშვა ნდობა, რომ შტატების შემცირების მიუხედავად მოხდებოდა მისი სამსახურით უზრუნველყოფა და რაც ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ კონკრეტული საშტატო ერთეულების შემცირების მიუხედავად, არსებობდა საშტატო რესურსი, რაც უზრუნველყოფდა სხვა საშტატო ერთეულზე მოსარჩელის დასაქმების შესაძლებლობას. ყოველივე აღნიშნულზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერი ნდობისა და საქმის ობიექტურად გადანყვევების პრინციპები პირველი ინსტანციის სასამართლოს აძლევდა გასაჩივრებული გადანყვევებების მიღების შესაძლებლობას, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადანყვევებების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გამოორიცხა მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობა და ყურადღება კვლავ მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო განხილვის საფუძველზე დადასტურებული იყო რეორგანიზაციის ფაქტი, რასაც თან ახლდა შტატების შემცირება, რაც, თავის მხრივ, გამოორიცხავდა შესაძლებლობას არსებითად გადანყვევტილიყო საკითხი მოსარჩელის იმავე საშტატო ერთეულზე აღდგენის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვევტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მ.რ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვევტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყურადღება გაამახვილა გასაჩივრებული განჩინების მოტივაციაზე,

აგრეთვე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებების მოშველიებაზე და აღნიშნა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტებით. კასატორი მიუთითებს, რომ პოლიციელის სამსახურიდან გათავისუფლების წესი რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესით“. შესაბამისად, ვინაიდან მ. რ-ე მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და იყო პოლიციელი, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე მიღებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“ და არა გადაწყვეტილებაში მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები.

კასატორის მითითებით, მ. რ-ის კადრების განკარგულებაში აყვანისას (2017 წლის იანვარი) მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ შესაბამისი ნორმები წარმოადგენდა მხარეთა შორის არსებული სამსახურებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმატიულ აქტს. აღნიშნული წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი განსაზღვრავს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სამსახურის გავლის წესსა და პირობებს. ამავე წესის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტი აყალიბებს კადრების განკარგულებაში აყვანის დეფინიციას, კერძოდ, კადრების განკარგულებაში აყვანა (გარდა პირადი პატაკისა) გულისხმობს ამ მუხლით გათვალისწინებული პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას და მათი საშტატო ერთეულის გაუქმებას/შემცირებას. კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნორმა ამომწურავად განსაზღვრავს პირის კადრების განკარგულებაში აყვანის ორ წინაპირობას: 1. პირი უნდა განთავისუფლდეს თანამდებობიდან და 2. მათი საშტატო ერთეული უნდა გაუქმდეს ან შემცირდეს. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უდავო ფაქტობ-

რივ გარემოებადაა მიჩნეული, რომ პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მ. რ-ე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილების უფროს ინსპექტორად. ამასთან, რეორგანიზაციის განხორციელებამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილებაში იყო უფროსი ინსპექტორის 8 საშტატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შემდგომ, ახლად შექმნილ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილებაში გათვალისწინებული იყო უფროსი ინსპექტორის 5 საშტატო ერთეული. საქმის მასალებით კი დასტურდება, რომ რეორგანიზაციის საფუძველზე გაერთიანებულ განყოფილებებში ჯამში დასაქმებული იყო 28 ადამიანი, რეორგანიზაციის შემდგომ კი ახლად შექმნილ განყოფილებაში დასაქმდა 21 ადამიანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ მ. რ-ის კადრებში აყვანა განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით – შემცირდა საშტატო ერთეული, რომელზედაც იგი დასაქმებული იყო, რის გამოც მოსარჩელე განთავისუფლდა თანამდებობიდან. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

რაც შეეხება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 37-ე მუხლის თანახმად, კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის მეორე დღიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხდება სამინისტროს პოლიციელის, სამხედრო მოსამსახურის, საჯარო მოხელისა და სამოქალაქო პირის დათხოვნა სამინისტროდან. შესაბამისად, არ არსებობს არც აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორი – მ. რ-ე მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო წოდებების მქონე პირების საქმიანობაზე. ამავე კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით: ა) პირადი განცხადების (პა-

ტაკის) საფუძველზე; ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება; გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის დროს.

კასატორი აგრეთვე მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რედაქციის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ამავ კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

ზემოხსენებულ ნორმათა საფუძველზე, კასატორი განმარტავს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაცია მხოლოდ მაშინ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, როდესაც მას შედეგად მოჰყვება შტატებით გათვალისწინებული თანამდებობათა შემცირება. საჯარო სამსახურში თანამდებობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი რეორგანიზაციის შედეგად შესაბამისი საშტატო ერთეულის (თანამდებობის) შემცირებაა, რაც თავის მხრივ, გულისხმობს აღნიშნული საშტატო ერთეულის ფუნქციურად გაუქმებას ან რეორგანიზაციის შედეგად, ასეთი საშტატო ერთეულის დაკავებისთვის განსხვავებული კრიტერიუმების დაწესებას, რომელსაც შესაბამისი პირი ვეღარ აკმაყოფილებს.

კასატორის მითითებით, საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველო არ გაუქმებულა, მეტიც, მისი კომპეტენცია უცვლელიც კი დარჩა. რეორგანიზაციის შემდგომი ახალი საშტატო ნუსხით სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება და ...ის განყოფილებები გაერთიანდა, რის შედეგადაც შეიქმნა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, სადაც უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე, რომელზეც დასაქმებული იყო მ. რ-ე, 5 საშტატო ერთეულია გათვალისწინებული, ამასთან, უფლება-მოვალეობები და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებელი სხვა კრიტერიუმები დარჩა უცვლელი.

შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ ასეთ პირობებში უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება რეორგანიზაციის ფაქტის შესახებ. ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა საფუძველი მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ უფროსი ინსპექტო-



რის 3 საშტატო ერთეულით შემცირების გამო კონკრეტულად მ. რ-ე უნდა გათავისუფლებულიყო დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ მოცემულ შემთხვევაში „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ №25192 ბრძანებისა და „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ №1040710 ბრძანებების კანონიერების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

კასატორი აღნიშნავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მართალია, განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელსაც მოჰყვა უფროსი ინსპექტორის თანამდებობის 3 საშტატო ერთეულით შემცირება, თუმცა მას შედეგად არ მოჰყოლია უფროსი ინსპექტორის ფუნქცია-მოვალეობების ცვლილება. მიუხედავად ამისა, მონინალმდეგე მხარისა და საქმეში მონაწილე მესამე პირის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აპელანტის თანამდებობიდან კანონიერად გათავისუფლების ფაქტს, რაც სწორედ მისი მტკიცების ტვირთის სფეროში შედიოდა.

კასატორი მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც ამომწურავად ჩამოთვლის სამინისტროს მოსამსახურის დათხოვნის/თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებს, კერძოდ, „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო.

კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ ფორმალურად გამოიყენა რეორგანიზაციის საფუძველი მ. რ-ის დაკავებული თანამდებობიდან გასათავისუფლებლად, სინამდვილეში კი ადგილი ჰქონდა მის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.



კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს სწორედ ადმინისტრაციული წარმოებისას აკისრებს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების კვლევისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოწინააღმდეგე მხარისა და მესამე პირის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც მ. რ-ის თანამდებობიდან კანონიერად გათავისუფლების ფაქტს დაადასტურებდა, ამის საპირისპიროდ უტყუარად დასტურდება მოსარჩელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი, საკითხის შემდგომი გამოკვლევის მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს და ეწინააღმდეგება სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს. კასატორი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია დიდი ხნის განმავლობაში პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაურკვევლად დატოვება, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს კანონით დაცულ მის უფლებებსა და ინტერესებს და აბრკოლებს მათ აღდგენას.

კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლომ მიერ 2017 წლის 19 ოქტომბერს №ბს-329-327(2კ-17) საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებულ მნიშვნელოვან განმარტებაზე, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მითითებული მიუხედავად რეგლამენტირებული სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადავო საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემა, არ წარმოად-

გენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დისკრეტციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაწყვიტა დავა და მ. რ-ის მოთხოვნის ფარგლებში შეემონებინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერება.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლთა დანაწესებზე და აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის მიზნებისთვის არც თბილისის საქალაქო სასამართლოს და შემდგომში არც სააპელაციო სასამართლოს არ უსარგებლიათ ზემოაღნიშნული ნორმებით მინიჭებული უფლებამოსილებით და არ მოუპოვებიათ არანაირი მტკიცებულებები.

კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტობრივი გარემოებების მოპოვების, დადგენის თუ გამოკვლევის საჭიროება, რისი შესაძლებლობაც შესაძლოა აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდეს. აღნიშნულ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო სასამართლოს მიერ მათი სწორი სამართლებრივი შეფასება და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმება, რისი უფლებამოსილებაც უპირობოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება – სასამართლომ თავად უნდა შეამოწმოს რამდენად მართებულია ის ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლები, რომელზე დაყრდნობითაც მიღებულია გადაწყვეტილება თანამშრომლის დათხოვნის თაობაზე. კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის საკმარისი ფაქტობრი-

ვი გარემოებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლეოდა სადავო აქტების სამართლებრივი საფუძველების გასარკვევად.

კასატორი მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს უსაფუძვლო სამართლებრივ შეფასებას საქმის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნების თაობაზე. გასაჩივრებულ განჩინებაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის არათანმიმდევრულობაზე და უსაფუძვლობაზე მიანიშნებს მისი მითითება იმის შესახებ, რომ არსებობდა საშტატო რესურსი, რაც უზრუნველყოფდა სხვა საშტატო ერთეულზე მოსარჩელის დასაქმების შესაძლებლობას. კასატორი აღნიშნავს, რომ მითითებული მსჯელობაც ცხადყოფს, რომ არსებობდა მისი თანამდებობაზე აღდგენის წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მ.რ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მ.რ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ.რ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურა. დანართის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს შემადგენ-

ლობაში შევიდა შემდეგი განყოფილებები: საერთაშორისო პროექტების მართვის განყოფილება, კოორდინირების განყოფილება, საგზაო მოძრაობის ზედამხედველობის განყოფილება, რისკების მართვისა და ანალიზის განყოფილება, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, ...ის განყოფილება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს საშტატო განრიგი განისაზღვრა 54 საშტატო ერთეულით, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილება განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით: განყოფილების უფროსი (პოლიციის პოლკოვნიკი ს/მ) – 1, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ს/მ) – 5, უფროსი ინსპექტორი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 8, ინსპექტორი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 7.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 6 აპრილის ბრძანებით მ. რე მივლენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილებაში 2016 წლის 13 აპრილიდან 2016 წლის 13 ოქტომბრამდე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 2 ივნისის №1341801 ბრძანებით მ. რ-ეს შეუწყდა მივლენება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილებაში და ამავე რიცხვიდან დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილებაში, უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 დეკემბრის №3258147 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებაში, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საშტატო განრიგი. გაუქმდა საორგანიზაციო სამმართველოში შემაჯავლი სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება და ...ის განყოფილება და მათ ნაცვლად შეიქმნა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, რომელიც განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით: განყოფილების უფროსი (პოლიციის პოლკოვნიკი ს/მ) – 1, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (პოლიციის ვიცეპოლკოვნიკი ს/მ) – 5, უფროსი

ინსპექტორი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 5, მთავარი სპეციალისტი – იურისკონსულტი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 3, ინსპექტორი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 5, წამყვანი სპეციალისტი – იურისკონსულტი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 2.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 იანვრის №25192 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ს. რ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

„შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ყოფილი ...ის განყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ს. რ-ე დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2017 წლის 25 მაისს გაცემული №1232865 ცნობის მიხედვით, დგინდება, რომ მ. რ-ის ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენდა 1073,60 ლარს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო აქტის 30-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი), კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის (ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი) პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (სა-



ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, ნახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს ევროპის სოცია-



ლური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულიება იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულიება იღებენ უზრუნველყონ, მუშაკის რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულიებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულოობის ხარისხს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ზემოხსენებულ უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და, შესაბამისად, სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თა-

ნამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის კონკრეტულ სამსახურებთან მიმართებით მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები.

მითითებული კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში დასაქმებული, სპეციალური და სამხედრო ნოდებების მქონე პირების საქმიანობაზე“, ხოლო ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებსა და სამინისტროს მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

დადგენილია, რომ მ. რ-ე, წოდებით პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მუშაობდა საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც პოლიციელის თანამდებობიდან

განთავისუფლებისა და მისი კადრების განკარგულებაში აყვანის საფუძვლებს ამომწურავად განსაზღვრავს, კერძოდ, აღნიშნული კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით: ა) პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე; ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება; გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის დროს. აღნიშნული განმტკიცებულია აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის შესაბამისად, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით: ა) პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე; ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება; გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის დროს.

ამასთან, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი აწესრიგებს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს. ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სხვა თანამშრომლებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს; დასანიშნად წარუდგენს პრემიერ-მინისტრს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს, ხოლო „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. ამავე კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველ-

ზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები.

ამასთან, ამავე კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დადგენილ პრაქტიკაზე, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 8 ივლისის №ბს-449-442(კ-15) გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება, წარმოადგენს რეორგანიზაციას. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებული ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ, იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციის თან სდევდეს შტატების შემცირება, ხოლო საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როდესაც ფუნქციური დატვირთვით ამგვარი შტატი აღარ არსებობს. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც შტატები სრულად არ უქმდება, უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ერთსა და იმავე პოზიციაზე დანიშნული რომელი მოხელე გაათავისუფლოს და რომე-

ლი დატოვოს თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის №ბს-166-165(კ-16) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიკაციური კადრის დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება. შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა, უკავშირდება მუშაკთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. „საჯარო სამსახურის“ კანონის დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია საჯარო დაწესებულება საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს მისი მხრიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით მოხელის სამსახურიდან დაუსაბუთებელი ან სათანადო დასაბუთების არმქონე გადაწყვეტილების საფუძველზე გათავისუფლების დაშვებას. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ არის აბსოლუტური და იგი სწორედ აღნიშნული კანონმდებლობითვე დაშვებულ შეზღუდვას ექვემდებარება, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტილებიდან მის მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება სათანადო, ადეკვატურ და ობიექტურ გარემოებებს დააფუძნოს და ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებებით გაამყაროს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლებაც, მით უფრო შტატების შემცირების საფუძველით, რა დროსაც კონკრეტულ პირთა თანამდებობაზე შენარჩუნება საუკეთესოს შერჩევის პრინციპით უნდა წარიმართოს, ობიექტურ, ცხად და გამჭვირვალე პროცესსა და კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც შედეგობრივად განთავისუფლებულ პირს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სრულად აღიქვას და გაიაზროს მისი განთავისუფლების, ასევე, მასთან შედარებით

სხვა კონკრეტულ პირთათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, შტატების დამტკიცების თაობაზე საქართველოს შს მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანების №2 დანართის შესაბამისად, საორგანიზაციო სამმართველოში შემავალი ...ის განყოფილება დაკომპლექტებული იყო 21 საშტატო ერთეულით. განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული; განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – 5; უფროსი ინსპექტორი – 8 და ინსპექტორი – 7 საშტატო ერთეული.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 დეკემბრის №3258147 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 30 დეკემბრის №1549 ბრძანებაში; გაუქმდა საორგანიზაციო სამმართველოში შემავალი სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება და ...ის განყოფილება და მათ ნაცვლად შეიქმნა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, რომელიც ჯამში განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით: განყოფილების უფროსი (პოლიციის პოლკოვნიკი ს/მ) – 1, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ს/მ) – 5, უფროსი ინსპექტორი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 5, მთავარი სპეციალისტი – იურისკონსულტი (პოლიციის მაიორი ს/მ) – 3, ინსპექტორი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 5, წამყვანი სპეციალისტი – იურისკონსულტი (პოლიციის კაპიტანი ს/მ) – 2.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მასზედ, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილებაში, რომელიც შეიქმნა ორი განყოფილების გაერთიანების საფუძველზე, საშტატო ერთეულების რიცხოვნობა განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით და შემცირება შეეხო უფროსი ინსპექტორის 3 საშტატო ერთეულს. შესაბამისად, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სახეზეა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოსარჩელის დათხოვნის ფორმალური მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, თუმცა არსებულ პირობებში საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ არსებობს საკითხის ხელახალი განხილვის მიზნით საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართალია, რეორგანიზაციის შემდგომ განხორციელდა შტატების შემცირება, თუმცა ად-



მინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაასაბუთა, რომ განყოფილებების გაერთიანებით ასევე შეიცვალა ან გაიზარდა უფროსი ინსპექტორის ფუნქცია/მოვალეობები. როგორც უკვე აღინიშნა, საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. ბრძანების ამ კუთხით დასაბუთებით ყოველგვარი ეჭვი უნდა გამოირიცხოს იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დისკრიმინაციულ მიდგომას. ამდენად, ამგვარ პირობებში, მოპასუხემ უნდა იკვლიოს შესაძლებელი იყო თუ არა მ. რ-ის დარჩენა სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილების მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობის გაზიარების პირობებში დამატებით განმარტავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი“, ასევე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტები არ შეიცავს იმგვარ დანაწესს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში შემავალ, მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში რეორგანიზაციას დაქვემდებარებულ კონკრეტულ განყოფილებაში დასაქმებული ყველა საჯარო მოხელის კადრების განკარგულებაში გადაყვანის აუცილებლობას განამტკიცებდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პოლიციელი სამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. ამავე შინაარსის დანაწესს ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავ-



ლის წესის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, განაპირობებს არა შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული ყველა საჯარო მოხელის, კერძოდ, რეალურად გასათავისუფლებელი და ამავდროულად, თანამდებობაზე დასაბრუნებელი საჯარო მოხელეების კადრების განკარგულებაში აყვანასა და შემდგომში შემცირებული ოდენობის შტატებზე მხოლოდ რამდენიმე მათგანის ხელახალ დანიშვნას, არამედ მხოლოდ იმ პირთა კადრების განკარგულებაში გადაყვანას, რომლებიც უშუალოდ უნდა დაქვემდებარონ გათავისუფლებას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სადავო ბრძანებით რეორგანიზაცია შეეხო არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს ...ის განყოფილების ყველა თანამშრომელს, არამედ უშუალოდ მ. რ-ეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამსახურიდან დათხოვნა წარმოადგენს კადრების განკარგულებაში გადაყვანის თანმდევ შედეგს. შესაბამისად, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს უდგენდა რეორგანიზაციის მოტივით არა შესაბამის განყოფილებაში დასაქმებული ყველა საჯარო მოხელის გათავისუფლების საჭიროებას, არამედ მხოლოდ იმ მოხელეთა, რომლებიც უნდა დაქვემდებარებოდნენ კადრების განკარგულებაში გადაყვანას, დაუსაბუთებელია როგორც თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გადაწყვიტეს განსახილველი საკითხი, შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სადავო საკითხის გადაუწყვეტლად მართებულად ცნეს ბათილად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული როგორც „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ“ 2017

წლის 4 იანვრის №25192, ასევე, „შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ 2017 წლის 2 მაისის №1040710 ბრძანებები და მოპასუხე სამინისტროს დაავალეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მ. რ-ის მიმართ კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. რ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ბ ა :**

1. მ. რ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**1.2) მიუღებელი ხელფასის, დანაკლისის ანაზღაურება,  
სამსახურის სტაჟის გამოანგარიშება**

**მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე  
მომხმონის სანდაზმულობა**

**გადანყვიტილება  
საქართველოს სახელით**

№ბზ-719-719(კ-18)

13 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 25 აპრილს გ. ნ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, 2007 წლის 12 იანვარს მასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 4 წლის ვადით ხელშეკრულება დაიდო, კერძოდ, 2011 წლის 12 იანვრამდე. მითითებული ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გაგრძელებულიყო ხელშეკრულების ვადა.

2011 წლის 3 მაისის ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა სამსახურიდან, თუმცა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც ასრულებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას. მოსარჩელემ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2011 წლის 12 იანვრიდან ამავე წლის 18 მარტამდე ფაქტობრივად იმსახურა, მაგრამ მის მიმართ არ გაცემულა ხელფასი, რომლის ოდენობაც 1875 ლარია.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გ. ნ-ის სასარგებლოდ, მიუღებელი ხელფასის სახით, 1875 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით გ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 12 იანვარს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. ნ-ის შორის დაიდო ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში აღინიშნა, რომ „სამხედრო მოსამსახურის“ მიერ სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს. ამავე ხელშეკრულების 3.4 პუნქტში მიეთითა, რომ ხელშეკრულების 3.1 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გაგრძელებულიყო წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი იყო ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის 2009 წლის 2 ივლისის №3 ბრძანებით, სერჟანტი გ. ფ. ნ-ე დაინიშნა გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის დაცვის ასეულის ... .. მსროლელად 2009 წლის 1 ივლისიდან და ამავე ბრძანებით გათავისუფლდა გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისის“ სასწავლო სფეროს ჯავშანსატანკო კურსის (ახალციხე) დაცვისა და უზრუნველყოფის ჯგუფის სატრანსპორტო ჯგუფის ... თანამდებობიდან.

საქმის მასალებში წარმოდგენილია ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის 14.01.2011წ. №1/9 §3; 21.01.2011წ. №1/14 §2; 25.01.2011წ. №1/16 §1; 27.01.2011წ. №1/18 §2; 02.02.2011წ. №1/22 §2; 04.02.2011წ. №1/24 §3; 08.02.2011წ. №1/26 §2; 10.02.2011წ. №1/28 §1; 11.02.2011წ. №1/29 §2; 14.02.2011წ. №1/30 §2; 16.02.2011წ. №1/32 §1; 18.02.2011წ. №1/35 §1; 22.02.2011წ. №1/37 §2; 28.02.2011წ. №1/41 §1; 02.03.2011წ. №1/43 §1; 04.03.2011წ. №1/45 §2; 04.03.2011წ. №1/45 §4; 08.03.2011წ. №1/47 §2; 10.03.2011წ. №1/49 §1; 11.03.2011წ. №1/50 §2; 14.03.2011წ. №1/51 §1 ბრძანებები, რომლებითაც, სერჟანტი გ. ნ-ის შემადგენლობით, დგებოდა სადღეღამისო განაწესი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2011 წლის 16 მარტის №1/3-1804 წერილით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოვალეობის შემსრულებელს ეცნობა, რომ საკონტრაქ-

ტო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთაგან კონტრაქტის გაგრძელების მსურველთა შერჩევის კომისიის 2011 წლის 9 მარტის №1 ოქმის საფუძველზე, კონტრაქტის შემდგომ გაგრძელებაზე უარი ეთქვა სერჟანტ გ. ფ. ნ-ეს.

ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის 2011 წლის 18 მარტის №54 §2 ბრძანებით სერჟანტი – გ. ფ. ნ-ე კონტრაქტის გაგრძელების მსურველთა შერჩევის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2011 წლის 18 მარტიდან მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან (საფინანსო კმაყოფიდან კონტრაქტის ვადის გასვლის გამო მოხსნილია 2011 წლის 12 იანვრიდან) და ამავე თარიღიდან წარდგენილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნაზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 3 მაისის №1140 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის დაცვის ასეულის ... .. მსროლელი, სერჟანტი გ. ფ. ნ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2011 წლის 18 მარტიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (მხარეთა შეთანხმების საფუძველზე) თანახმად, კონტრაქტის ვადის გასვლის გამო.

სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტისათვის უპირველესად უნდა შეფასებულიყო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, იგი წარმოადგენდა კერძო სამართლებრივ თუ საჯარო სამართლებრივ – ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა შეფასებულიყო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხი.

კერძო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა გამიჯვნასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც „საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განიმარტა, რომ ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანხვედრი, საერთო მიზნისკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის, როგორც

საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, ანუ მას შეუძლია დადოს როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

განსახილველ შემთხვევაში გ. ნ-ე ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ ფუნქციას – გადიოდა სამხედრო სამსახურს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, ანესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება სამხედრო მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ამდენად, კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას მიაკუთვნებს ფორმასავალდებულო ხელშეკრულებებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება. დადგენილია, რომ გ. ნ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2011 წლის 12 იანვრის შემდეგ ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ დადებულა, აღნიშნულის თანახმად კი, ზეპირი ფორმით იგი ვერ დაიდებოდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ მითითებული ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის ბრძანებები, რომელიც ადგენდა მოსარჩელის მონაწილეობით სადღეღამისო განაწესს და რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან დადებული 2007 წლის 11 იანვრის ხელშეკრულების ვადა 2011 წლის 11 იანვრის შემდგომ ითვლებოდა გაგრძელებულად 2011 წლის 18 მარტამდე. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებისთვის სავალდებულო იყო მისი წერილობითი ფორმით დადება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ხელშეკრულების არარსებობის პირობებში კი მხარეებს არ წარმოემდებათ უფლებები და მოვალეობები. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ ეკისრებოდა რაიმე სახის ვალდებულება გ. ნ-ის მიმართ 2011 წლის 11 იანვრიდან, ისევე როგორც, გ. ნ-ე არ იყო ვალდებული მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე მითითებული თარიღის შემდგომ.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ხელშეკრულების არსებობის პირობებშიც კი სასარჩელო მოთხოვნა მოკლებული იქნებოდა სამართლებრივ საფუძველს, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო მესამე ნაწილის შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ 2011 წლის იანვრიდან მარტამდე პერიოდზე შრომის ანაზღაურების მოპასუხეზე დაკისრების მოთხოვნით მომართა სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილს – 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით გ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება; გ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. ნ-ის სასარგებლოდ დარიცხული 1781,82 ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 2018 წლის 6 მარტის სასამართლო სხდომაზე გ. ნ-ემ დააზუსტა მოთხოვნა და მიუღებელი ხელფასის სახით 1946,34 ლარის (დარიცხული) ანაზღაურება მოითხოვა, საიდანაც ხელზე გასაცემი იყო 1557.09 ლარი.



სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის – პოლკოვნიკ ლ. გ-ის 2016 წლის 27 დეკემბრის №MOD 6 16 01225339 წერილზე, რომლის თანახმად, გ. ნ-ეზე მითითებულ პერიოდში (2011 წლის 12 იანვრიდან – 18 მარტამდე) დარიცხული და ხელზე გასაცემი თანხა შეადგენდა ჯამში 1946.34 ლარს (დარიცხული), ხოლო ხელზე გასაცემი – 1557,09 ლარს. ამ წერილის შინაარსიდან დგინდება ვალდებულების აღიარებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო გ. ნ-ის წინაშე აღიარებდა დავალიანების არსებობას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნით, ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ვალდებულების არსებობის აღიარების საკითხზე სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა ნყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მხარეების მიერ სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ გ. ნ-ემ მისი 4-წლიანი კონტრაქტის ამონურვისთვის სრულად ხელფასი მიიღო. გ. ნ-ისთვის, როგორც ხელშეკრულების მხარისთვის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენდა საკონტრაქტო 4-წლიანი ვადის განმავლობაში არსებული ხელფასი, ხოლო, როდესაც 4-წლიანი საკონტრაქტო ვადა გავიდა, მან ფაქტობრივად გააგრძელა მუშაობა და დამატებით, 2011 წლის 12 იანვრიდან ამავე წლის 18 მარტამდე, მოუწია სამსახურობრივი მოვალეობის შესრულება, სანამ არ მოხდებოდა მისი სამსახურიდან გათავისუფლება. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ამ პერიოდში გამოცემული ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის ბრძანებები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელე გ. ნ-ის შემადგენლობით დგებოდა სადღეღამისო განაწესი, მიუხედავად კონტრაქტის ვადის გასვლისა. ამრიგად, გ. ნ-ისთვის მოპასუხეს მხრიდან ძირითად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა 4-წლიან საკონტრაქტო პერიოდში გათვალისწინებული ხელფასი, ხოლო აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ ნამსახურებმა პერიოდმა წარმოშვა ხელფასის გაცემის დამატებითი ვალდებულება.

სააპელაციო პალატის მითითებით, ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის პოლკოვნიკი ლ. გ-ის № MOD 6 16 01225339 წერილით ირკვევა, რომ 2011 წლის 12 იანვრიდან ამავე წლის 18

მარტამდე დარიცხული და ხელზე გასაცემი თანხა შეადგენდა ჯამში 1946.34 ლარს (დარიცხული), (საიდანაც 10.97 ლარი არის წოდებრივი სარგო, 302.71 ლარი – თანამდებობრივი სარგო, 31.37 ლარი – პროცენტული დანამატი, 1436.77 ლარი – დანამატი, 164.52 ლარი – კვების დანამატი), ხოლო ხელზე გასაცემი – 1557,09 ლარს. სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას 2018 წლის 6 მარტის სასამართლო სხდომაზე გ. ნ-ემ დაადასტურა, რომ იმყოფებოდა საქვებზე კმაყოფაზე, შესაბამისად, № MOD 6 16 01225339 წერილში მითითებული კვების კომპენსაცია – 164,52 ლარის ნაწილში სარჩელი უსაფუძვლო იყო. ამდენად, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 1946,34 ლარიდან სარჩელი საფუძლიანი იყო მხოლოდ 1781.82 (1946,34 – 164,52 = 1781.82) ლარის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა გ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. ნ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 4 წლით, რომელიც დასრულდა 2011 წლის 12 იანვარს. 2011 წლის 3 მაისის თავდაცვის მინისტრის №1140 ბრძანებით გ. ნ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან 2011 წლის 18 მარტიდან კონტრაქტის ვადის გასვლის გამო. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება, შესაბამისად, გ. ნ-ე 2011 წლის 12 იანვრიდან მოიხსნა საფინანსო კმაყოფიდან, თუმცა აღნიშნული ფაქტი მოსარჩელის მხრიდან სადავო არ გამხდარა.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, როცა ის აპელირებს 2016 წლის 27 დეკემბრის №225339 წერილზე, რომლის თანახმად, გ. ნ-ის სახელზე 2011 წლის 12 იანვრიდან ამავე წლის 18 მარტამდე დარიცხული და ხელზე ასაღები თანხებია გაშიფრული. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წერილით ადმინისტრაციული ორგანო აღიარებდა დავალიანების არსებობას და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე. კასატორის აღნიშვნით, მითითებული წერილის საფუძ-

ველი იყო იურიდიული დეპარტამენტის წერილი და იგი არ შეიცავდა დავალიანების გადახდის დაპირებას. ჯავშანსატანკო სწავლების ცენტრს არ აქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ამდენად, მის მიერ გაცემული ცნობა ვერ იქნებოდა თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ვალის აღიარება. მითითებული ცნობა ადასტურებდა არა თავდაცვის სამინისტროს მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს, რომ ემსახურა 2011 წლის 12 იანვრიდან 2011 წლის 18 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2007 წლის 12 იანვარს გ. ნ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 4 წელი. ამავე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნა დათქმა მასზედ, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელი იყო ამავე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება.

დადგენილია, რომ 2011 წლის 12 იანვრის შემდგომ ამავე წლის 14 მარტამდე გამოცემულია ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის ბრძანებები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელე გ. ნ-ის შემადგენლობით დგებოდა სადღელამისო განაწესი.

ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის 2011 წლის 18 მარტის №54 ბრძანებით, კონტრაქტის გაგრძელების მსურველთა შერჩევის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გ. ნ-ე მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან 2011 წლის 18 მარტიდან (საფინანსო კმაყოფიდან კონტრაქტის ვადის გასვლის გამო მოხსნილია 2011 წლის 12 იანვრიდან) და წარდგენილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნაზე 2011 წლის 18 მარტიდან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 3 მაისის №1140 ბრძანებით გ. ნ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2011 წლის 18 მარტიდან, კონტრაქტის ვადის გასვლის გამო. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის სახით მოითხოვა 2011 წლის 12 იანვრიდან ამავე წლის 18 მარტამდე სახელფასო ანაზღაურების გაცემა.

მოცემულ შემთხვევაში განსახილველი დავის საგანს მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება წარმოადგენს, რომელსაც მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძველით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2007 წლის 12 იანვარს დადებული ხელშეკრულების ვადა, მართალია, ამოიწურა 2011 წლის 12 იანვარს, თუმცა იგი გაგრძელდა ამავე წლის 18 მარტამდე. აღნიშნულის დამადასტურებელიც ადგენდა მოსარჩელის მონაწილეობით სადღეღამისო განაწესს. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის კანონისმიერი საფუძვლების დადგენა, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნა – ადმინისტრაციული ორგანოსათვის თანხის დაკისრების თაობაზე, გამომდინარეობს თუ არა სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება სამხედრო მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რო-

მელიც მოიცავს სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიულ) და კადრის სამხედრო სამსახურებს, აგრეთვე სარეზერვო სამხედრო სამსახურს სამხედრო შეკრებებისა და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტისათვის უპირველესად უნდა შეფასდეს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, იგი წარმოადგენს კერძო სამართლებრივ თუ საჯარო სამართლებრივ – ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხი, ვინაიდან განსხვავებულია ასეთ ხელშეკრულებათა დადებისა და ვადის გაგრძელების წესი და ფორმა, ასევე, მათი სამართლებრივი ბუნება.

საკასაციო სასამართლო კერძო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა გამიჯვნასთან დაკავშირებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე, სადაც განიმარტა, რომ ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანმხვედრი, საერთო მიზნისკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის, როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, ანუ მას შეუძლია დადოს როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. სწორედ ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნას ემსახურება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ლეგალურ დეფინიციაში მოცემული ელემენტი: „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“. ხელშეკრულების მიზანი უნდა განვსაზღვროთ მისი შინაარსიდან გამომდინარე, არსებითია იმის დადგენა, თუ როგორია საქმის ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება (სუს 2014 წლის 17 ივნისის №623-598(კ-13) განჩინება).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ნ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2007 წლის 12 იანვარს დადებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გ. ნ-ე ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსი-

ლებას, ხოლო მასთან დადებული ხელშეკრულება ატარებდა საჯარო უფლებამოსილების მიღწევის მიზანს, რის გამოც მისი დადების, შეწყვეტის, გაგრძელების ან შესრულების კანონიერება უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, დაუშვებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება. აღნიშნული კრიტერიუმი ერთ-ერთ განმასხვავებელ ფაქტორად გვევლინება კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებასთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ გ. ნ-ესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2011 წლის 12 იანვრის შემდეგ ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ დადებულა, ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, ზეპირი ფორმით იგი ვერ დაიდებოდა. ამდენად, გ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ არის საფუძვლიანი, ვინაიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა არის წერილობითი და მისი გაგრძელებაც ასევე უნდა გაფორმდეს წერილობით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლოს აზრით, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მისი გაგრძელების თაობაზე. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებისთვის სავალდებულოა მისი წერილობითი ფორმით დადება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ხელშეკრულების არარსებობის პირობებში კი გ. ნ-ეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას ჯავშანსატანკო სასწავლო ცენტრის მეთაურის 2016 წლის 27 დეკემბრის №MOD 6 16 01 №225339 წერილზე, რომლის თანახმად, გ. ნ-ეზე 2011 წლის 12 იანვრიდან ამავე წლის 19 მარტამდე დარიცხული და ხელზე ასაღები თანხებია გაშიფრული. საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო გ. ნ-ის წინაშე აღიარებდა დავალიანების არსებობას.

ვალის აღიარების საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის ვალის აღიარებად მიჩნევისთვის, მასში პირ-

დაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე. ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და აანაზღაურებს დავალიანებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლად უთითებს მოთხოვნის არსებობის აღიარებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, არ დასტურდება ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა და მისი თავიდან დაწყება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები გ. ნ-ის სააპელაციო საჩივარზე – ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ნ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივა-



რი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. ნ-ის სარჩელი და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამხედრო ორკანსტრის მუსიკოსად მუშაობის ფაქტის აღიარება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სასხელით**

№ბს-624-624(კ-18)

22 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** შრომითი სტაჟის დადგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. კ-ამ 2017 წლის 27 ივლისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა აღიარებულ იქნეს, რომ მ. კ-ა 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის ... თანამდებობაზე.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის ... თანამდებობაზე, ქალაქ ..., ხოლო 1996 წლის 23 აპრილიდან მუშაობა განაგრძო სოხუმის რეგიონალურ სამხედრო პროკურატურაში. მოსარჩელე განმარტავდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შე-

მადგენლობის დეპარტამენტისადმი 2017 წლის 13 ივნისის განცხადების საფუძველზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტიდან გაეგზავნა 1996 წლის 31 ოქტომბრის №722 ბრძანება, რომლის თანახმად, იგი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის ... თანამდებობაზე დაინიშნა 1996 წლის 1 ივნისიდან. აღნიშნული ბრძანება არ შეესაბამება სინამდვილეს, რამეთუ ზემოაღნიშნულ პერიოდში იგი უკვე მუშაობდა სოხუმის რეგიონალურ სამხედრო პროკურატურაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის დეპარტამენტისადმი 2017 წლის 20 ივლისის განმეორებითი განცხადების საფუძველზე, მოსარჩელეს 2017 წლის 24 ივლისის წერილით ეცნობა, რომ 1995-1996 წლების პერიოდში მისი ნამსახურების შესახებ ბრძანებები არ იძებნება. შესაბამისად, მ. კ-ამ სასამართლოს მეშვეობით მოითხოვა, რომ აღიარებულ იქნეს 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე მისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის ... თანამდებობაზე მუშაობის ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა, რომ მ. კ-ა 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ... აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის 1996 წლის 23 აპრილის №42 ბრძანების თანახმად, სოხუმის რეგიონალური სამხედრო პროკურორის წარდგინებისა და პირადი განცხადების საფუძველზე, მ. შ. კ-ა დაინიშნა სოხუმის რეგიონალური სამხედრო პროკურორის ... თანამდებობაზე; საქმეს ასევე ერთვის საქართველოს პროკურატურის ყოფილი მუშაკის, იუსტიციის ... – მ. შ. კ-ას ნამსახურობის ნუსხა, რომლის თანახმად, მ. კ-ამ პროკურატურაში შრომითი საქმიანობა დაიწყო 1996 წელს, კერძოდ, 1996 წლის 23 აპრილის №42 ბრძანების საფუძველზე იგი დაინიშნა სო-

ხუმის რეგიონალური სამხედრო პროკურორის ..., 2001 წლის 30 აპრილის №361-პ ბრძანების საფუძველზე მ. კ-ა დაინიშნა სოხუმის რეგიონალური სამხედრო პროკურორის ..., ხოლო 2004 წლის 7 ივლისის №1-პწ91 ბრძანების საფუძველზე, გადაყვანილ იქნა კადრების განყოფილებაში.

საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 8 ოქტომბრის №438 წ54 ბრძანებით დგინდება, რომ კადრების განკარგულებაში მყოფი მ. კ-ა დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან, რეორგანიზაციისა და კადრების შემცირების გამო.

საქმეზე მონმის სახით დაკითხული პირის ა. კ-ას ჩვენების თანახმად, 1995 წლის სექტემბრის თვეში, მაშინ, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადა ახლადჩამოყალიბებული იყო და საჭიროებდა კადრს, მან როგორც ბრიგადის ხელმძღვანელმა, მ. კ-ა პირადი მიმართვის საფუძველზე მიიღო ... თანამდებობაზე, სერჟანტად. მონმემ განმარტა, რომ მ. კ-ას მოვალეობებში შედიოდა სამეურნეო ნაწილის მართვა და საბუთების რეგისტრაცია. მონმემ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელე ზემოაღნიშნულ ბრიგადაში მუშაობდა დაახლოებით 5-6 თვე, ამის შემდგომ კი, ჩამოყალიბდა სამხედრო პროკურატურა და მ. კ-ა გადავიდა ... . ა. კ-ას განმარტებით, მ. კ-ას ... დანიშვნის შესახებ საბუთების არარსებობა გამონკვეულია იმ დროს არსებული არასტაბილური მდგომარეობით (სავარაუდოა, რომ დოკუმენტები დაიკარგა). საქმეზე მონმის სახით დაკითხული დ. ს-ის ჩვენების თანახმად, იგი მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ნაწილის სამსახურის ... . მისი განმარტებით, მ. კ-ამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელ ბრიგადაში ... მუშაობა დაიწყო 1995 წლის ოქტომბრიდან, ცოტა ხნის შემდეგ, კი გადავიდა სამხედრო პროკურატურაში სამუშაოდ.

პალატამ აღნიშნა, რომ საქმეზე წარმოდგენილია პროკურატურის მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება 1996 წლის 23 აპრილიდან 2004 წლის 8 ოქტომბრამდე მ. კ-ას პროკურატურაში მუშაობის ფაქტი. ამასთანავე, საქმეზე მონმეების სახით დაკითხული პირები ადასტურებენ მ. კ-ას თავდაცვის სამინისტროში მუშაობის ფაქტს პროკურატურაში მუშაობის დაწყებამდე (1996 წლის 23 აპრილამდე). მეორე მხრივ, საქმეს ერთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული, 1996 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებული №722 ბრძანებიდან ამონაწერი, რომლის თანახმად, ზ/რიგითი კ-ა მ. შ. ჩაირიცხა შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა მე-2 მოტომსროლელი ბრიგა-

დის სამხედრო ... 1996 წლის 1 ივნისიდან. ასევე წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1997 წლის 8 იანვრის №1 ბრძანებიდან ამონაწერი, რომლის თანახმად, მ. კ-ა ხელშეკრულებით, 2 წლის ვადით დაინიშნა მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ..., ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1997 წლის 8 აპრილის №120 ბრძანების თანახმად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 30 დეკემბრის №024 ბრძანებით „სახმელეთო ჯარებში საორგანიზაციო ღონისძიებების ჩატარების შესახებ“ მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის ახალ შტატებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ზ/რიგითი მ. კ-ა დაინიშნა მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ... .

ამდენად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მითითებული მტკიცებულებები სხვადასხვა მონაცემებს შეიცავს მოსარჩელის თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდთან მიმართებაში, რაც იძლევა იმ ვარაუდის დაშვების საფუძველს, რომ ზემოთ მითითებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დოკუმენტებში დაფიქსირებული თარიღები არ არის ზუსტი და შეიცავს ცდომილებებს. პალატის მოსაზრებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1996 წლის 31 ოქტომბრის №722 ბრძანებისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებით უნდა მოხდეს. სააპელაციო პალატამ თავდაცვის სამინისტროდან გამოითხოვა 1996 წლის 31 ოქტომბრის №722, 1997 წლის 8 იანვრის და 1997 წლის 8 აპრილის №120 ბრძანებების დედნები, ასევე გამოითხოვა ინფორმაცია 1996-1997 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში გავლისას, მ. კ-ას მიერ მიღებული შრომითი ანაზღაურების შესახებ, თუმცა შესაბამისი ინფორმაცია მოპასუხეს არ წარმოუდგენია. პალატის მოსაზრებით, არსებულ ვითარებაში მოპასუხე მხარემ სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, რომ მოსარჩელე სადავო პერიოდში არ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში. მხარემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ გააბათილა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ 1996 წლის 23 აპრილიდან 2004 წლის 8 ოქტომბრამდე მ. კ-ას პროკურატურაში უწყვეტად მუშაობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის მოსაზრებით მართებულია საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებებიდან და პროკურატურის მიერ გაცემული დოკუმენტებიდან გამომდინარე, დადგენილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული მ. კ-ას თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდი 1996 წლის 23 აპრილამდე (პროკურატურაში მუშაობის დაწყებამდე), შესაბამისად, არსებობდა საფუძველი იმ გარე-

მოების დადგენისათვის, რომ მ. კ-ა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-... მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ... მუშაობდა 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ (გარდა მონმეებისა) არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მ. კ-ას 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-... მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ... მუშაობის ფაქტს. სასამართლომ მხოლოდ მონმეების ჩვენების საფუძველზე მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება და არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქმეში წარმოდგენილი ბრძანება, რომლის თანახმად, დგინდება, რომ მოსარჩელე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში განვეულ იქნა და ჩაირიცხა 1996 წლის 1 ივნისიდან (მტკიცებულება 31.10.1996წ. №722 ბრძანება).

კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე 1997 წლის 8 აპრილის №120 ბრძანება, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელე განხორციელებული საორგანიზაციო ღონისძიებების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა იმავე ბრიგადაში სამხედრო ... . მოსარჩელეს არც ერთი ზემოთ მითითებული ბრძანება სადავოდ არ გაუხდია, ამასთან აღნიშნული ბრძანებები ადასტურებს მოსარჩელის სამხედრო სტატუსის არსებობის ფაქტს 1996 წლის 1 ივნისიდან, ხოლო სასამართლომ მოსარჩელეს დაუდგინა ფაქტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის თაობაზე 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე და არც კი გამოიკვლია ამ პერიოდში მოსარჩელე სამხედრო პირი იყო თუ სამოქალაქო პირი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი გასაჩივრებული განჩინება დაეფუძნებინა მონმეთა ჩვენებებზე, მაშინ როდესაც საქმეში არსებობდა სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც სადავოდ არ გამხდარა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის – შრომითი სტაჟის დადგენა, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. კ-ას შორის 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის – მ. კ-ას მე-... მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ... მუშაობის ფაქტის აღიარება.

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 31 ოქტომბრის №722 ბრძანების თანახმად, ზ/რიგითი კ-ა მ. შ. ჩაირიცხა შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა მე-... მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ... 1996 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პროკურატურის ყოფილი მუშაკის, იუსტიციის ... მ. შ. კ-ას ნამსახურობის ნუსხის შესაბამისად დგინდება, რომ მ. კ-ამ პროკურატურაში შრომითი საქმიანობა დაიწყო 1996 წელს, კერძოდ: 1996 წლის 23 აპრილის №42 ბრძანების საფუძველზე იგი დაინიშნა სოხუმის რეგიონალური სამხედრო პროკურორის ..., 2001 წლის 30 აპრილის №361-პ ბრძანების საფუძველზე მ. კ-ა დაინიშნა სოხუმის რეგიონალური სამხედრო პროკურორის ..., ხოლო, 2004 წლის 7 ივლისის №1-პ391 ბრძანების საფუძველზე გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში; საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 8 ოქტომბრის №438 §54 ბრძანებით, კადრების განკარგულებაში მყოფი მ. კ-ა დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან, რეორგანიზაციასა და კადრების შემცირებასთან დაკავშირებით.

სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველად დაედო მოწმეთა ჩვენება, რომ საქმეზე მოწმეების სახით დაკითხულმა პირებმა დაადასტურეს მ. კ-ას თავდაცვის სამინისტროში მუშაობის ფაქტი პროკურატურაში მუშაობის დაწყებამდე (1996 წლის 23 აპრილამდე). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარემ სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, რომ მოსარჩელე სადავო პერიოდში არ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში, რადგან საქმეზე დართული მტკიცებულებები სხვადასხვა მონაცემებს შეიცავს მოსარჩელის თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდთან მიმართებაში, რაც იძლევა იმ ვარაუდის დაშვების საფუძველს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დოკუმენტებში დაფიქსირებული თარიღები არ არის ზუსტი და შეიცავს ცდომილებებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხეზე მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოების

უარყოფის მტკიცების ტვირთის დაკისრება არ შეესაბამება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მ. კ-ამ 2017 წლის 13 ივნისს მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტს მისი განვევისა და თანამდებობრივი გადაადგილებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. დეპარტამენტის 2017 წლის 22 ივნისის წერილით ეცნობა, რომ განცხადებაში მითითებულ პერიოდში (31.10.1995წ. – 23.04.1996წ.) სამსახურის გავლის დამადასტურებელი სხვა ინფორმაცია გენერალური შტაბის ადმინისტრაციულ დეპარტამენტში, J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტში, სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობებში არ იძებნება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურის დადგენის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს მ. კ-ას მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიმართვის დროს მოქმედი დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის №1022 – II საქართველოს კანონის 121-ე მუხლით დადგენილი იყო სამსახურის სტაჟის გამაზიარებლობა, რომლის თანახმად, სამსახურის სტაჟი შეიცავს: ა) სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში მოხელის, დამხმარე ან შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე სამსახურის პერიოდს; გ) სწავლის პერიოდს, თუ პირი გაგზავნილი იყო სასწავლებლად დაწესებულების მიერ ან უკვე ჰქონდა სამსახურის სტაჟი. იმავე კანონის 123-ე მუხლის (04.12.2009. №2222 რედაქცია) სამსახურის სტაჟი დასტურდება დაწესებულების მიერ სათანადოდ გაფორმებული საბუთით. აღნიშნულ ნორმამდე მოქმედი 123-ე მუხლის რედაქციით სამსახურის სტაჟი დასტურდება შრომის წიგნაკში ჩანერით, აგრეთვე დაწესებულების მიერ სათანადოდ გაფორმებული სხვა საბუთებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის XIII თავი ითვალისწინებდა სამსახურის ნუსხას და შრომის წიგნაკს. 124-ე მუხლის პირველი ნაწილით მოხელეზე დგებოდა სამსახურობის ნუსხა, რომელშიც მითითებული მონაცემების ჩამონათვალში ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა სამსახურის გავლის, აგრეთვე სამსახურიდან განთავისუფლების ფორმულირების მითითებას კანონის მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის დამონებებით. 125-ე მუხლის მე-2 პუნქტით მოხელის ახალ სამსახურში მისვლისას სხვა დაწესებულებაში წარმო-



ებული ნამსახურობის ნუსხა იგზავნებოდა სამსახურის ახალ ადგილზე.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლეოდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რადგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობა დგინდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1996 წლის 31 ოქტომბრის №722 ბრძანებით მ. კ-ას შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო ... 1996 წლის 1 ივნისიდან დანიშვნის შესახებ. კანონით დადგენილი წესით გაფორმებული საბუთი, რომელიც უტყუარად დაადასტურებს მ. კ-ას 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 მოტომსროლელი ბრიგადის ... თანამდებობაზე მუშაობის ფაქტს, არ არის წარმოდგენილი. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის, მთავარი სამხედრო პროკურორის მიმართ 1996 წლის 23 აპრილის წარდგინება გამორიცხავს მოწმეთა ჩვენებით დადგენილი გარემოების არსებობას სადავო პერიოდში მ. კ-ას ... მუშაობის შესახებ, რამდენადაც წარდგინების თანახმად, სადავო პერიოდში 1995 წლის ოქტომბრიდან 1996 წლის აპრილამდე მ. კ-ას საზოგადოებრივ სანქსიებზე მუშაობდა სოხუმის რეგიონალურ სამხედრო პროკურატურაში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. კ-ას შორის 1995 წლის 31 ოქტომბრიდან 1996 წლის 23 აპრილამდე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ არ გამომდინარეობს საქმეში დაცული მტკიცებულებებიდან, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები არ იძლეოდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მოსარჩელემ ვერ შეასრულა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება და ვერ წარმოადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულება მის მიერ მითითებული გარემოების უტყუარად არსებობის შესახებ. ამდენად, სადავო ფაქტის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაარღვია, როგორც პროცესუალური ასევე მოცემული საკითხის მარეგულირებელი მატერიალური კანონმდებლობა, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოად-

გენს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და მ. კ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. კ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**თანამდებობრივ სარგოს შორის სხვაობის გამო  
დანაკლისის ანაზღაურება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1554(2კ-18)

28 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამონმა შ. შ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძვლებს არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 27 იანვარს შ. შ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2016 წლის 17 თებერვალს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე შ. შ-ის წარმომადგენელმა გაზარდა სარჩელი და მოითხოვა: 1. შ. შ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის ბრძანების ბათილად ცნობა და თანამდებობაზე აღდგენა; 2. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სადავო ბრძანებით გათავისუფლებამდე არსებულ თანამდებობრივ სარგოსა და ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შემდგომ არსებულ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის შესაბამისად მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების დაკისრება; 3. მოსარჩელე შ. შ-ის დისკრიმინაციის მსხვერპლად აღიარება; 4. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკის-

რება 10000 ლარის ოდენობით; 5. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანი ანაზღაურების დაკისრება 30000 ლარის ოდენობით; 6. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ საპროცესო ხარჯების ანაზღაურების დაკისრება. გაზრდილი მოთხოვნები მოსარჩელემ 2016 წლის 14 მარტს წარმოდგენილი შუამდგომლობით დააზუსტა, რომლითაც დისკრიმინაციული მოპყრობით გამოწვეული მატერიალური ზიანის 10000 ლარის და ასევე მიუღებელი შემოსავლის ზიანისათვის 2000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მარტის განჩინებით შ. შ-ის სარჩელიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენის, ხელფასის შემცირებით განპირობებული მიუღებელი თანხის ანაზღაურების, საშვებულებო თანხის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, 30000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების, 10000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და 2000 ლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები; შ. შ-ის სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, 30000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების, 10000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და 2000 ლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მარტის განჩინებით შ. შ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანება მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე; არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა სადავო აქტის შეჩერების თაობაზე განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნა-

წილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტი და სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის განჩინებით აღიძრა დავა განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით, შ. შ-ის სარჩელისა გამო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საქმე – შ. შ-ის სარჩელისა გამო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ საბოლოოდ მოითხოვა 1. შ. შ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანების ბათილად ცნობა და შ. შ-ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს მე-5 განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე აღდგენა; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანებით გათავისუფლებამდე კუთვნილ თანამდებობრივ სარგოსა და ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შემდგომ მიღებულ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის შესაბამისად დამდგარი დანაკლისის ანაზღაურების დავალება; 3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის შ. შ-ის სასარგებლოდ 2012-2016 წლებში გამოუყენებელი კუთვნილი შვებულების ნატურით ანაზღაურების დაკისრება; 4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის შ. შ-ის სასარგებლოდ ხელფასის დანაკლისისა და შვებულების ანაზღაურების დაყოვნებით მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების დაკისრება წლიურად გადასახდელი თანხების 10%-ის ოდენობით; 5. შ. შ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანების ბათილად ცნობა; 6. შ. შ-ის დამსაქმებლის – შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დის-

კრიმინაციის მსხვერპლად აღიარება და შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის შ. შ-ისათვის დისკრიმინაციული მოპყრობით მიყენებული მორალური ზიანის – 30000 ლარის, მატერიალური ზიანის – 10000 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის – 2000 ლარის ანაზღაურების დაკისრება; 7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის შ. შ-ის სასარგებლოს ადვოკატის ხარჯის – 2400 ლარის, სასამართლოში გამოცხადებისათვის განეული ხარჯის – 7000 ლარის, სანოტარო აქტის – მინდობილობის მომზადების ხარჯის – 30 ლარის, სასამართლოში მასალების წარდგენისათვის ცელულოზის ქაღალდის შექმნისათვის განეული ხარჯის – 50 ლარის, სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების ასლების მომზადების ხარჯის – 20 ლარის, მტკიცებულებათა მოძიებისათვის განეული ხარჯის – 20 ლარის, მათ აკინძვაზე განეული ხარჯის – 10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისათვის საფოსტო გზავნილებზე განეული ხარჯის – 30 ლარის, საფოსტო კავშირისათვის მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული ხარჯის – 10 ლარის, სასამართლოში გამოცხადებისას ტრანსპორტირების ხარჯის – 10000 ლარის, ასევე, სასამართლოში გამოცხადებისა და შესაბამის პერიოდში აუცილებელ კვებაზე განეული ხარჯის – 200 ლარის, სასამართლოში მოცდენილი დროის გამო 3000 ლარისა და საბანკო დაწესებულებიდან ანგარიშის ბრუნვის ისტორიის მიღების ხარჯის – 30 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... სასოფლო პოლიციის განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობრივ სარგოსა და საქართველოს შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობრივ სარგოს შორის სხვაობის გამო 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანებით საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... სასოფლო პოლიციის განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლად დანიშნვიდან ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მიღებული დანაკლისის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება 300 ლა-

რის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. შ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინებით შ. შ-ის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანებით პოლიციის უფროსი ლეიტენანტი შ. ა. შ-ე შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობიდან გათავისუფლდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე დაინიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე შ. შ-ეს თანამდებობრივი სარგო ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე კუთვნილ სარგოზე ნაკლები ოდენობით დაენიშნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შინაგან საქ-



მეთა სამინისტროს მოსამსახურის თანამდებობრივ გადაადგილებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებულ წესზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 და 53-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, შ. შ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება და სხვა თანამდებობაზე დანიშვნა საამისოდ შ. შ-ის კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევების და გამოცდილების მისაღები მახასიათებლების გამოკვეთისა და შ. შ-ის თანხმობის ან/და მისი წინასწარი ინფორმირებულობის პირობებში შეიძლებოდა განხორციელებულიყო, თუმცა ამგვარი გარემოებების არსებობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული მასალებით არ დასტურდება და არც მოპასუხის მიერ სარჩელზე წარმოდგენილი პოზიციით ყოფილა დასაბუთებული. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე და გაუმართლებლად ზღუდავს შ. შ-ის შრომით უფლებას.

ამასთან, პალატის მითითებით, შ. შ-ის მიმართ უკანონო აქტივობითი უფლების შეზღუდვის მიუხედავად, საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ მოპასუხის ქმედება ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციულად, ვინაიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მოსარჩელის მტკიცება არასაკმარისად ჩაითვალა შესაბამისი ვარაუდის შექმნისთვის. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მტკიცება არ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს მასზე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანებით შ. შ-ეს შრომის უფლება დისკრიმინაციული მოტივით შეეზღუდა გ. ო-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სახით მონაწილეობის გამო.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განაჩენით ვერ დგინდება, რომ შ. შ-ემ გ. ო-ის საქმეზე მისცა ისეთი სახის ჩვენება, რის გამოც შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლოა გასჩენოდა ინტერესი ამის გამო გაენთავისუფლებინა სამსახურიდან და გადაეყვანა სხვა განყოფილებაში. უფრო მეტიც, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი შ. ა. შ-ე შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობიდან გათავისუფლდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... პო-

ლიციის განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანებით, ხოლო გ. ო-ის მიმართ განაჩენი გამოტანილია თითქმის 2 წლის შემდეგ – 2017 წლის 7 ნოემბერს. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ დაახლოებით 2 წლით ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერ ეცოდინებოდა, თუ რა სახის ჩვენება შეეძლო შ. შ-ეს მიეცა მომავალში და წინასწარ ვერ დასჯიდა მომავალში ჩვენების შესაძლო მიცემის გამო, რომლის შინაარსიც შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წინასწარ ვერ იქნებოდა ცნობილი. გარდა ამისა, სააპელაციო პალატის სხდომაზე შ. შ-ემ არ უარყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მის მიმართ არც ჩვენების მიცემამდე და არც ამის შემდეგ რაიმე სახის თუნდაც სიტყვიერი ზეწოლა გ. ო-ის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობა/არმონაწილეობასთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანებით მოპასუხემ თავისივე 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანება ძალადაკარგულად გამოაცხადა და შ. შ-ე იმ თანამდებობაზე აღადგინა, რომლიდან გათავისუფლების გამოც სასამართლოში დავას აწარმოებდა. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანება შ. შ-ეს არ აყენებს პირდაპირ და უშუალო ზიანს და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის მიმართ ინტერესი დაუსაბუთებელია, რაც გამოორიცხავს შესაბამის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამაც მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანების მოქმედების პირობებში არ არსებობს დავის საგანი თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე, რომლის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხე ვალდებულია, მოსარჩელეს აუნაზღაუროს სადავო ბრძანებით გათავისუფლებამდე კუთვნილ თანამდებობრივ სარგოსა და ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შემდგომ მიღებულ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის შესაბამისად დამდგარი დანაკლისი.

სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს

მსჯელობა საჯარო მოხელის მიერ ყოველწლიურად ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ შ. შ-ეს თანამდებობიდან გადაყვანის გამო შეეზღუდა კუთვნილი შვებულებით სარგებლობის უფლება. თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ აქტი 2015 წლის 28 დეკემბერს არის გამოცემული და ძალაში იყო 2016 წლის მაისამდე, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება 2012-2016 წლებში შვებულების გამოყენების შეზღუდვის განმაპირობებელ აქტად, დასახელებული აქტისგან დამოუკიდებლად შრომითი უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს კი სარჩელი არ შეიცავს.

მიუღებელი ხელფასის გადახდის დაყოვნების გამო ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით პალატამ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს მოპასუხის მიერ თანხის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა, არამედ, დავის საგანია გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და ამ აქტის გამოცემით მიუღებელი ხელფასის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, სადავო თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ შესაბამისი გადანყვეტილების მიღებიდან და მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან, რის გამოც შესაბამის დრომდე მოპასუხეს ვერ დაეკისრება გადახდის დაყოვნებისათვის კანონით განსაზღვრული თანხის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადასტურა მოპასუხის უკანონო ქმედება მოსარჩელის მიმართ 2015 წლის 28 დეკემბრის ბრძანების გამოცემის თვალსაზრისით და გააბათილა მითითებული ბრძანება, რაც მეტყველებს მასზე, რომ მოპასუხეს ეკისრება ამ ბრძანების გამოცემით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, თუმცა მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით მტკიცება საქალაქო სასამართლომ სწორად არ მიიჩნია საკმარისად შესაბამისი გარემოების დადგენისათვის. რაც შეეხება მორალურ ზიანს, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ არ არსებობს მისი ანაზღაურების საფუძვლად მითითებული დისკრიმინაციული მოპყრობა, რის გამოც შესაბამისი მოთხოვნაც უსაფუძვლოა.

ამასთან, საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება კონკრეტული ხარჯების მოცულობა, რისი გაღებაც შ. შ-ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დე-

პარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... პოლიციის განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე სამსახურის პერიოდში მოუხდა. პალატის მითითებით, აღნიშნული ხარჯების მტკიცებისას მოსარჩელე შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით, რომელიც ბუნდოვან და ურთიერთსაწინააღმდეგო მითითებს შეიცავს და მოკლებულია დამაჯერებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, აღნიშნული კანონის მიზანია, უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. მითითებული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. კასატორის მითითებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სამსახურის გავლის წესსა და პირობებს. ბრძანების 28-ე მუხლის შესაბამისად, თანამდებობრივი გადაადგილება, სამინისტროს მოსამსახურის გადაყვანა ზემდგომ, თანაბარ და დაბალ თანამდებობაზე დასაშვებია: სამსახურებრივი დაწინაურებისას, სამინისტროს მოსამსახურის თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე გადაყვანისას, საშტატო-საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელებისას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად, სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, პირადი განცხადებით (ატესტაციის შედეგების შესაბამისად, სამინისტროს შესაბამისი დანაყოფისათვის მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოსამსახურეთა შეფასების წე-

სის შესაბამისად), დადებული დისციპლინური სახდელის გამო. კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანება სრულად ითვალისწინებდა სამსახურეობრივი საქმიანობის გამო თანამშრომლის სამსახურეობრივ გადაადგილებას, შესაბამისად, სამინისტრო ცალსახად მოქმედებდა უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით განერილი საფუძვლების შესაბამისად, რის გამოც, კასატორი სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. შ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი უპირველესად აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმე 2018 წლის 27 აპრილის სხდომაზე განხილულ იქნა ისე, რომ ხსენებული სხდომის თაობაზე კასატორს (აპელანტს) არ მიუღია შეტყობინება საქმის განხილვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, რაც ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს დისკრიმინაციის დადასტურებასთან მიმართებაში. კასატორის მითითებით, მოცემულ საქმეზე არასწორად გადანაწილდა მტკიცების სტანდარტიც.

კასატორი ასევე ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მონმის დაკითხვა/გამოკითხვის რეგულაციებზე და აღნიშნავს, რომ მან როგორც მოქმედმა პოლიციელმა პროკურატურის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა დაცვის მხარის ადვოკატს, რაზედაც შეედა გამოკითხვის ოქმი და წარედგინა პროკურატურას, რასაც შემდგომში ქრონოლოგიურად მოჰყვა მისი დაუსაბუთებელი და დისკრიმინაციული გადაწყვეტა. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მტკიცებას მასზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენიდან თითქოს ვერ დგინდება თუ რა სახის ჩვენება მისცა მან და აღნიშნავს, რომ განაჩენიდან ირკვევა, რომ მან გ. ო-ის სასარგებლო ჩვენება მისცა ჯერ დაცვის მხარის ადვოკატს, ხოლო იგივე დაადასტურა სასამართლოში. კასატორი ასევე არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას თითქოს იგი ... სასოფლო პოლიციის განყოფილებაში დანიშნულ იქნა 2015 წელს, ხოლო გ. ო-ის მიმართ განაჩენი კი 2017 წელს არის გამოსული და აღნიშნავს, რომ განაჩენის

გამოტანამდე 3 წლით ადრე იქცა დაცვის მონმედ და გამოიკითხა, შედგა გამოკითხვის ოქმი, რაც წარედგინა პროკურატურას გ. ო-ის სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვამდე და ბუნებრივია, განაჩენის გამოტანამდე იყო ცნობილი მისი დამოკიდებულება და ქმედებები ბრალდების მხარისათვის. ამდენად, კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ თითქოს ვერ დგინდება არის თუ არა მისი გადაყვანა დაკავშირებული გ. ო-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ შეაფასა რა მოტივი დაედო საფუძვლად მის გადაყვანას.

კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონო აქტით, თბილისიდან ახალქალაქის სოფელში სამუშაოდ იძულებით გამოსაცხადებლად ხარჯების განწევასთან დაკავშირებით. კასატორის მითითებით, უკანონო გადაყვანის თანმდევი საჭიროებებისათვის ხარჯების განწევის ფაქტი (ტრანსპორტირება, ბინა, კვება) პრეზუმირებულია მის სასარგებლოდ, კანონით საამისოდ დადგენილი გასამრჯელოს არსებობის გამო.

კასატორის მითითებით, მის გადაყვანას საფუძვლად არ უდევს არანაირი დასაბუთება, გადაუდებელი საჭიროება, იურიდიული გამართლებულობა ან რაიმე სამართლებრივი საფუძველი. მინისტრის ბრძანების შესრულებისათვის იგი მოულოდნელად დადგა იმ ფაქტის წინაშე, რომ თბილისიდან 300 კილომეტრით დაშორებულ სამსახურში ახალქალაქის რაიონის სოფელში უნდა გამოცხადებული ყოველდღიურად, იმ პირობებში, როდესაც მას არ გააჩნდა საცხოვრებელი ბინა ან რაიმე სადგომი და დამსაქმებელმა არ უზრუნველყო სამსახურებრივი ბინით ამ დასაქირავებელი ბინის ქირისთვის თანხის ანაზღაურებით. მას არ გააჩნდა არც სამსახურებრივი და არც პირადი სატრანსპორტო საშუალება და სამსახურში გამოცხადებისთვის 5 საათი უნდა ემგზავრა. ამასთან, მას ჰქონდა ენობრივი ბარიერი მოსახლეობასა და თანამშრობლებთან. ასეთ პირობებში, მან მაინც შეასრულა მის მიმართ მინისტრის მიერ გამოცემული უკანონო ბრძანება და იძულებით სამუშაოდ გადავიდა ახალქალაქის პოლიციის ... სასოფლო განყოფილებაში. კასატორის მოსაზრებით, რეალურად იგი დასჯილ იქნა დაცვის მხარესთან მონმედ გამოსვლის გამო და ის დაექვემდებარა დისკრიმინაციას. ყოველივე აღნიშნულით კი სამინისტრომ მას მიაყენა მორალური ზიანი, რაც ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს. კასატორი ასევე ითხოვს იმ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მან გასწია ტრანსპორტირებისათვის და ბინის დაქირავებისათვის.

კასატორი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას სახელფასო დანაკ-

ლისის ანაზღაურების ნაწილში და მიუთითებს, რომ თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იქნეს უკანონოდ განთავისუფლებით პირისათვის მიყენებული ზარალის ზუსტი და კონკრეტული ოდენობა. კასატორი ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სადავო 2016 წლის 15 ივლისის ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, ასევე საპროცესო ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის, დანაკლისი ხელფასის ანაზღაურების დაყოვნებით დამდგარი მიუღებელი შემოსავლის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმისა და გამოუყენებელი ყოველწლიური შვებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში. კასატორი ასევე არ ეთანხმება სასამართლოს მიერ ადვოკატის დახმარებისათვის განკუთვნილი თანხის მოცულობას.

ამასთან, კასატორმა – შ. შ-ემ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით საკასაციო ეტაპისათვის მონინალმდგევე მხარისთვის სასამართლოსგარეშე ხარჯების დაკისრებისა და საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე იშუამდგომლა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შ. შ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. შ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე სა-



ქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს საჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორები საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დასკვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს

წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის – შ. შ-ის მითითებას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ახალჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს. სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა გადაწყვეტილება, განმარტავს მისი გასაჩივრების წესსა და ვადას. სხდომის თავმჯდომარე ან მოსამართლე ასევე უფლებამოსილია, განუმარტოს მხარეებს გადაწყვეტილების შინაარსი და მისი გამოტანის სასამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის სხდომას, რომლითაც გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2018 წლის 27 აპრილს, ესწრებოდა როგორც აპელანტი – შ. შ-ე, ასევე მისი წარმომადგენელი, ამასთან, 2018 წლის 27 აპრილს გამოცხადდა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც

დაუსაბუთებელია კასატორის მითითება მასზედ, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმე 2018 წლის 27 აპრილის სხდომაზე განხილულ იქნა ისე, რომ ხსენებული სხდომის თაობაზე კასატორს (აპელანტს) არ მიუღია შეტყობინება საქმის განხილვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სამსახურის გავლის წესსა და პირობებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესი განსაზღვრავს, რომელიც შემუშავებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ძირითადი პრინციპების შესაბამისად, სამინისტროს, როგორც სამართალდამცავი ორგანოს, საქმიანობისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებით (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლი). აღნიშნული წესის მიხედვით, სამინისტროში სამსახურს საფუძვლად უდევს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და გამჭვირვალობის პრინციპები (მე-3 მუხლი).

მითითებული წესის 28-ე მუხლი შემდეგ რეგულაციებს ადგენს:

1. სამინისტროს მოსამსახურის გადაყვანა ზემდგომ, თანაბარ და დაბალ თანამდებობაზე დასაშვებია: ა) სამსახურებრივი დანიშნულებისას; ა<sup>1</sup>) სამინისტროს მოსამსახურის თანაბარ (ტოლფასი) თანამდებობაზე გადაყვანისას (გადაადგილება); ბ) საშტატო-საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელებისას; გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად; დ) სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე; ე) პირადი განცხადებით (პატაკი); ვ) ატესტაციის შედეგების შესაბამისად; ვ<sup>1</sup>) სამინისტროს შესაბამისი დანაყოფისათვის მინისტრის სამართლებრივი აქ-

ტით განსაზღვრული მოსამსახურეთა შეფასების წესის შესაბამისად; ზ) დადებული დისციპლინური სახდელის გამო. 2. თანამდებობრივი გადაადგილების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უნდა არსებობდეს სამინისტროს მოსამსახურის თანხმობა, ხოლო სხვა შემთხვევებში წინასწარ უნდა ეცნობოს მას. 3. თანამდებობრივი გადაადგილება უნდა მოხდეს სამინისტროს მოსამსახურის ძირითადი სპეციალობის (კვალიფიკაცია), მისი პროფესიული უნარ-ჩვევების და გამოცდილების გათვალისწინებით. 4. სამინისტროს მოსამსახურის თანამდებობრივი გადაადგილება ფორმდება მინისტრის ან უფლებამოსილი პირის ბრძანებით, გადაადგილების საფუძვლის მითითებით. ბრძანება უნდა გაცენოს აღნიშნულ მოსამსახურეს. დასაშვებია ბრძანების გაცნობა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით. ამავე წესის 29-ე მუხლის მიხედვით: 1. სამინისტროს მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილება ხდება სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უშუალო ან ზემდგომი უფროსის მიერ: ა) სამუშაოდ ტერიტორიულად სხვა ადგილას ან/და სხვა სტრუქტურულ დანაყოფში, ტერიტორიულ ორგანოში, საქვეუწყებო დაწესებულებაში ან სსიპ-ში არა უმეტეს 6 თვისა; ბ) სამინისტროს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კანონით მათთვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, სხვა სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, ტერიტორიულად სხვა ადგილას, მუშაობის რეჟიმის შეცვლით, თუ სამინისტროს მოსამსახურის პროფესიული კვალიფიკაცია საკმარისია დაკისრებული სამუშაოს შესრულებისათვის. 2. სამინისტროს მოსამსახურეს შეუძლია უარი განაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობათა დროებით შესრულებაზე, თუ მათი შესრულება მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა პროფესიულ მომზადებას ან შეუძლებელია ამ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც სათანადო აუცილებლობის შემთხვევაში დასტურდება ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამედიცინო დასკვნით.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნულ ნორმებსა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე მუხლებზე მითითებით მართებულად მიიჩნიეს, რომ შ. შ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება და სხვა თანამდებობაზე დანიშვნა საამისოდ შ. შ-ის კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევების და გამოცდილების მისაღები მახასიათებლების გამოკვეთისა და შ. შ-ის თანხმობის ან/და მისი წინასწარი ინფორმირებულობის პირობებში შეიძლებოდა განხორციელებულიყო, თუმცა ამგვარი გარე-

მოებების არსებობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული მასალებით არ დასტურდება და არც მოპასუხის მიერ სარჩელზე წარმოდგენილი პოზიციით ყოფილა დასაბუთებული. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებითაც, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე და გაუმართლებლად ზღუდავს შ. შ-ის შრომით უფლებას.

შ. შ-ის მიმართ უკანონო აქტით შრომითი უფლების შეზღუდვის მიუხედავად, სასამართლომ ასევე სწორად განმარტა, რომ მოპასუხის ქმედება ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციულად, ვინაიდან მოსარჩელის მტკიცება არ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს მასზედ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანებით შ. შ-ეს შრომის უფლება დისკრიმინაციული მოტივით შეეზღუდა გ. ო-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სახით მონაწილეობის გამო. საკასაციო სასამართლოს მითითებით, დამსაქმებლის კანონსაწინააღმდეგო ქმედება ნებისმიერ შემთხვევაში დისკრიმინაციად არ ფასდება, არამედ, საამისოდ უნდა არსებობდეს გარემოები, რომელიც რომელიმე ნიშნით მსხვერპლის უკანონო გამორჩევაზე მიუთითებს.

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>1</sup> მუხლზე, სადაც მითითებულია, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ამავე კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ განსახილველ შემთხვევაში, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არის წარმოდგენილი.

მოსარჩელე ასევე სადავოდ ხდის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანებას, რომლითაც მოპასუხემ თავისივე 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანება ძალადაკარგულად გამოაცხადა და შ. შ-ე იმ თანამდებობაზე აღადგინა, რომლიდან გათავისუფლების გამოც სასამართლოში დაევას აწარმოებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო

პალატამ მართებულად მიუთითა, რომ 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანება შ. შ-ეს არ აყენებს პირდაპირ და უშუალო ზიანს და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის მიმართ ინტერესი დაუსაბუთებელია, რაც გამორიცხავს შესაბამის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილისა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 15 ივლისის №1762180 ბრძანების მოქმედების პირობებში კი არ არსებობს დავის საგანი თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში.

ამასთან, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე შ. შ-ეს თანამდებობრივი სარგო ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე კუთვნილ სარგოზე ნაკლები ოდენობით დაენიშნა. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე მართებულად მიიჩნია, რომ მოპასუხე ვალდებულია, მოსარჩელეს აუნაზღაუროს სადავო ბრძანებით გათავისუფლებამდე კუთვნილ თანამდებობრივ სარგოსა და ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შემდგომ მიღებულ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის შესაბამისად დამდგარი დანაკლისი. აღნიშნულ ნაწილში კასატორის – შ. შ-ის პრეტენზიასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... სასოფლო პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობრივ სარგოსა და საქართველოს შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობრივ სარგოს შორის სხვაობის გამო 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანებით საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... სასოფლო პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად დანიშნვიდან ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მიღებული დანაკლისის ანაზღაურება. შესაბამისად, ცალსახად და არაორაზროვნად განისაზღვრა ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა და პერიოდი.



სააპელაციო პალატამ ასევე მართებულად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ შ. შ-ეს თანამდებობიდან გადაყვანის გამო შეეზღუდა კუთვნილი შვებულებით სარგებლობის უფლება. თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ აქტი 2015 წლის 28 დეკემბერს არის გამოცემული და ძალაში იყო 2016 წლის მაისამდე, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება 2012-2016 წლებში შვებულების გამოყენების შეზღუდვის განმაპირობებელ აქტად; დასახელებული აქტისგან დამოუკიდებლად შრომითი უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს კი სარჩელი არ შეიცავს.

მიუღებელი ხელფასის გადახდის დაყოვნების გამო ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს მოპასუხის მიერ თანხის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა, არამედ, დავის საგანია გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და ამ აქტის გამოცემით მიუღებელი ხელფასის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო პალატამ მართებულად მიუთითა, რომ სადავო თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან და მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან, რის გამოც შესაბამის დრომდე მოპასუხეს ვერ დაეკისრება გადახდის დაყოვნებისათვის კანონით განსაზღვრული თანხის გადახდა.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 413-ე მუხლებზე მითითებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად გადაწყვიტეს დავა მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილში. საქმის მასალებით არ დასტურდება კონკრეტული ხარჯების მოცულობა, რისი გაღებაც შ. შ-ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ... პოლიციის განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე სამსახურის პერიოდში მოუხდა. რაც შეეხება მორალურ ზიანს, არ არსებობს მისი ანაზღაურების საფუძვლად მითითებული დისკრიმინაციული მოპყრობა, რის გამოც შესაბამისი მოთხოვნაც უსაფუძვლოა.

ადვოკატის ხარჯების მოცულობასთან დაკავშირებით კასატორის – შ. შ-ის პრეტენზიაზე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის ხარჯები ანაზღაურდა მოცემული დავის გათვალისწინებით, დაკმაყოფილებული მოთ-



ხოვნის პროპორციულად.

რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას მონინაალმდევე მხარისთვის საკასაციო ეტაპისათვის სასამართლოსგარეშე ხარჯების დაკისრების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან შ. შ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, შესაბამისად, უსაფუძვლოა მისი მოთხოვნა მონინაალმდევე მხარისთვის მის სასარგებლოდ საკასაციო სასამართლოში გაღებული სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე.

რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საქმის ზეპირი განხილვის თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა წარმოებს ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს საქმის ზეპირი განხილვის საჭიროება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივრებს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის

მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრები არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შ. შ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინება;
3. შ. შ-ის შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გათავისუფლების კანონიერება

### კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს მოთხოვნის საფუძველი

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-829(კ-18)

31 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, კომპენსაციის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 3 ივლისს ფ. ლ-ე-ლ-მა სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – გარდაბ-  
ნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, იგი წლების განმავლობაში დასაქმე-  
ბული იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფი-  
ლების უფროსის თანამდებობაზე, სადაც გარდაბნის მუნიციპალი-  
ტეტის გამგეობის 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანებით გათავი-  
სუფლებულ იქნა თანამდებობიდან და ამავე ბრძანების მეორე პუნ-  
ქტით განისაზღვრა მოსარჩელისათვის ორთვიანი კომპენსაციის  
გაცემის ვალდებულება, რაც აბსოლიტურ შესაბამისობაშია „საჯა-  
რო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლთან,  
რადგან მითითებული ნორმა ცალსახად ავალებს მოპასუხეს დაწე-  
სებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახუ-  
რიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით მისცეს  
2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგო. მიუხედავად აღნიშნულისა,  
მოპასუხე მხარემ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე 2017 წლის 29  
მაისს გამოსცა №1192 ბრძანება, რომლითაც ძალადაკარგულად გა-  
მოცხადდა 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანების მეორე მუხლი, რო-  
მელიც ითვალისწინებდა დასაქმებულისათვის ორთვიანი კომპენ-  
საციის გაცემის ვალდებულებას.

ამდენად, მოსარჩელემ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის

2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ფ. ლ-ე-ლ-ის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით ორი თვის სარგოს – 2062 ლარის დაკისრება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ფ. ლ-ე-ლ-ის სარჩელი არ დაკმყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან ფ. ლ-ე-ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანებით ფ. ლ-ე-ლ-ი გათავისუფლდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან. ამავე ბრძანების მეორე პუნქტის შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს დაევალა ფ. ლ-ე-ლ-ისათვის ფულადი კომპენსაციის 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ჩარიცხვა.

2017 წლის 2 მაისს ფ. ლ-მა განცხადებით მიმართა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელს გ. ჯ-ს და მოითხოვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა.

საქალაქო სასამართლომ აგრეთვე დადგენილად მიიჩნია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №927 ბრძანებით ფ. ლ-ე-ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე 2017 წლის 2 მაისიდან 1 ივლისამდე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანების მეორე მუხლი, რომლითაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს დაევალა ფ. ლ-ე-ლ-ისათვის ფულადი კომპენსაციის 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ჩარიცხვა.

საქმის მასალებით სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 ივნისის №1545 ბრძანებით ფ. ლ-ე-ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე 2017 წლის 30 ივნისიდან. ამავე ბრძანების მეორე მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №927 ბრძანება ფ. ლ-ე-ლ-ის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობების შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახა-

დო კოდექსის მე-8 მუხლის მე-14 ნაწილზე, რომლითაც კომპენსაცია განმარტებულია, როგორც პირის მიერ საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება ან/და სარგებელი. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანხმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან განთავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

სასამართლომ მხარეთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული ნორმის გამოყენების დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს ნორმის მიზნობრივი განმარტებით, თუ რა მიზანს ემსახურება კანონმდებლის ნება. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კომპენსაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს თანხას, რომელიც შეიძლება გადახდილი იქნეს რაიმეს ასანაზღაურებლად, დანაკარგის ან დანაკლისის ასანაზღაურებლად. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ის სამსახური, რომელიც დაკავებული ჰქონდა მოსარჩელეს, ადმინისტრაციულმა ორგანომ შტატების შემცირების გამო სწორად უზრუნველყო მოსარჩელისათვის ორი თვის თანამდებობრივი სარგოს სახით კომპენსაციის მიცემის საკითხის გადწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ასევე სწორად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ფ. ლ-ე-ლ-ისათვის კომპენსაციის მიცემის გაუქმების თაობაზე ამ უკანასკნელის იმავე დაწესებულებაში სხვა თანამდებობის დაკავების გამო. უფრო მეტიც, ფ. ლ-ე-ლ-ს გავლილი აქვს საკონკურსო-საატესტატო კომისია, მოსარჩელე არ იმყოფება სამსახურის დაკარგვის საშიშროების ქვეშ, შესაბამისად, მოსარჩელე სამსახურის დაკარგვის გამო არ ჩავარდნილა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

საქალაქო სასამართლომ კანონის მიზნიდან გამომდინარე განმარტა, რომ ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით კომპენსაციის მიცემა ემსახურება დასაქმებულის ინტერესს – შეძლოს სხვა სამსახურის მოძიება. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ფ. ლ-ე-ლ-ის უმუშევრად დარჩენის პერიოდი, კერძოდ მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა 2017 წლის 1 მაისს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის №836 ბრძანებით, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №927 ბრძანებით იგი დაინიშნა ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტით

არ მომხდარა მოსარჩელის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების (კერძოდ, შრომითი საქმიანობის სტაბილურად, უწყვეტად განხორციელების, ადეკვატური გასამრჯელოს მიღების უფლების, პროფესიული უნარ-ჩვევების შექმნა-განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების და ა.შ. ინტერესების) შეზღუდვა, მოსარჩელეს არ მიუღია იმგვარი მატერიალური ზიანი, რაც მისთვის კომპენსაციის გადახდას ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანება მიღებულ იქნა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, აღნიშნული ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას, მასში არ იყო დაკონკრეტებული გადანყვეტილების მიღების საფუძველი, კერძოდ, მოსარჩელის დასაქმება, თუმცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მისთვის ცნობილი იყო გასაჩივრებული ბრძანების მიღების საფუძველი – ის უკვე იკავებდა სხვა თანამდებობას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში, შესაბამისად, გასაჩივრებული წერილობითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებდა დასაბუთებას.

საქალაქო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ყურადღება გაემახვილებინა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები; მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყო იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებოდა გასაჩივრებული აქტის კანონსაწინააღმდეგობა. ვინაიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური და მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით კანონიერი იყო და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი, აღნიშნული წარმოადგენდა მეორე – კომპენსაციის გაცემის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმა-

ყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფ. ლ-ე-ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ფ. ლ-ე-ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. ლ-ე-ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანება; გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობას ფ. ლ-ე-ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 2062 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან გასაჩივრებული ბრძანება არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 62-ე მუხლები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამომცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემ-



თხვევისა, თუ: ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს; ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. მითითებული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანება შეიცავდა როგორც შემზღუდავ, ისე აღმჭურველ ნაწილს. კერძოდ, ბრძანების მე-2 მუხლი, რომლითაც განისაზღვრა კომპენსაციის გაცემის ვალდებულება, ანიჭებდა აპელანტს უფლებას/სარგებელს. შესაბამისად, იმ ნაწილში, რომელშიც 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა, იგი წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად გამოაცხადოს მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობების არსე-

ბობისას, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი ხდება, იმსჯელოს ინდივიდუალური აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და მხოლოდ ასეთ ვითარებაში ეძლევა საშუალება, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც საკითხი ეხება აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომელიც წარმოადგენს კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების საშუალებას და ინვესტს პირისთვის მინიჭებული უფლების/სარგებლის გამოყენების შეუძლებლობას, აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო დასაბუთებული, მოტივირებული, მასში მიეთითებოდა კონკრეტულ კანონიერ საფუძველებსა და სამართლებრივ ნორმებზე, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციაზე, რომლის თანახმად, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემა განპირობებული იყო 2017 წლის 2 მაისს ფ. ლ-ე-ლ-ის იმავ საჯარო სამსახურში დასაქმებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპენსაციის გაცემის ვალდებულებას კანონი აწესებს მოხელის შტატების შემცირების მოტივით გათავისუფლებისას. რაც შეეხება პირის შემდგომ დასაქმებას, კანონი, მართალია, არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ დათქმას, რომ კომპენსაციის მისაღებად პირის გათავისუფლებიდან მის კვლავ დასაქმებამდე გასული უნდა იყოს გარკვეული პერიოდი, ასევე, შეზღუდული არ არის პირის იმავ დაწესებულებაში დასაქმება, თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონმდებლის ნება და მიზანი კომპენსაციის გაცემის დადგენისას. კერძოდ, კომპენსაცია პირს ეძლევა მისი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად, რათა პირი უზრუნველყოფილი იქნეს ცხოვრების ღირსეული პირობებით, როდესაც სამსახურიდან ათავისუფლებენ არა მის მიერ გადაცდომის ჩადენის, უფლება-მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, არამედ შტატების შემცირების მიზეზით. შესაბამისად, კანონმდებელმა განსაზღვრა გარკვეული გონივრული პერიოდი, რომლის განმავლობაში მისაღები თანამდებობრივი სარგოც გათავისუფლებულ მოხელეს უნდა მიეცეს კომპენსაციის სახით. კომპენსაციის მხოლოდ გარკვეული პერიოდისათვის მიცემა ემყარება ვარაუდს, რომ ამ პერიოდში პირი შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და ახალი სამსახურის პოვნას, ემსახურება იმ ნეგატიური გრძნობების ნაწილობრივ მაინც შემსუბუქებას, რომელსაც

სამსახურიდან გათავისუფლებული პირი განიცდის, ასევე, გათვალისწინებულია დამსაქმებლის ინტერესებიც, რომელსაც შეუსაბამოდ მაღალი ეკონომიკური ტვირთი არ უნდა დაეკისროს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კომპენსაციის გაცემა განპირობებულია რა დასაქმებულის ნებისა და მის მიერ უფლება-მოვალეობათა შესრულების მიუხედავად, გარკვეული ობიექტური საფუძვლის არსებობის გამო პირის სამსახურიდან გათავისუფლებით, კომპენსაციის ოდენობა ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი და შეესაბამება გარკვეული პერიოდისათვის პირის მიერ ასაღებ თანამდებობრივ სარგოს. შესაბამისად, კომპენსაციის გაცემის ვალდებულება, მისი ოდენობის გაანგარიშება არ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, რამდენ ხანში დასაქმდება პირი ახალ სამსახურში. ამასთანავე, იმ პირობებში, როდესაც პირი გათავისუფლების შემდეგ იმავე დაწესებულებაში ინიშნება სხვა თანამდებობაზე, უნდა განისაზღვროს განხორციელებული მოქმედების რეალური მიზეზი, მიზანი და სამართლებრივი სახე. კერძოდ, კომპენსაციის მისაღებად დაწესებულების ხელმძღვანელებისა და მოხელის მიერ ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული გათავისუფლებული პირის შემდგომ დასაქმების პერიოდსა და ადგილზე კანონში რაიმე დათქმის არარსებობა, პირებმა, კანონის გვერდის ავლით, მხოლოდ ფორმალურად არ უნდა მოახდინონ რეორგანიზაცია, გათავისუფლების ბრძანების გამოცემა, კომპენსაციის გაცემის ვალდებულების გათვალისწინება, არამედ მნიშვნელოვანია მხარეთა რეალური ნება, რა სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელებას ისახავენ ისინი მიზნად. თუკი რეალურად მოხდა მოხელის გადაყვანა, მხოლოდ ფორმალურად მისი გათავისუფლება და შემდგომში დანიშნა ვერ წარმოშობს იმ გარანტიებს, რომლებითაც კანონი შესაბამისი საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლებულ მოხელეს იცავს. ამასთანავე, თუკი მხარეები კომპენსაციის მისაღებად, სპეციალურად ახდენენ კანონის გვერდის ავლას, აღნიშნული წარმოადგენს უკანონო ქმედებას, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს იწვევს.

რაც შეეხება აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი გამოიყენება იმ აქტების მიმართ, რომლებიც გამოიცა შესაბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა მოგვიანებით გარკვეულ გარემოებათა წარმოშობა, ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველთა ცვლილება, იწვევს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანებით კომპენსაციის გაცემის ვალდებულების გათვალისწინ-

ნება განპირობებული იქნა სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დანაწესის დაცვით. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ, მართალია, 2017 წლის 2 მაისს ფ. ლ-ე-ლ-ი დასაქმდა გამგეობაში, თუმცა იგი დაინიშნა მოვალეობის შემსრულებლად და უფრო დაბალანაზღაურებად თანამდებობაზე. გასაჩივრებული 2017 წლის 29 მაისის ბრძანების გამოცემისას აპელანტი საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე უვადოდაც კი არ იყო დანიშნული, არამედ მხოლოდ 2017 წლის 29 ივნისს დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მოხელის გადაყვანას, განხორციელებული იყო პირის სამსახურიდან გათავისუფლება და მალევე იმავე დანესებულებაში მისი დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა, რაც არ გამოორიცხავდა პირის მიერ იმ უფლებამოსილებით სარგებლობას, რომელსაც მას კანონი ანიჭებდა თანამდებობიდან გათავისუფლებისას, რადგან კომპენსაცია, მათ შორის, სამსახურიდან გათავისუფლებული პირის უარყოფითი განცდების შემსუბუქებასაც ისახავდა მიზნად.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელე გათავისუფლდა გამგეობიდან შტატების შემცირების მოტივით, მას უნდა მისცემოდა კომპენსაცია. ამრიგად, არ არსებობდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, მით უფრო, რომ პირისთვის სარგებლის მიმნიჭებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა დასაბუთებულიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე პირობის არსებობით. ამდენად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანება გამოცემული იყო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც ავტომატურად გულისხმობდა, რომ სასარჩელო მოთხოვნა კომპენსაციის გაცემის თაობაზე დასაბუთებული და საფუძვლიანი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სადავო აქტი მიღებულია კანონის

მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს ფ. ლ-ე-ლ-ისათვის კომპენსაციის მიცემის სამართლებრივი საფუძველი. კასატორი აღნიშნავს, რომ ფ. ლ-ე-ლ-ი არ იმყოფებოდა სამსახურის დაკარგვის საშიშროების ქვეშ და არც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილა, ვინაიდან იგი იმავე დანესებულებაში იკავებდა სხვა თანამდებობას, ამასთან, იგი დღემდე აგრძელებს მუშაობას გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში და უწყვეტად იღებს პოზიციისთვის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ არ მომხდარა ფ. ლ-ე-ლ-ის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვა. მოსარჩელეს არ მიუღია იმგვარი მატერიალური ზიანი, რაც მისთვის კომპენსაციის გადახდას დაავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. ლ-ე-ლ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2015 წლის 1 იანვრიდან ფ. ლ-ე-ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანებით ფ. ლ-ე-ლ-ი გათავისუფლდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ..ის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან. ამავე ბრძანების მეორე პუნქტის შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდ-

ვების სამსახურს დაევალა ფ. ლ-ე-ლ-ისათვის ფულადი კომპენსაციის 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ჩარიცხვა.

2017 წლის 2 მაისს ფ. ლ-მა განცხადებით მიმართა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელს გ. ჯ-ს და მოითხოვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა.

საქმის მასალებით აგრეთვე დადგენილია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №927 ბრძანებით ფ. ლ-ე-ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე 2017 წლის 2 მაისიდან 1 ივლისამდე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №836 ბრძანების მეორე მუხლი, რომლითაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს დაევალა ფ. ლ-ე-ლ-ისათვის ფულადი კომპენსაციის 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ჩარიცხვა.

საქმის მასალებით ასევე დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 ივნისის №1545 ბრძანებით ფ. ლ-ე-ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე 2017 წლის 30 ივნისიდან. ამავე ბრძანების მეორე მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №927 ბრძანება ფ. ლ-ე-ლ-ის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობების შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანების კანონიერება და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ფ. ლ-ე-ლ-ის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით ორი თვის სარგოს – 2062 ლარის დაკისრება წარმოადგენს. აღსანიშნავია ის, რომ მოსარჩელე ფ. ლ-ე-ლ-ი გათავისუფლდა განყოფილების უფროსის თანამდებობიდან და დაინიშნა რანგით დაბალ თანამდებობაზე, სადაც მისი ყოველთვიური სარგო უფრო დაბალი ოდენობით განისაზღვრა.

ამდენად, სადავო საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს იმ გარემოების შეფასება წარმოადგენს, ეკუთვნოდა თუ არა მოსარჩელეს კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს მიღება იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე დღემდე აგრძელებს მუშაობას იმავე დაწესებულებაში და უწყვეტად იღებს თავისი პოზიციისათვის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს.



საკაცაციო სასამართლო უპირველესად ყურადღებას ამახვილებს სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტზე (ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი), რომლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიძე-ლი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).



საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო აქტის, 30-ე მუხლი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომის უფლების სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუნყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთ-

ხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულობის ხარისხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურე კონკრეტული გადაწყვეტილების, მით უფრო საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და საჭიროების შემთხვევაში, გათავისუფლების შემდგომი პროცედურების განხორციელებისას შეზღუდულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. მისი ნებისმიერი ქმედება უნდა ემსახუროდეს კანონის უზენაესობის დაცვას და ეფუძნებოდეს კანონისმიერი დათქმის პრინციპს. ამავე შინაარსის დანაწესი გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი კანონიერების პრინციპითაც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საკასაციო პალატა უპირველესად განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დანაწესებზე, კერძოდ, აღნიშნული კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დანესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების

გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

ზემოხსენებულ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი დავის გადანყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას კომპენსაციის არსის განსაზღვრა და მისი გაცემის მიზნის დადგენა იძენს, რამდენადაც სწორედ კომპენსაციის სამართლებრივი ბუნება, მისი დანიშნულება განაპირობებს სადავო საკითხის მართებულ შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევები თავად საჯარო მოხელის ნებისა თუ ქმედებისაგან დამოუკიდებელი პროცესების მიმდინარეობის გამო წარმოიშობა. კერძოდ, დაწესებულების ლიკვიდაციაც და შტატების შემცირებაც წარმოადგენს ისეთ გარემოებებს, რომლის განხორციელების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა პირს თავად არ გააჩნია. ამდენად, სწორედ ამგვარი მოულოდნელი, საჯარო მოხელისაგან დამოუკიდებელი გათავისუფლების შემთხვევები წარმოშობს მისთვის სტაბილური, გათავისუფლებამდე არსებული სასახელო გარემოს შენარჩუნების უზრუნველყოფის საჭიროებას, რომელიც კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს გაცემაში ჰპოვებს ასახვას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული კომპენსაციის გაცემის მიზანი კანონმდებელმა სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ პირის მიერ პოტენციურად ახალი სამსახურის მოძიების ხელშეწყობას დაუკავშირა. 2 თვის თანამდებობრივი სარგოს სახით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გასაცემელი (კომპენსაცია) საჯარო დაწესებულებაში განსახორციელებელი პროცესების მიმდინარეობის მოტივით გათავისუფლებული მოხელის ფინანსურ-ეკონომიკური და ამავედროულად, სოციალური დაცვის გარანტიას წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე, რომლითაც განისაზღვრა მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრინციპი საჯარო-სამართლებრივ შრომით ურთიერთობებში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გათავისუფლების შემდგომი კომპენსაცია ემსახურება პირის როგორც ეკონომიკურ, ასევე, სოციალურ დაცვას, რომ მოხელისათვის მოულოდნელად არ იქნეს ხელყოფილი მისი სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები, რათა გათავისუფლების შემდგომ ახალი სამსახურის მოძიებამდე უმუშევრად ყოფნის პერიოდში, მან ფინანსური თვალ-

საზრისით შეძლოს იმ ფაქტობრივი მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც მის გათავისუფლებამდე არსებობდა. ამდენად, კომპენსაციის მხოლოდ გარკვეული პერიოდისათვის მიცემა ეფუძნება ვარაუდს, რომ პირი შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების გათავისუფლების შემდგომ რეალიზებას და ახალი სამსახურის პოვნას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კომპენსაციის გაცემა გათავისუფლებული საჯარო მოხელის არა მხოლოდ მატერიალურ ინტერესთა დაკმაყოფილებისათვის დაბრკოლებების წარმოშობის აღკვეთას, არამედ აგრეთვე მისი ნეგატიური განწყობის გაქარწყლებასა და გათავისუფლებული საჯარო მოხელის უმუშევრად დარჩენით გამოწვეული სავარაუდო მძიმე ფსიქო-ემოციური ფონის დაბალანსებასა და შემსუბუქებას ემსახურება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №ბს-453-453(კ-18) იდენტურ საქმეზე 2018 წლის 4 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილ პრაქტიკაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველ პუნქტზე, და აღნიშნა: „საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მითითებული ნორმის გამოყენების დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს ნორმის მიზნობრივი განმარტებიდან გამომდინარე, თუ რა მიზანს ემსახურება კანონმდებლის ნება. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის მიზანია სამუშაოდან გათავისუფლებული პირისათვის სხვა სამუშაოს პოვნამდე არსებობის შენარჩუნების მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა. აღნიშნული დახმარება უმუშევრად დარჩენილი მოხელის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ერთ-ერთი ღონისძიება“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის გასაჩივრებული 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანების კანონიერება უნდა შეფასდეს არა განცალკევებით, არამედ იმავე გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №83ნ ბრძანებასა და 2017 წლის 2 მაისის №927 ბრძანებასთან ერთობლიობაში. კერძოდ, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2017 წლის 1 მაისს თანამდებობიდან გათავისუფლებული ფ. ლ-ე-ლ-ი ამავე წლის 2 მაისიდან კვლავ დასაქმდა იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობაზე, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამოცხადებული კონკურსის გავლის შედეგად დაინიშნა მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფ. ლ-ე-ლ-ს არ შექმნია არასტაბილურობის განცდა, იგი უწყვეტად, დღემდე აგრძელებს მუშაობას და იღებს მისი პოზიციისათვის შე-

საბამის თანამდებობრივ სარგოს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1192 ბრძანებას არ მოჰყოლია სისტემიდან მოსარჩელის გათავისუფლება და მისი უმუშევრად დარჩენა, ასევე ფ. ლ-ე-ლ-ი არ იმყოფება სამსახურის დაკარგვის საშიშროების ქვეშ, ის ერთი დღეც არ დარჩენილა უმუშევარი, შესაბამისად, სამსახურის დაკარგვის გამო იგი არ ჩავარდნილა მიძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულებას კი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს სისტემიდან გათავისუფლებული, სამსახურის გარეშე დარჩენილი მოხელის დახმარება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (იხ. სუს 2007 წლის 22 ნოემბრის №ბს-487-464(კ-07) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობა ძირითადად მოსარჩელის რანგით დაბალ თანამდებობაზე დანიშვნას, კერძოდ, გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობასთან შედარებით დაბალანაზღაურებად პოზიციაზე დასაქმებას ემყარება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კომპენსაციის გაცემის საკითხი არ არის დამოკიდებული ერთსა და იმავე დანესებულებაში ხელახლა დანიშნული საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს კონკრეტულ ოდენობაზე. კომპენსაცია მიზნად ისახავს არა ხელახლა დასაქმებული პირის ძველ და ახალ თანამდებობრივ სარგოთა შორის თანხობრივი სხვაობის შევსებას, არამედ შტატების შემცირებისა თუ ლიკვიდაციის მოტივით გათავისუფლებული პირის ფინანსურ უზრუნველყოფას უშუალოდ უმუშევრობის გამო, სამსახურის მოძიებისათვის ხელშეწყობის მიზნით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, პირს კომპენსაცია მიეცემა არა საჯარო დანესებულებაში არსებული კონკრეტული თანამდებობიდან, არამედ მისი საჯარო სამსახურიდან განთავისუფლების გამო. ამდენად, საჯარო დანესებულებიდან პირის გათავისუფლების დღიდან მეორე დღესვე მისი იმავე დანესებულებაში ხელახალი დასაქმებით იმგვარად, რომ იგი ერთი დღის განმავლობაშიც კი არ დარჩენილა უმუშევარი, აღმოიფხვრება კომპენსაციის გაცემის საფუძველი, რამდენადაც პირი აღარ იმყოფება სამსახურის დაკარგვის საფრთხის ქვეშ, ამასთან, არ არსებობს უმუშევრობით პოტენციურად გამოწვევადი ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუარესების რისკიც.

საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით მიუთითებს საქმის

მასალებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, 2017 წლის 2 მაისს ფ. ლ-მა მიმართა განცხადებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელს გ. ჯ-ს და მოითხოვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 26-ე მუხლი) გარანტირებული შრომის თავისუფლება მოიცავს ასევე პირის უფლებას, აირჩიოს კონკრეტული სამუშაო. განსახილველ შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისათვის შესაბამისი საფუძველი სწორედ პოტენციური დასაქმებულის – ფ. ლ-ე-ლ-ის ნების გამოვლენით შეიქმნა. კერძოდ, საგულისხმოა, რომ სწორედ მოსარჩელემ მიმართა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელს ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მოთხოვნით, ამასთან, იგი დათანხმდა რანგით დაბალ და დაბალანაზღაურებად პოზიციაზე დანიშვნას. ყოველივე აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ არსებული მდგომარეობა გამოიწვევა არა ადმინისტრაციული ორგანოს ერთპიროვნულმა ნებამ, მომხდარიყო საჯარო მოხელის რანგით დაბალ და შედარებით დაბალანაზღაურებად თანამდებობაზე დასაქმება, არამედ უშუალოდ მოსარჩელის სურვილით, დაეკავებინა კონკრეტული თანამდებობა და მიეღო ხსენებული თანამდებობისათვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო. ამგვარ პირობებში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივად გაუმართლებელია საჯარო-სამართლებრივ შრომით ურთიერთობაში არსებობდეს ისეთი მოცემულობა, რომ პირი, ერთი მხრივ, დაწესებულებაში კონკრეტული თანამდებობის დაკავების საფუძველით ღებულობდეს გარკვეულ თანამდებობრივ სარგოს, ხოლო აღნიშნულის პარალელურად, ამავე პერიოდში იგი იმავე სამსახურიდან გათავისუფლების გამო იღებდეს კანონით გათვალისწინებულ 2-თვიან კომპენსაციას გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია. სადავო ბრძანება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სადავო აქტის კანონიერების პირობებში, არ არსებობს ფ. ლ-ე-ლ-ისათვის კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო საჩივარი, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილე-

ბა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. ლ-ე-ლ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ფ. ლ-ე-ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუცია**

**გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№ბს-595-595(2კ-18)

17 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. პ-ემ 07.04.2017წ. სარჩელი აღძრა ბაღდათის მაგისტრატ სა-



სამართლოში მოპასუხე ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 10.03.2017წ. №41210 ბრძანების ბათილად ცნობა, გამგებლის ... თანამდებობაზე აღდგენა და ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება განთავისუფლებიდან სამსახურში აღდგენის დღემდე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ბალდათის გამგებლის ... თანამდებობაზე დაინიშნა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 31.12.2014წ. №41-395 ბრძანებით. მის თანამდებობრივი სარგოს 875 ლარი შეადგენდა. ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 10.03.2017წ. №41-210 ბრძანებით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 06.03.2017წ. პერიოდიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96-ე მუხლის საფუძველზე შტატების შემცირების მოტივით, რაც მიაჩნია უკანონოდ, ვინაიდან ადგილი არ ჰქონია შტატების შემცირებას. პირიქით, ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით 10 ერთეულით გაიზარდა გამგეობაში რეორგანიზაციამდე არსებული 100 შტატი და გახდა 110 შტატი. აღნიშნული გარემოება არ ქმნიდა მოსარჩელის განთავისუფლების საფუძველს, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96.2 მუხლი იმ შემთხვევაში უშვებს მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლებს შესაძლებლობას, თუ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. ვინაიდან შტატების შემცირებას ადგილი არ ჰქონია, არსებობს სზაკ-ის 60<sup>1</sup>.1 მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლის თანახმად მისი თანამდებობაზე აღდგენის საფუძველი. გასაჩივრებული აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელე ჩართო ადმინისტრაციულ წარმოებაში, რასაც ითვალისწინებს სზაკ-ის 95.2 და 98-ე მუხლების მოთხოვნები. გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს სზაკ-ის 53.4 მუხლით გათვალისწინებულ დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული ატესტაციის შედეგები, ან რატომ არ განხორციელდა სხვა თანამდებობის შემოთავაზება. ამასთან, მოსარჩელე 23.01.2017წ. გაფრთხილდა სამსახურიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, გაფრთხილების 1-თვიანი ვადა გავიდა 24.02.2017წ., ხოლო განთავისუფლების შესახებ აქტი გამოიცა 10.03.2017წ., რის გამოც გაფრთხილება ძალადაკარგულად, ხოლო შრომითი ურთიერთობა გაგრძელებულად უნდა ჩათვლილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.3 მუხლის შესაბამისად. არასწორია აგრეთვე მოსარჩელის განთავისუფლება წინა თარიღით, კერძოდ, 10.03.2017წ. ბრძანებით მოსარჩელე განთავისუფლდა 2017 წლის 06 მარტიდან, რაც

არღვევს სზაკ-ის 5.1 მუხლით გათვალისწინებულ კანონიერების პრინციპს. მოსარჩელე აღნიშნავს აგრეთვე, რომ უფადოდ აქვს დადგენილი მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

ბალდათის მაგისტრაცი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან განთავისუფლდა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის – გამგებლის ... თანამდებობის შემცირებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ რეორგანიზაცია განხორციელდა შტატების შემცირებით, რასაც საკანონმდებლო ცვლილება დაედო საფუძვლად. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ რეორგანიზაციას არ ჰქონია მოჩვენებითი ხასიათი და არ დადასტურდა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძვლების არსებობა. აღნიშნულის გამო არ არსებობდა აგრეთვე სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. პ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2017წ. გადაწყვეტილებით ზ. პ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბალდათის მაგისტრაცი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 10.03.2017წ. №41210 ბრძანება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მუშაობდა გამგებლის ... თანამდებობაზე, რომლის სარგო განსაზღვრული იყო 875 ლარით. ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით დამტკიცდა გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, შტატების ოდენობა განისაზღვრა 110 ერთეულით, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 17.10.2014წ. №133 დადგენილება, რომლითაც ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განსაზღვრული იყო 100 საშტატო ერთეული. ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით გაუქმდა გამგებლის ... თანამდებობა და შეიქმნა ახალი პოზიცია ახალი სახელწოდებითა და სხვა ფუნქციონალური დატვირთვით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები სწორად დაადგინა, თუმცა არასწორი შეფასება

მისცა მათ. სააპელაციო პალატამ მიუთითა სზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხლების დანაწესზე, საკონსტიტუციო სასამართლოს №2/2-389, 26.10.2007წ. გადაწყვეტილებაზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 30.1 მუხლზე, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებზე და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96.2 მუხლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. ამდენად, იმისათვის, რომ რეორგანიზაციის თანმხლები შტატების შემცირების საფუძველით მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა ჩაითვალოს კანონშესაბამისად, ერთდროულად უნდა ჰქონდეს ადგილი დაწესებულების (ორგანიზაციის) რეორგანიზაციას და შტატების შემცირებას. შტატების შემცირების არარსებობა კი გამოორიციხავს ამ საფუძველით გამოცემული ინდივიდუალური აქტის კანონშესაბამისობას. აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არსებობდა მოსარჩელის თანამდებობიდან განთავისუფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები. რეორგანიზაციის შემდეგ დამტკიცებული საშტატო ნუსხით კვლავ გათვალისწინებული იყო გამგებლის ... თანამდებობა, რომელსაც შეეცვალა სახელწოდება და ნაცვლად სახელწოდებისა – გამგებლის ... ტექნიკურ საკითხებში, თანამდებობის სახელწოდება ჩამოყალიბდა, როგორც გამგებლის ... გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში. საკასაციო სასამართლოს 08.07.2015წ. №ზს-449-442(კ-15) განჩინებაზე მითითებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართალია ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით გამგებლის ... თანამდებობა შევიდა ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში (ცვლილებამდე კონკრეტულ სამსახურში გათვალისწინებული არ იყო), თუმცა მოხელის მიერ დავალებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩა, ამასთანავე, გარდა სახელწოდების დაზუსტებისა რაიმე სახის განსხვავებული უფლებამოვალეობების შესრულება მოხელეს არ დავალებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს

მოსაზრება რეორგანიზაციის შედეგად გამგებლის ... საშტატო ერთეულის შემცირების/გაუქმების შესახებ, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96.2 მუხლის წინაპირობა – დაწესებულების რეორგანიზაციისას შტატების შემცირება, რაც გამორიცხავდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ზ. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საჯარო დაწესებულების კომპეტენციას განეკუთვნება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობა საკმარისია მოსარჩელის უფლებებში აღდგენისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საპალაციო წესით გაასაჩივრა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – ზ. პ-ემ.

კასატორი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს გასაჩივრებულ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა და სასკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, დღეს მოქმედი კანონი, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტისათვის და, ამავე დროს, არასწორად განმარტა კანონი.

ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილება მიღებულია კანონის სრული დაცვით, იურიდიულად გამარ-

თული და დასაბუთებულია, რის გამოც არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ ბალდათის მაგისტრატი სასამართლოს 05.07.2017წ. გადაწყვეტილების გაუქმება. გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დროს არ დარღვეულა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

კასატორი ზ. პ-ე ითხოვს გასაჩივრებულ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემის და მისი გასაჩივრების დროს მოქმედებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ძველი რედაქცია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა კანონის ძველი რედაქციით, რომლის 127.5 მუხლის თანახმად სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის თანახმად სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებულ მოხელეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური ხელფასი იმის მიუხედავად შესაძლებელია თუ არა მისი სამსახურში აღდგენა. აღნიშნული გარემოებები გამორიცხავს ამ საკითხებთან მიმართებაში საჯარო დაწესებულების კომპეტენციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.11.2018წ. განჩინებით ზ. პ-ის და ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის (ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ ზ. პ-ე ტექნიკურ საკითხებში ბალდათის გამგებლის ... თანამდებობაზე დაინიშნა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 31.12.2014წ. №41-395 ბრძანებით, 2015 წლის 01 იანვრიდან სამთვიანი გამოსაცდელი ვადით, მისი თანამდე-

ბობრივი სარგო განისაზღვრა 875 ლარით. ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.10.2014წ. №133 დადგენილებით გამგეობის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 100 საშტატო ერთეულით და მასში გათვალისწინებული იყო გამგებლის ... ერთი საშტატო ერთეული.

ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 23.01.2017წ. №41 39 ბრძანების დანართით დგინდება, რომ ზ. პ-ე გაფრთხილებული იქნა სამსახურში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. საქმეში დაცული დანართით არ ირკვევა გაფრთხილების გაცნობის კონკრეტული დრო. ზ. პ-ე აღნიშნავს, რომ იგი გაფრთხილებას 24.01.2017წ. გაეცნო.

ზ. პ-ე ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 10.03.2017წ. №41 210 ბრძანებით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 06.03.2017წ. პერიოდიდან. ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54.1 მუხლის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.1 და 109.1 მუხლები, ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №6 დადგენილებით დამტკიცებული „ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებების“ 8.5 მუხლი და ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით დამტკიცებული ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა.

სადავო ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულ ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილების თანახმად, გამგეობაში რეორგანიზაციამდე არსებული 100 შტატი 10 ერთეულით გაიზარდა და რეორგანიზაციის შემდეგ შტატების რაოდენობა გახდა 110. ამასთან, ამავე დადგენილების თანახმად ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხით კვლავ განისაზღვრა გამგებლის ... თანამდებობა, დაზუსტდა თანამდებობის სახელწოდება და მას ეწოდა გამგებლის ... გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში. საკასაციო პალატა აგრეთვე აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციამდე არსებული და რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბებული საშტატო ნუსხების თანახმად გამგებლის ... თანამდებობა იყო უფროსი საჯარო თანამდებობა (ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26.02.16წ. №10 და 28.02.17წ. №15 დადგენილებები).

სადავო ბრძანების გამოცემის კანონიერებას არ ადასტურებს ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებული, სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.1 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას დაწესებულების შტატე-



ბით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2017წ. №15 დადგენილებით მოხდა შტატების გაზრდა. ამდენად, რეორგანიზაციის ფაქტი თავისთავად არ ქმნის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. გათავისუფლება დასაშვებია რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე განთავისუფლდა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით, თუმცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ რეორგანიზაციის შედეგად ... შტატი არსებითად უცვლელად იქნა დატოვებული, მისი შტატის შემცირება არ მომხდარა, ხოლო შტატის მხოლოდ სახელის ან დაქვემდებარების ცვლილება არ ქმნიდა განთავისუფლებისათვის საკმარის საფუძველს (სუსგ 31.01.2019წ. №ბს-667-667(2კ-18)).

საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შესაძლოა მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციონალური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად პირის მიერ სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და ა.შ. რეორგანიზაციის შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შესაძლოა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას. შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტიზაციის დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს: მათი ადგილი ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ძირითად უფლებათა ნრე (მდგომარეობას არ ცვლის ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლება ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება); მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემდგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.17წ. №15 დადგენილებით გამგებლის ... თანამდებობის ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შეს-



ვლის მიუხედავად (ცვლილებამდე ... თანამდებობა არ იყო გათვალისწინებული კონკრეტულ სამსახურში) მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩა. ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაუსაბუთებია რეორგანიზაციის შედეგად გამგებლის ...ათვის განსხვავებული ფუნქციების განსაზღვრა, აღნიშნული თანამდებობისათვის განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების წამოყენება, აგრეთვე ახალი სამშაბო ნუსხით გამგებლის ...ათვის დაკისრებული ფუნქციის ზ. პ-ის მიერ შესრულების შეუძლებლობა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შესაგებელის ზოგადი მითითება იმის შესახებ, რომ ახალი სამშაბო ნუსხით გამგებლის ...თვის დადგინდა განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები, არ არის დასაბუთებული. საქმის მასალებით დადასტურებულია რეორგანიზაციის შედეგად შტატების 10 ერთეულით ზრდა და მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის კვლავ არსებობა, ხოლო მოპასუხე – ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არც სადავო აქტში და არც საქმის განხილვის განმავლობაში არ მოუყვანია ... ერთეულის ფუნქციონალური ცვლებადობის დამადასტურებელი არგუმენტაცია. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც განერილი იქნებოდა გამგებლის ... ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები. მოპასუხის მიერ არ წარმოდგენილა აგრეთვე ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.17წ. დადგენილებით დამტკიცებული ახალი სამშაბო ნუსხით გათვალისწინებული გამგებლის ... (გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში) თანამდებობის ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების აღწერა. ამდენად, არ დასტურდება ... თანამდებობის გაუქმება, ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების ცვლილება. მუშაკის პროფესიული ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან ობიექტური მონაცემებით უნდა დასაბუთდეს, დავის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია შეუსაბამობის მტკიცების ტვირთი. შტატების ოდენობის გაზრდის გათვალისწინებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები არ იწვევს უცილობლად მუშაკის სამსახურიდან დათხოვნას, გათავისუფლების გარდა შესაძლებელია განისაზღვროს კვალიფიკაციის ამალგების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა, დაქვეითება, ალტერნატიული სამსახურის შეთავაზება.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს ინდივიდის არა მხოლოდ სამუშაოს არჩევის, არამედ ასევე ამ სამუშაოს განხორციელების,

შენარჩუნებისა და დათმობის უფლებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.02.1997წ., №2/4-24, 26.10.07წ. №2/4-24 გადაწყვეტილებები). ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 6.1 მუხლის, ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის თანახმად სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენს შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა. სახელმწიფოს მიერ ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნით განხორციელება განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულო ხარისხს. საჯარო მოსამსახურე კონკრეტული გადაწყვეტილების, მით უფრო საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდულია კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად (სზაკ-ის მე-5 მუხ.). ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებები ყოველმხრივ, ობიექტურად უნდა გამოეკვლია, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავისი ბუნებით გამგეობა ერთდროულად არის თვითმმართველობის და ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო უნდა ხელმძღვანელობდეს როგორც თვითმმართველობის განხორციელებისათვის, ასევე ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილი პრინციპებით, ორივე შემთხვევაში კანონიერების პრინციპის დაცვა გადაუდებელ იმპერატივთა რიგს განეკუთვნება. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირ-

თა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები უნდა გამომდინარეობდეს ნორმატიული აქტებიდან და მიღებულ იქნეს მათ აღსასრულებლად. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა აღნიშნული პრინციპის შესაბამისად.

რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდეგ დამტკიცებულ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის და გამგეობის დებულებების თანახმად გამგეობის თანამდებობის პირები არიან: გამგებელი, გამგებლის მოადგილე და გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. მათ შორის მითითებული არ არის გამგებლის ..., სარჩელზე მოპასუხეს არ დაუსაბუთებია გამგებლის ...ათვის იმგვარი ფუნქციის განსაზღვრა, რაც უპირობოდ შექმნიდა გამგებლის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში გამგებლის ... თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს. არ დასტურდება გამგებლის ... მიერ ფუნქციის შესრულების გამგებლის/მერის პერსონაზე დამოკიდებულება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ №3/5/626, 17.10.2017წ. გადაწყვეტილება, §39), არ დასტურდება ... მიერ პოლიტიკური მიმდინარეობის კურსის წარმართვა, მის მიერ სახელისუფლებო ფუნქციების შესრულება (№3/5/626, 17.10.2017წ. გადაწყვეტილება, §49).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მართებულია გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი (ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 04.12.17წ. №44 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 27.03.17წ. №21 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება და დამტკიცდა ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება). კასატორი – ბალდათის მუნიციპალიტეტის მერია ვერ ასაბუთებს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების უსწორობას, საკასაციო საჩივარში მოყვანილი ზოგადი მოსაზრებები გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის შესახებ არ ქმნის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს. სასკ-ის 32.1 მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო სასკ-ის 22-ე მუხლში

აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის კანონიერება უნდა დადგინდეს სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით, რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნების დანარჩენ ნაწილს, კერძოდ, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ნაწილში დავა უნდა გადაწყდეს დავის განხილვის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის, 01.07.17წ. ძალაში შესული „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.15წ. კანონის საფუძველზე. დაუსაბუთებელია კასატორების მოსაზრებები სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტის უკუძალის შესახებ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24.1 მუხლის დანაწესის დარღვევის თაობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის მოქმედება როგორც წესი ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის შემდგომ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით (24.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში კანონს ამგვარი (ნამდვილი) უკუძალა არ გააჩნია, მოცემულ შემთხვევაში ახალი კანონი ზემოქმედებს კანონის მიღებამდე წარმოშობილი სამართალურთიერთობების მომავალში განვითარებაზე, კანონი ცვლის სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან (ნორმის გადაუდებელი მოქმედება). მოცემულ შემთხვევაში ნორმა ეხება აწმყოში მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებს და ფაქტებს (სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება), სახელდობრ ამ თვალსაზრისით არის შესაძლებელი საუბარი განსახილველ შემთხვევაში უკუქცევით ძალაზე (კანონის ე.წ. არანამდვილი (რეტროაქტიული) უკუძალის მინიჭება კანონისთვის), რომელიც საჯარო სამართალში დასაშვებია (სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის სფეროს გარდა). კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან უფლება-მოვალეობებზე ზემოქმედება მისი საყოველთაობის გამოვლენა და არ არის დამოკიდებული საკანონმდებლო აქტში მისი მოქმედების წესის აღნიშვნაზე. ახალი კანონი ვრცელდება არა მხოლოდ მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, არამედ აგრეთვე მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ მიმდინარე სამართალურთიერთობაზე, ახალი კანონი ზემოქმედებს უფლება-მოვალეობებზე მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ამდენად, ადგილი არ აქვს სააპელა-

ციო სასამართლოს მიერ სადავო ურთიერთობების გადანყვეტას არასათანადო ნორმის საფუძველზე, თუმცა დავის ობიექტური გადანყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს ნორმის სწორ განმარტებას.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში აღინიშნა, რომ ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ზ. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხის გადანყვეტა საჯარო დაწესებულების კომპეტენციას განეკუთვნება, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობა საკმარისია მოსარჩელის უფლებებში აღდგენისათვის, აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ. პ-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. საკასაციო პალატა თვლის, რომ ხსენებულ ნაწილში სასამართლოს გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში ითვალისწინებდა მოხელის დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობდა აღდგენაზე. პალატა აღნიშნავს, რომ მსგავსი შინაარსის დებულებებს შეიცავს ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გადანყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამასთანავე, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევებს (თანამდებობის არარსებობის ან ამ თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების გამო). იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო საჯარო დაწესებულებამ უნდა მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირი ირიცხება მოხელეთა რეზერვში და მას ეძლევა განაცდური შრომითი გასამ-

რჯელო და კომპენსაცია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში.

მოხელის სამსახურში აღდგენის საკითხზე სასამართლო კომპეტენციის არარსებობის შესახებ სააპელაციო პალატის მოსაზრება ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას (იხ. სუსგ №376-376(2კ-18), 11.12.2018წ.; №ბს-234-234(2კ-18), 27.09.2018წ.). სასამართლოს წინაშე დასმული საკითხის სასამართლოსადმი არაქვემდებარეობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ემყარება პროცესუალურ კანონმდებლობას, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის არარსებობა იწვევს სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტას და არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, სსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მუშაკის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის საკითხი არ განეკუთვნება ადმინისტრაციის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა რიგს, საწინააღმდეგო პირის უფლებებში აღდგენაზე სასამართლო კონტროლის გამორიცხვას უთანაბრდება. სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ზ. პ-ის სამსახურში აღდგენის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია მისი თანამდებობის ვაკანტურობის ან ამავე დანესებულებაში ტოლფასი თანამდებობის არსებობის საკითხი, რის შემდეგაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის შესაბამისად გადაენწყვიტა ზ. პ-ის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი (სუსგ №376-376(2კ-18), 11.12.2018წ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საკითხის ერთი სასამართლოწარმოების ფარგლებში გადაწყვეტა, რათა დასაქმებულს უფლებებში აღდგენის მიზნით არ მოუწიოს კანონით გათვალისწინებული სამი სხვადასხვა საშუალებიდან (პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა, ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფა, კომპენსაცია) სასამართლოსადმი რამდენიმეჯერ მიმართვა თითოეული მათგანის მოსაპოვებლად. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების სასამართლო წესით ბათილად ცნობის შემდგომ საჯარო სამსახურის მიერ აღდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა მოხელეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რადგანაც მან უფლების აღდგენის მიზნით ხელახლა უნდა მიმართოს სასამართლოს,



ამცირებს მართლმსაჯულების ეფექტურობას. ამდენად, სასამართლო საქმის განხილვისას ვალდებულია გამოიკვლიოს პირის უფლებებში აღდგენის ყველა შესაძლებლობა, რათა დაადგინოს მოსარჩელის უფლებრივი რესტიტუციის საუკეთესო გზა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება ილუზორულს ხდის მოსარჩელის უფლების აღდგენას, სააპელაციო პალატა შემოიფარგლა ადმინისტრაციის უფლებებზე მითითებით და არ იქონია მსჯელობა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობაზე.

ადმინისტრაციული სამართალწარმოებით გათვალისწინებული უფლების დროებით დაცვის სამართლებრივი საშუალებების (სასკ-ის 29-ე, 31-ე მუხ.) გამოყენების შემთხვევაში, სადავო გადანყვეტილების ბათილად ცნობა უცილობლად იწვევს მოხელის დაუყოვნებლივ თანამდებობაზე აღდგენას, რამდენადაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამორიცხავს თანამდებობაზე სხვა პირის დანიშვნას. ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში ხსენებული საპროცესო საშუალებების გამოყენება არ მომხდარა, არ გამორიცხავდა სააპელაციო პალატის ვალდებულებას შეესწავლა მოსარჩელის ... თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ გათავისუფლებამდე ზ. პ-ის მიერ დაკავებულ ... თანამდებობაზე სხვა პირი არ არის დანიშნული, მოსარჩელე ექვემდებარება აღდგენას. იმ შემთხვევაში, თუ ... თანამდებობა დაკავებულია სხვა მოხელის მიერ და მისი დანიშვნის კანონიერება არ არის სადავო, ზ. პ-ე ექვემდებარება ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას, ვინაიდან მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტი კანონსაწინააღმდეგოა, რაც ქმნის სამსახურში აღდგენის სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო პალატამ ადმინისტრაციულ სასამართლოწარმოებაში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) მტკიცებულებათა გამოთხოვისა და შესწავლის გზით, უნდა გააანალიზოს ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა, ფუნქციონალური დატვირთვა, დაადგინოს დაწესებულებაში მსგავსი დატვირთვისა და ფუნქციონალური მახასიათებლების მქონე თანამდებობის არსებობა, ტოლფას თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენის შესაძლებლობა. გათავისუფლების პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, შტატების შემცირების გარეშე რეორგანიზაცია შესაძლოა გამხდარიყო სამუშაოზე გადაყვანის საფუძველი (43-ე მუხ.). რეორგანიზაციის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამორიცხება მოხელის გადაყვანა სხვა, მათ შორის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ახალ თანამდებობაზე, თუნდაც რანგით უფრო დაბალზე, რაზეც მოსარჩელე სასარჩელო განცხადების, სააპელაციო



და საკასაციო საჩივრების შინაარსიდან გამომდინარე არ იყო წინა-აღმდეგი. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საჯარო-შრო-მითი ურთიერთობის ამ მიმართებით გარდაქმნის შესაძლებლობა-ზე. ვინაიდან საქმეზე არ იყო გამოკვლეული სამსახურში აღდგე-ნის ყველა შესაძლებლობა, დაუსაბუთებელია აგრეთვე განაცდუ-რის ანაზღაურებაზე უარის თქმა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს სასამართლო მოკლებულია ახალი მტკი-ცებულებების მოპოვების და შეფასების შესაძლებლობას, იგი არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასა-მართლოში ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებუ-ლებების მიღების შესაძლებლობას. სსკ-ის 377.1 მუხლის შესაბა-მისად, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს ფაქტობრივი და სამარ-თლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, ვინაიდან საკასაციო სასა-მართლო ვერ იქონიებს მსჯელობას ზ. პ-ის სამსახურში აღდგენი-სა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხზე ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, არსებობს სსსკ-ის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუ-ნების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. პ-ის საკასაციო საჩი-ვარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თანამდებობაზე აღდგე-ნისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნა-წილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქ-მე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმა-ვე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაცი-ული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე და 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ზ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-

ციულ საქმეთა პალატის 28.11.2017წ. გადაწყვეტილება ზ. პ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.11.2017წ. გადაწყვეტილება;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის უფლების დაცვა**

### **განჩინება საქართველოს სასხალით**

№ბს-376-376(2კ-18)

11 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. ჭ-ემ 2017 წლის 17 აპრილს ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობების შემსრულებლის 2017 წლის 23 მარტის №41318 ბრძანების ბათილად ცნობა, ბ. ჭ-ის გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე აღდგენა და ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მის სასარგებლოდ დაკისრება, გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მოსარჩელის განმარტებით, იგი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 9 იანვრის ბრძანებით №4111 დაინიშნა გამ-

გებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე და მის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა ... თემი. აღნიშნული თანამდებობიდან გათავისუფლდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობების შემსრულებლის 2017 წლის 23 მარტის უკანონო და დაუსაბუთებელი №41318 ბრძანების საფუძველზე. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლების ძირითადი არგუმენტი იყო მასზე დაკისრებული მოვალეობების ბრალეული ან არაჯეროვანი შესრულება, რასაც ის არ ეთანხმება.

ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის არგუმენტაცია მის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ბ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ჭ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 23 მარტის №41318 ბრძანება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითა, რომ მუშაკის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ 2017 წლის 23 მარტის №41318 ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად უნდა გაარკვიოს, რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა ადმინისტრაციული ორგანო მოსამსახურის სამუშაოდან განთავისუფლებისას.

სააპელაციო პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ბ. ჭ-ე 2015 წლის 8 იანვრიდან მუშაობდა გამგებლის წარმომადგენლად ... ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში და მისი დარიცხული ხელფასი შეადგენდა ყოველთვიურად 1000 ლარს. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 23 მარტის №41318 ბრძანებით ბ. ჭ-ე გათავისუფლდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების მოტივით და

ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტები“ (გამგებლის/მერის უფლებამოსილება), „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი (გამგებლის არყოფნისას გამგებლის მოადგილის უფლებამოსილება). აღნიშნული ბრძანების მიღებას საფუძვლად დაედო ბაღდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2017 წლის 21-23 მარტის ბაღდათის რაიონის სოფელი ... შემონმების შედეგად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესრულების შესახებ აუდიტის სამსახურის დასკვნა. აღნიშნული დასკვნით ირკვევა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოიყო 64220 ლარი. კრების გადაწყვეტილებით განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოების პრიორიტეტები. მათი სურვილით ისეთ სამუშაოებს, რომელიც ადამიანური რესურსით შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მოსახლეობა აიღებდა საკუთარ თავზე, რათა თანხები მიზნობრივად გახარჯულიყო, ხოლო რომელიც მათ ძალებს აღემატებოდა შესრულდებოდა ტენდერით. დასკვნის თანახმად, შესრულებული სამუშაოების 50%-ზე მეტი იყო უვარგისი და განმეორებით გასაკეთებელი, ცხაურები გაკეთებული იყო საპროექტო ნორმების უხეში დარღვევით, ამავე დასკვნით დადგენილია, რომ სოფელში არის რამდენიმე სასაფლაო, აქედან ორი იყო შემოსალობი, ერთი იყო მალლობზე, რომელსაც ესაჭიროებოდა საყრდენი კედლის ჩასხმა, რაც გაკეთებულია სანახევროდ და უხარისხოდ, მეორე იყო მავთულბადით შემოსალობი. შეძენილ იქნა ბოძებიც და მავთულბადეც, მაგრამ ზოგი ბოძი ცემენტის ხსნარით არის გამაგრებული, ზოგი კი პირდაპირ მიწაშია ჩაფლული. სამუშაოები არის დაუსრულებელი, ცემენტი დაუხარჯავი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა გასაჩივრებული აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით და საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 24 ნოემბრის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №5006584917 დასკვნაზე მითითებით მიიჩნია, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გასაჩივრებული 2017 წლის 23 მარტის №41318 ბრძანებით არ დგინდებო-

და თუ რა ფაქტობრივი გარემოება დაედო საფუძვლად ბ. ჭ-ის გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემას, რამდენადაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, სამუშაოები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად, კერძოდ, 1. ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, სოფელ ... სასაფლაოს შემოღობვის მოწყობისათვის შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია; 2. ... უბანში არსებული სასაფლაოს საყრდენი კედლის ზედა ნაწილის სიგანე არ შეესაბამება წარმოდგენილი პროექტში მითითებულ მონაცემს. აღნიშნული ნაწილის ზომა წარმოდგენილ პროექტში მითითებულია 200 მმ, ხოლო ფაქტობრივად შეადგენს 300 მმ, რაც 100 მმ-ით მეტია პროექტით გათვალისწინებულზე; 3. სოფელ ... დ. რ-ის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი ცხაურის ხილული ზომები, შეესაბამება წარმოდგენილი 5-მეტრიანი რკინა/ბეტონის ცხაურის პროექტში მითითებულ შესაბამის მონაცემებს; 4. ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე აღნიშნული ცხაურის მოწყობისათვის შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ბ. ჭ-ე იყო საჯარო მოსამსახურე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას ადგილობრივი თვითმმართველობის დანესებულებაში. ბ. ჭ-ის დაკავებულ თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველად სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული არცერთი სამართლებრივი ნორმა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს არ აძლევდა უფლებას შესაბამისი დასაბუთების გარეშე, უმოტივაციოდ დაერღვია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მოსარჩელის შრომის უფლება, ვინაიდან საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონშია რეგლამენტირებული, დიდწილად გამომდინარეობს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებათა სპექტრიდან, საქართველოს კონსტიტუციიდან. ამასთან, სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმად, (გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007) კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილებით დამტკიცებული ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრული გამგეობის წარმომადგენლის უფლება-მოვალეობების დარღვევის ფაქტი ვერ იქნა გამოვლენილი; დებულების მითითებული მუხლის თანახმად, გამგებლის წარმომადგენელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში: უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს გამგეობასთან, საკრებულოსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან, აცნობს მათ მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს; კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას; ახორციელებს კონტროლს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, გამწვანების, გარე განათებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებზე; ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობებს; საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და ეკონომიკურად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამიდან სოციალური დახმარების მიღების მიზნით; მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების პროექტების შემუშავებაში და ახორციელებს კონტროლს ამ პროგრამების განხორციელებაზე და სხვა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სოფელ ... მიმდინარე სხვადასხვა სახის სამუშაოების ხარისხის შეფასება არ წარმოადგენდა მოსარჩელის ვალდებულებას მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა გამგეობის მიერ შესრულებული სამუშაოების კონტრაქტორების მხრიდან ჩაბარება და იმასაც, რომ რაიმე სახის ზიანი სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შესახებ გამგეობას დაქირავებული კერძო პირების მიმართ არ მოუთხოვია, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში ბ. ჭ-ეს დისციპლინური სახდელი არ დაკისრებია.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული 2017 წლის 23 მარტის №41318 ბრძანებით არ დგინდებოდა თუ რა ფაქტობრივი გარემოება დაედო საფუძვლად ამ აქტის გამოცემას, ამასთან არასწორად მიეთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს

კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ, სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება), ვინაიდან მხოლოდ დაუსაბუთებელ აუდიტის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან გაანალიზების პირობებში არ იძლეოდა ისეთი მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას, რასაც მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილში საფუძვლიანად იქნა მიჩნეული და ის დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება დაკავებულ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენისა და განაცდურის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, აღნიშნული თავად საჯარო დაწესებულების კომპეტენციას წარმოადგენს და მოცემული საკითხი ამ ეტაპისთვის არ ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონოდ ცნობა საკმარისია მოსარჩელის იმ უფლებებში აღსადგენად, რაც გასაჩივრებული ბრძანების გამოცემამდე გააჩნდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურას წარმოადგენდა, რის გამოც დამატებით ამ მოთხოვნაზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებს. ამდენად, ამ ნაწილში სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც ბ. ჭ-ემ, ასევე სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს.

კასატორი ბ. ჭ-ე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლი, მოხელის უფლების დაცვის შესახებ და აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გათავისუფლების ბრძანების ბათილად



ცნობის შემდგომ მოპასუხე თავად არის ვალდებული აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, რომელშიც მოსარჩელე სამსახურიდან განთავისუფლებამდე იმყოფებოდა.

კასატორის მითითებით, სარჩელის აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმამ გააუარესა მისი სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 ივლისიდან, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია დასახელებული კანონის ამოქმედებამდე. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გამოეყენებინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის არა ზემოხსენებული რედაქცია, არამედ ის რედაქცია, რომელიც მისი უფლების დარღვევის პერიოდში მოქმედებდა.

ამასთან, კასატორის განმარტებით, მოპასუხისათვის მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის დავალდებულებასა და იძულებითი განაცდურის დაკისრებასთან დაკავშირებით სასამართლო უწყების მხრიდან მსჯელობაზე კომპეტენციის არარსებობა წარმოადგენს არა სასარჩელო მოთხოვნის განხილვისა და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ აღნიშნულ ნაწილში სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს.

კასატორის – ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, დღეს მოქმედი კანონი, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნდა ბ. ჭ-ის თანამდებობიდან განთავისუფლების მომენტისათვის და, ამავე დროს, არასწორად განმარტა კანონი.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება მიღებულია კანონის სრული დაცვით, არის იურიდიულად გამართული და დასაბუთებული და ზუსტად პასუხობს კანონის მოთხოვნებს. თავის მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ნოემ-

ბრის გადაწყვეტილება ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არასწორია, ვინაიდან ბრძანების გამოცემის დროს არ დარღვეულა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ივლისის განჩინებით ბ. ჭ-ისა და ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ამჟამად ბალდათის მუნიციპალიტეტის მერია) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (31.10.97წ. №1022-III) მე-3 მუხლის მიხედვით განსაზღვრული იყო საჯარო სამსახურის სახეები და მოიცავდა სახელმწიფო სამსახურსა და სამსახურს ადგილობრივ თვითმმართველობაში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი განმარტავდა საჯარო მოსამსახურის ცნებას, კერძოდ საჯარო მოსამსახურე მითითებული ნორმის შესაბამისად იყო პირი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (27.10.15წ.4346-III) მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ასევე განსაზღვრავს საჯარო მოხელის ცნებას და ადგენს, რომ პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე (შემდგომ – მოხელე) არის პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც

ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორი ბ. ჭ-ე არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტი, რამდენადაც ის ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 09 იანვრის №4111 ბრძანებით დაინიშნა გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე და მის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა სოფელი ფერსათი. დადგენილია, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის №41 318 ბრძანებით, ბ. ჭ-ე გათავისუფლდა გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან. ამავე ბრძანებაში გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტები“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი. ამდენად, დავის ძირითადი საგანია ბ. ჭ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან გასაჩივრებული აქტით შეიზღუდა მოსარჩელის – ბ. ჭ-ის კონსტიტუციით დაცული შრომითი უფლება, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დადგინდეს უფლებაში ჩარევას ჰქონდა თუ არა სათანადო სამართლებრივი საფუძველი, რაც ასევე განაპირობებს მოსარჩელის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ბ. ჭ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის №41 318 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მოსარჩელე ბ. ჭ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროისათვის მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურიდან განთავისუფლება, წარმოადგენს საჯარო სამსახურის უმკაცრეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას, რომლის გამოყენება საჯარო დაწესებულების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, გამართლებული და მყარად დასაბუთებული უნდა იყოს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. კოდექსი მიუთითებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის ორი სახის საფუძველს, კერძოდ, ბათილობის მატერიალურ და ფორმალურ საფუძველს, რომელთა დარღვევა წარმოადგენს აქტის ბათილად ცნობის წინაპირობას. პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების კრიტერიუმებს წარმოადგენს აქტის გამოცემის უფლებამოსილება, ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე, აქტის ფორმა და მისი დასაბუთება, ასევე მითითება გასაჩივრების უფლებაზე, ხოლო საჯარო დაწესებულების მიერ სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების ფარგლებში სასამართლო ამონმებს უფლებამოსილების სამართლებრივ საფუძველთან, მოქმედ კანონებსა და სამართლის პრინციპებთან შესაბამისობას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების საფუძველზე, დარღვევის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მისი ბათილად ცნობის თაობაზე.

ბ. ჭ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება; ბ) დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოების საშიშროების ბრალეული შექმნა; გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისთვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ამავე კანონის 99-ე მუხლი ადგენს სამსახურიდან განთავისუფლებას დისციპლინური გადაცდომისათვის. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის; მე-2 პუნქტის

თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის კი ითვალისწინებს მოხელის განთავისუფლებას სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. ამდენად, მოხელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა წარმოადგენს მისი სამსახურიდან განთავისუფლების წინაპირობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გადაცდომა განეკუთვნება უხეშ დარღვევას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასდეს გადაცდომის ხასიათი და გადაცდომის შედეგად დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის ფარგლები.

საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ ბალდათის მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსარჩელე ბ. ჭ-ის მიმართ სადავო აქტის გამოცემამდე სხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოუყენებლობის ფაქტი და საქმეში არსებული ბალდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2017 წლის 21-23 მარტის ბალდათის რაიონის სოფელი ... შემონმების შედეგად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესრულების შესახებ შიდა აუდიტის დასკვნა ერთობლიობაში არ იძლეოდა ბ. ჭ-ის მიმართ უმკაცრესი დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების, მისი სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს, რამდენადაც უტყუარად არ დასტურდება მოვალეობათა უხეში დარღვევა. მოვალეობათა უხეში დარღვევის არარსებობას ადასტურებს 2017 წლის 24 ნოემბრის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №5006584917 დასკვნა, რომლის თანახმად დადასტურებულია ის გარემოება, რომ ბ. ჭ-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და სამუშაოები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად, ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შესრულებლის გასაჩივრებული 2017 წლის 23 მარტის №41318 ბრძანებით არ დგინდება თუ რა ფაქტობრივი გარემოება დაედო საფუძველად ბ. ჭ-ის გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემას, ამდენად, ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბ. ჭ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილადაა ცნობილი, თუმცა საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებას,

რომ პირის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მსჯელობა ამ ეტაპისათვის არ ექვემდებარება სასამართლოს შეფასების საგანს და ის ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაა. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია, ვინაიდან საკითხის სასამართლოს კომპეტენციის არარსებობის შემთხვევაში წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის და არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი და ასეთი მოსაზრების არსებობის პირობებში სააპელაციო პალატას ბ. ჭის სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილში უნდა შეენეციტა საქმის წარმოება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი იცავს შრომის თავისუფლებას, რაც მოიცავს როგორც სამუშაოს არჩევის, ასევე მისი განხორციელების შენარჩუნების და დათმობის უფლებას. კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით საქართველოს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გარანტირებულია საჯარო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლება, სადაც მიღების პირობები განსაზღვრულია კანონით, ამდენად, საქართველოს ყველა მოქალაქე საჯარო სამსახურში მიღებისას, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს, დაცულია რაიმე სახის არამართლობიერი, კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან. „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). დამსაქმებლის მხრიდან ამ უფლების შეზღუდვა უნდა იყოს მართლობიერი და გამომდინარეობდეს ობიექტური აუცილებლობიდან.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მო-



ნაწილებდეს თავისი ქვეყნის მართვა – გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში აგრეთვე, ყველას აქვს შრომის სამართლიანი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ შრომის უფლების დაცვის განსახორციელებლად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები. მითითებული საკანონმდებლო აქტი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძველებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი, ასევე 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც არსებობს გათავისუფლების აქტის ბათილობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში დადასტურებულია ბ. ჭ-ის უკანონოდ გათავისუფლება, ამდენად საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია ბ. ჭ-ის სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების საკითხის სამართლებრივი შეფასება.

საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობოდა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შეს-



რულების სანაცვლო ანაზღაურებით. ანალოგიურ მოლოდინს უზრუნველყოფს 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო მოხელის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უზრუნველყოს მოხელეების მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, კარიერული წინსვლის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ გარანტირებულად მიიღებს თანამდებობრივ სარგოს, გარდა მისი მართლზომიერად, კანონიერ საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევისა“. შესაბამისად, ის ანაზღაურება, რომელსაც მოხელე ვერ იღებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო, წარმოადგენს ზარალს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზნებისთვის.

ამასთან, უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. მათ შორის – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის C 158 კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-10 მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ანიჭებს უფლებას სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე, ხოლო 1963 წლის რეკომენდაციის R 118 (Termination Of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფი ითვალისწინებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებას მიუღებელ ხელფასზე. ამასთან, სამსახურიდან დათხოვნა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს (იხ. *Ozpynar v. Turkey*, no. 20999/04, §§ 43-48, 19 ოქტომბერი 2010).

საკასაციო პალატა მიუთითებს, 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. პალატა აღნიშნავს, რომ მსგავსი შინაარსის დებულებებს შე-

იცავს დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი, იმ განსხვავებით, რომ მოქმედ რეგულაციაში მონესრიგებულია საკითხი ისეთი შემთხვევის არსებობისას, როდესაც იმავე თანამდებობაზე აღდგენა შეუძლებელია (არარსებობის ან სხვა პირის მიერ ამ თანამდებობის დაკავების გამო). მითითებული ნორმის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ასევე დარეგულირებულია მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის საკითხი, შესაბამისი პირობების არსებობისას, რა დროსაც კანონმდებელი დამსაქმებელს აკისრებს შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოხელის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და ამ კანონით გათვალისწინებულ დანამატს (საკლასო დანამატი, ნამსახურობის დანამატი და ნოდებრივი სარგო). „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და ნოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კანონის აღნიშნული დანაწესი მიუთითებს შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, მოხდება მოხელის იმავე თანამდებობაზე აღდგენა, თუ მისთვის შეთავაზებული იქნება ტოლფასი თანამდებობა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განაცდურის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს მითითებული ნორმა ანიჭებს მისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, იმ შემთხვევაში თუ აღდგენილი იქნება იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე. ამისათვის აუცილებელია დადასტურდეს მოხელის გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობა, რაც განსახილველ შემთხვევაში, ბ. ჭ-ესთან მიმართებით, დადასტურებულია.

რაც შეეხება მოხელეთა რეზერვში ჩარიცხული მოხელის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების საკითხს, მისი რეგულაცია მოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის თანახმად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც მოხელის

სამსახურში აღდგენა შეუძლებელია, იგი მოხელეთა რეზერვში ირიცხება და ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და ნოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე კომპენსაცია ბოლო თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით 6 თვის განმავლობაში, რისთვისაც ასევე აუცილებელია დადასტურდეს დამსაქმებლის მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული აქტის კანონშესაბამობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ანაზღაურების ოდენობის დადგენის კუთხით უმთავრესია დადგინდეს, რა ფორმით მოხდება უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის უფლების აღდგენა, კერძოდ, დაექვემდებარება ის იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას, თუ ჩაირიცხება მოხელეთა რეზერვში. მითითებული ფაქტის დადგენას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით, ვინაიდან აღნიშნული ნორმა განსხვავებულ რეგულაციებს ითვალისწინებს, იმის მიხედვით, არსებობს თუ არა მოხელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობა, ისე რომ არ შეიღაბოს სხვა პირის შრომის უფლება. პალატა აღნიშნავს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, იმ შემთხვევაში თუ არსებობს ასეთი თანამდებობა და ის ვაკანტურია, რა დროსაც საჯარო სფეროში დასაქმებულთა უფლებები საჭიროებს ეფექტურ სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებათა შესრულების კუთხით. პალატა მიუთითებს, რომ მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრობდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა, რადგან დაუშვებელია მოხელის უფლების დაცვა მოხდეს მეორე მოხელის უფლების დარღვევის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღ-

დგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურების საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (აქტის ბათილად ცნობა) აღსრულების პროცედურას წარმოადგენს, ვინაიდან ეს მოსაზრება არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. ამ მოსაზრების სანიხალმდევოდ საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება მის ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა თუ მაღალი ხელშემკერელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს კანდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს (იხ. *IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, §42; . *Burdov v. Russia*, §34;).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დგინდება, რომ მოსარჩელის იურიდიულ ინტერესი ვერ იქნება მიღწეული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში და სასამართლოს გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში (სასარჩელო მოთხოვნის აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაუკმაყოფილებლობის პირობებში) მისი უფლების განხორციელება დამოკიდებული ხდება ადმინისტრაციული ორგანოს კეთილნებაზე, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლების დაცვას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის, სასამართლო განხილვის დროს არსებითია სააპელაციო პალატამ გამოიკვლიოს, რამდენად არსებობს ბ. ჭ-ის სამსახურში იმავე თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა/შეუძლებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ბ. ჭ-ის თანამდებობა დაკავე-

ბულია სხვა მოხელის მიერ და მისი დანიშვნის კანონიერება არ არის სადავო, სააპელაციო პალატამ ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (საკ-ის მე-19 მუხ.) მტკიცებულებათა გამოთხოვის გზით, უნდა გამოიკვლიოს ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების სახეები, მათი შემადგენლობა და დასაქმებულ პირთა რაოდენობა, გამოკვლევას საჭიროებს ასევე საკითხი, ხომ არ აქვს ადგილი ერთი სამსახურის/თანამდებობის ფორმალურ მონაცვლეობას ერთსა და იმავე ან ზემდგომ/ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და არსებობს თუ არა საჯარო დაწესებულებაში იმავე დატვირთვის და ფუნქციური მახასიათებლების მქონე თანამდებობა. მითითებული საკითხის გამოკვლევა ატარებს მნიშვნელოვან დატვირთვას იმავე დაწესებულებაში ბ. ჭ-ის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე, ან ტოლფას თანამდებობაზე მისი აღდგენის კუთხით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატას ჰქონდა შესაძლებლობა, მისთვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რამდენადაც აღნიშნული განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმეზე კანონიერი და ობიექტური გადანყვეტილების გამოტანა.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უფლების დროებითი დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამავე კოდექსით განსაზღვრული სარჩელის სახეების მიხედვით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში. განსახილველი კატეგორიის საქმეებზე სასარჩელო წარმოების დაწყებისას, მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება. მხარის შუამდგომლობის წარდგენისას, სასამართლო შესაბამისი შემონების საფუძველზე იღებს გადანყვეტილებას. ასეთი სახის გან-

ჩინება უზრუნველყოფს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ მოწესრიგებას, თუ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას. როგორც უკვე აღინიშნა, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მოხელის იმავე თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის შესახებ. გადაწყვეტილების აღსრულების შედეგები არის განსხვავებული იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განხორციელდა უფლების დაცვა. თუკი სარჩელის განხილვის ეტაპზე მოხდება გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება უფლების დაცვის დროებითი საშუალების ფარგლებში, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხელე დაუყოვნებლივ იქნეს აღდგენილი იმავე თანამდებობაზე, რამდენადაც სადავო თანამდებობაზე არ მომხდარა სხვა პირის დანიშვნა. ხოლო თუ ეს უფლება არ არის გამოყენებული და მოხელის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე დანიშნულია სხვა პირი, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიმართვის გზით, მოხელის საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფას ვაკანტურ თანამდებობაზე დასაქმების მიზნით, ხოლო თუ ამ გზითაც ვერ აღდგება მოხელე სამსახურში, აღნიშნული ეცნობება ბიუროს, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს ჩარიცხავს მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით, ამავდროულად, უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის 6 თვის განმავლობაში კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ეკისრება იმ საჯარო დაწესებულებას, რომლიდანაც მოხდა პირის უკანონოდ გათავისუფლება. ამდენად, პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი უზრუნველყოფს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. მოხელე საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში დაცულია სწორედ ამ საჯარო-სამართლებრივი ნორმატიული აქტით, რომელიც ქმნის გარანტიას, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც შრომითი მოწყობის, დაწინაურების, აგრეთვე, მისი გათავისუფლების საკითხიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-



სამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს უკანონოდ გათავისუფლებულ პირთა უფლებებში აღდგენას და მიღებული უკანონო გადაწყვეტილების თანმდევი შედეგების ეფექტურ აღმოფხვრას, რაც არ გამორიცხავს, ერთი მხრივ, მხარის შესაძლებლობას, სასამართლო დაცვის წესით გაიმყაროს სამართლებრივი მდგომარეობა და დამატებით ეძიოს უფლებაში აღდგენის მექანიზმები, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში დაავალლოს საჯარო დაწესებულებას, მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ბ. ჭ-ის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, თუ ის თავისუფალია და არ არის დანიშნული სხვა პირი მოსარჩელე ექვემდებარება აღდგენას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე (გამგებლის წარმომადგენელი ...) დანიშნულია სხვა პირი, ბ. ჭ-ე ექვემდებარება ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას, ვინაიდან მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო აქტს, რაც ქმნის ბ. ჭ-ის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე – აღდგენის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში საკასაციო სასამართლო მოკლებულია სამართლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას რა ფორმით უნდა მოხდეს ბ. ჭ-ის შრომის უფლების დაცვა. ამასთან, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს მითითებული სადავო გარემოებები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბ. ჭ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურებაზე



უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე და 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ბ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება ბ. ჭ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სამინისტროდან მოხალის გათავისუფლების კანონიერება შტატების შემცირების გამო

#### განჩინება საქართველოს სასახლით

№ბს-664-664(კ-18)

13 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და გა-  
ნაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 6 თებერვალს ა. რ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერი-  
ტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და  
ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილ-  
თა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანების, ასევე მის  
ნაწილში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულე-  
ბით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მი-  
ნისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №318-კ ბრძანების №2 დანარ-  
თის (აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორ-  
განოს საშტატო ნუსხა) ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირე-  
ბული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, გან-  
სახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრე-  
ლო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალის-  
ტის თანამდებობაზე აღდგენა და საქართველოს ოკუპირებული ტე-  
რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლები-  
სა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის ა. რ-ას სასარგებლოდ თა-  
ნამდებობიდან გათავისუფლების დღიდან – 2017 წლის 3 იანვრი-  
დან სამსახურში აღდგენამდე პერიოდისათვის განაცდური ხელ-

ფასის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ა. რ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ა. რ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ა. რ-ას სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №406-კ ბრძანების თანახმად, ა. რ-ა დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე სამთვიანი გამოსაცდელი ვადით, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 დეკემბრის №312-კ ბრძანებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2017 წლის იანვარში დაგეგმილი რეორგანიზაციის და თანამდებობების შესაძლო შემცირების შესახებ, გაფრთხილებულ იქნენ სამინისტროს, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთისა და აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეები.

2016 წლის 2 დეკემბერს განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით ა. რ-ას ეცნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 დეკემბრის №312-კ ბრძანების შესახებ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №318-კ ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-

ლებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანდართული საშტატო ნუსხები (იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა – დანართი №1, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა – დანართი №2). დანართი №2-ის თანახმად, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა განისაზღვრა 8 პირით, მათ შორის – უფროსი 1 შტატი, უფროსის მოადგილე 1 შტატი, მთავარი სპეციალისტი 1 შტატი, უფროსი სპეციალისტი 5 შტატი. ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 აპრილის №99-კ ბრძანება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მ. ჩ-ას 2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, ოპტიმიზაციის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში არსებული უფროსი სპეციალისტის 6 საშტატო ერთეული შემცირებულიყო 1 საშტატო ერთეულით და დღემდე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები განეხორციელებინა 5 უფროს სპეციალისტს. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთის უფროსი სპეციალისტის 6 საშტატო ერთეულზე დანიშნულები იყვნენ: ა. რ-ა, ჯ. ნ-ა, რ. ნ-ა, ბ. ქ-ა, ნ. მ-ა და ხ. გ-ა. აღნიშნული 6 მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მ. ჩ-ამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ უნდა მომხდარიყო უფროსი სპეციალისტის – ა. რ-ას თანამდებობიდან გათავისუფლება, რადგან დანარჩენ 5 სპეციალისტს – ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას, ნ. მ-ას და ხ. გ-ას სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე უკეთ ესმოდათ სამმართველოს მუშაობის მისია, იყვნენ კომუნიკაბელურები და შესწევდათ გუნდური მუშაობის უნარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანების თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპე-

ციალისტი ა. რ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2017 წლის 3 იანვრიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №318-კ ბრძანება, მოსარჩელის ნაწილში წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მათი კანონშესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტების გამოცემის მომწესრიგებელ და სხვა საკანონმდებლო აქტების დებულებებთან მიმართებით უნდა შემოწმებულიყო.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. მითითებული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, კერძოდ, „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენენ: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ ა. რ-ა მუშაობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გარანტირებულია სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი თანამდე-

ბობის დაკავების უფლება, ხოლო საჯარო სამსახურში მიღების პირობები განსაზღვრულია კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე საჯარო სამსახურში მიღებისას, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს დაცულია რაიმე სახის არამართლზომიერი, კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან.

ამასთან, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში აგრეთვე, ყველას აქვს შრომის სამართლიანი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მათ შორის არ დაუშვას პირის შრომითი პირობების იმგვარად დადგენა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს სამინისტროს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემის, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხას ამტკიცებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხას – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, მინისტრი კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან საქართველოს

მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

ამასთან, დადგენილია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №318-კ ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანდართული საშტატო ნუსხები (იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა – დანართი №1, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა – დანართი №2). დანართი №2-ის თანახმად, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა განისაზღვრა 8 პირით, მათ შორის – უფროსი 1 შტატი, უფროსის მოადგილე 1 შტატი, მთავარი სპეციალისტი 1 შტატი, უფროსი სპეციალისტი 5 შტატი. ამავე ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 აპრილის №99-კ ბრძანება.

მითითებული ნორმების საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა რეორგანიზაცია და ბრძანებით დაემტკიცებინა ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის საშტატო ნუსხა. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. რ-ას სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №318-კ ბრძანების დანართი №2 (აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა) ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძველოა, ვინაიდან ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული კანონის დარღვევას, რამდენადაც გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სასამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარე-



გულირებულ სამართლებრივ ნორმებთან.

სასამართლომ ასევე მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, მინისტრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, ტერიტორიულ ორგანოთა მოხელეებსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს.

საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანების საფუძველზე ა. რ-ა 2017 წლის 3 იანვრიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან შტატის შემცირების მოტივით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. ამავე კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები.

ამასთან, ამავე კანონის 97-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს

მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დადგენილ პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 8 ივლისის №ბს-449-442(კ-15) გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ საჯარო სამსახურის დანესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დანესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება, წარმოადგენს რეორგანიზაციას. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლებამოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ, იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას.

სასამართლოს მითითებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შტატების შემცირება, საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც შტატები სრულად არ უქმდება და ფუნქციურად იცვლება, გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ერთსა და იმავე პოზიციაზე დანიშნული რომელი მოხელე გაათავისუფლოს და რომელი დატოვოს თანამდებობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინაალმდეგოდ გა-

ნახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის №ბს-166-165(კ-16) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიკაციური კადრის დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება. შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა, უკავშირდება მუშაკთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. „საჯარო სამსახურის“ კანონის დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების თანახმად დასტურდება, რომ ა. რ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანებას საფუძვლად დაედო აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მ. ჩ-ას 2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, უფროსი სპეციალისტის 6 სამტატო ერთეულზე დანიშნულები იყვნენ: ა. რ-ა, ჯ. ნ-ა, რ. ნ-ა, ბ. ქ-ა, ნ. მ-ა და ხ. გ-ა. დასახელებული 6 მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მ. ჩ-ამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ უნდა მომხდარიყო უფროსი სპეციალისტის ა. რ-ას თანამდებობიდან გათავისუფლება, რადგან დანარჩენ 5 სპეციალისტს – ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას, ნ. მ-ას და ხ. გ-ას სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, უკეთ ესმოდათ სამმართველოს მუშაობის მისია, იყვნენ კომუნიკაბელურები და შესწევდათ გუნდური მუშაობის უნარი. თუმცა საქმეში წარმოდგენილი ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას,

ნ. მ-ას და ხ. გ-ას CV-ების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა მოხდეს ექვსი მოხელიდან იმ 5 პირის შერჩევა, რომლებიც კადრების შემცირების გამო დარჩენილი ადგილების მიხედვით სარგებლობენ უპირატესი დარჩენის უფლებით მათი სამუშაო გამოცდილების, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შტატის შემცირების შედეგად მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, რათა დაინტერესებული პირისთვის ცნობილი გახდეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთ დროს ის ვალდებულია გადაწყვეტილებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შესაბამისი აქტის გამოცემისას. გასაჩივრებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება კი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას და არ იძლევა გადაწყვეტილების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური

რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი და მოპასუხეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავალებოდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ა. რ-ას მიმართ კანონით დადგენილ ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სასამართლომ ასევე მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

სასამართლომ მითითებულ მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ ვინაიდან სადავო საკითხის გადაწყვეტის გარეშე ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს დავალებოდა გარემოებების გამოკვლევის და შეფასების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღ-

დგენისა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია სრულყოფილად, რაც არ იძლეოდა გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს. ამდენად, სააპელაციო სასამართლო, როგორც იურიდიული შედეგის, ასევე სამართლებრივი დასაბუთების თვალსაზრისით დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა, თავის მხრივ, უფრო განავრცო იგი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების თანახმად დასტურდება, რომ ა. რ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანებას საფუძველად დაედო აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მ. ჩ-ას 2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, უფროსი სპეციალისტის 6 სამტატო ერთეულზე დანიშნულები იყვნენ: ა. რ-ა, ჯ. ნ-ა, რ. ნ-ა, ბ. ქ-ა, ნ. მ-ა და ხ. გ-ა. დასახელებული 6 მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მ. ჩ-ამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ უნდა მომხდარიყო უფროსი სპეციალისტის ა. რ-ას თანამდებობიდან გათავისუფლება, რადგან დანარჩენ 5 სპეცი-



ალისტს – ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას, ნ. მ-ას და ხ. გ-ას სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე უკეთესად გამოარჩეულ მუშაობის მისია, იყვნენ კომუნიკაბელურები და შესწევდათ გუნდური მუშაობის უნარი. თუმცა, საქმეში წარმოდგენილი ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას, ნ. მ-ას და ხ. გ-ას ჩებისა და საქმის მასალების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საერთოდ არ მომხდარა მუშაკთა პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ. ადეკვატური, ობიექტური შეფასება; ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანება დაეფუძნა ერთადერთ დოკუმენტს – შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსის – მ. ჩ-ას მოხსენებით ბარათს, რომელში აღწერილი ინფორმაცია ცოდნადაც არ ყოფილა გამყარებული მტკიცებულებებით და ამგვარი მოხსენებითი ბარათი არ შეიძლებოდა მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი გამხდარიყო; ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი სამართლებრივი, ობიექტური მექანიზმის საფუძველზე უნდა მოეხდინა ექვსივე მოხელის პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესწავლა, შეფასება, უნდა გაეთვალისწინებინა ატესტაციის შედეგები (არსებობის შემთხვევაში) და ისე მიეღო გადაწყვეტილება ერთ-ერთი მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამგვარი ქმედების პრაქტიკაში დამკვიდრება დიდი საფრთხის მატარებელია საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული შრომის უფლებისათვის, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოს საშუალება ეძლევა თუნდაც ფორმალური რეორგანიზაციის ჩატარების მოტივით, მისთვის არასასურველი მოხელე მხოლოდ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაათავისუფლოს სამსახურიდან, მაშინ როცა, მის მიერ ამ საკითხზე მსჯელობა უნდა განხორციელდეს სწორედ სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ აღწერილი მოთხოვნების კვალობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა რა აქტის გაუქმებას სადავო საკითხის გადაწყვეტლად, აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ ვერ მოხდება საკითხის არსებითად გადაწყვეტა, რადგან მოხელეთა პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ. შემოწმება სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ ოფლებამოსილებას წარმოადგენს და დისკრეციას მიკუთვნებულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, დისკრეციაში შეჭრა, სცილდება სასამართლო კომპეტენციას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკითხზე



თავიდან მსჯელობისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, რომ გაუქმდა არა კონკრეტული, ანუ ა. რ-ას საშტატო ერთეული, არამედ, ზოგადად, გაუქმდა 6 შტატიდან მხოლოდ ერთი და დარჩა 5 ერთეული, გაუქმებამდეც და გაუქმების შემდეგაც ყველა მათგანზე დასაქმებულ პირებს ერთი და იგივე ფუნქციური უფლება-მოვალეობები გააჩნდათ, რაც გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხი უნდა გადაწყვიტოს უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპის საფუძველზე, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი, ობიექტური მექანიზმის გამოყენებით.

რაც შეეხება საქმის მასალებში არსებულ მ. ჩ-ას მიერ შედგენილ სამსახურებრივ ბარათს, სადაც ახსნილია ის მიზეზი, თუ რა დაედო საფუძვლად ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლებას, კერძოდ ის, რომ ხ. გ-ა პროფესიით იურისტია და უკეთ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველ რიგში, ა. რ-ას, ისევე როგორც ამ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული მუშაკების, მიერ დაკავებული თანამდებობებისათვის, სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენდა ზოგადად უმაღლესი განათლება და არა კონკრეტულად უმაღლესი იურიდიული განათლება. გარდა ამისა, ხ. გ-ას მიერ ა. რ-აზე უკეთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება არ დასტურდება საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით და ბოლოს, აღნიშნული სამსახურებრივი ბარათი (22.08.2017) შექმნილია ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლების (03.01.2017) შემდეგ, უფრო მეტიც, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვის (08.06.2017) შემდეგაც, რაც გულისხმობს იმას, რომ ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლების მომენტისათვის ამგვარი მოტივაცია მისთვის უცნობი იყო მისი არარსებობის გამო და რაც აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის დამატებითი საფუძველია. გარდა ამისა, სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზების წერილობითი ფორმით შედგენა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაციის გაცნობის შემდეგ, სააპელაციო სასამართლოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ამ მტკიცებულების მიმართ უყალიბებს იმგვარ შინაგან რწმენას, რომელიც ნამდვილად ვერ იქნება ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლო; კერძოდ, ეს გულისხმობს იმას, რომ ამ სამსახურებრივ ბარათში მოყვანილი გარემოებები, საქმის სხვა მასალებისა და მოცემული ეტაპისათვის ცნობილი გარემოებების ყოველმხრივი და ობიექტური ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გასაჩივრებული აქტის გამოცემის დროისათვის არც არსებულა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ შტატის შემცირების შედეგად მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, რათა დაინტერესებული პირისთვის ცნობილი გახდეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადანყვეტილება, ასეთ დროს ის ვალდებულია გადანყვეტილებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ შესაბამისი აქტის გამოცემისას. გასაჩივრებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება კი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას და არ იძლევა გადანყვეტილების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადანყვიტა საკითხი და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სადავო საკითხის გადაუწყვეტლად მართებულად ცნო ბათილად მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება და მოპასუხე სამინისტროს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ა. რ.-ას მიმართ კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა. ამდენად, არ არსებობდა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, სასამართლომ ბათილად ცნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე. მსგავსი გადანყვეტილების მიღება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება, შეფასებისა და მოქმედების თავისუფლება ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემისას, რაც მან ჯეროვნად ვერ გამოიყენა და რის შესახებ გადაწყვეტილებასაც ვერ მიიღებს სასამართლო მანამ, სანამ ადმინისტრაციული ორგანო ჯეროვნად არ გამოიკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

კასატორი მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ სადავო საკითხის თაობაზე ჩატარდა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 53-ე მუხლებით დადგენილი წესის სრული დაცვით. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ნათლად ჩანს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ყველა იმ გარემოებებისა და მტკიცებულებების გამოკვლევის, ურთიერთშეჯერებისა და შეფასების საფუძველზე, რაც წარმოდგენილ იქნა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ სამინისტროს მიერ ა. რ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული და მიღებულ გადაწყვეტილებაში არ ჩანს, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო სამინისტრომ სადავო გადაწყვეტილება. კასატორი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ შესაგებელში, ასევე სასამართლოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებასა და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც კი ცხადი და ნათელია, რომ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეყრდნობა ა. რ-ას უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციას (2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათი), რომელიც ყოველდღიურად ახორციელებდა ზედამხედველობას მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებზე, ყველაზე კარგად იცნობდა მათ კვალიფიკაციას, უნარ-ჩვევებს, თავისებურებებს, მიცემული დავალებების შესრულების ხარისხს, მათ მიერ აღებული პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების ოდენობას, მნიშვნელობას და კონკრეტული სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ საჭიროებასა და პოტენციალს. ვინაიდან, შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა უკავშირდება მუშაკთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს დისკრეციას, შეფასების თავისუფლებას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ. შეფასება, სამინისტრო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო სწორედ იმ თანამდებობის პირის რეკომენდაციას, რომელსაც ჰქონდა ყველაზე მეტი შემხებლობა და ინფორმაცია მოსარჩელის საქმიანობასთან.

გარდა ზემოხსენებულისა, კასატორი არ ეთანხმება სააპელა-

ციო სასამართლოს პოზიციას, რომ ა. რ-ასათვის არ იყო ცნობილი და სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ არის განმარტება იმ სამართლებრივი და ფაქტობრივი მიზეზებისა და გარემოებების თაობაზე, რაც გახდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №318-კ ბრძანება, სამინისტროს დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №614 დადგენილება და მ. ჩ-ას 2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათი. თავის მხრივ, ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტებსა და მოხსენებით ბარათში განმარტებულია შტატების შემცირებისა და ა. რ-ას გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ის მიზეზები და გარემოებები, რაც სასამართლოს მოსაზრებით არ ასახულა სამინისტროს მიერ მიღებულ სადავო გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება დასაბუთებულია როგორც სამართლებრივად, ასევე ფაქტობრივად და სააპელაციო სასამართლო ვერ ასახელებს იმ რეალურ სამართლებრივ და ფაქტობრივ მიზეზებს, რაც შესაძლოა გამხდარიყო ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების დროს ყურადღება ძირითადად იმ გარემოებაზე იქნა გამახვილებული, რომ ა. რ-ასა და ხ. გ-ას გამოცდილებას შორის თითქმის არ არის სხვაობა, შესაბამისად, განმარტა, რომ სამინისტროს განსაკუთრებით ამ კუთხით უნდა მოეხდინა საკითხის ხელახლა შეფასება და შესწავლა, თუ რატომ უნდა შემცირებულიყო ა. რ-ას შტატი და არა იმავე სამუშაო გამოცდილების მქონე სხვა უფროსი სპეციალისტისა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გარდა სამუშაო გამოცდილებისა, შტატის შემცირებისა და მოხელის გათავისუფლების დროს მნიშვნელობა ენიჭება ასევე იმ უნარ-ჩვევებს, კონკრეტულად ამ მოხელის საჭიროებასა და საქმიანობის სხვა თავისებურებებს, რაც ვლინდება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს და რის თაობაზეც, მ. ჩ-ას მოხსენებით ბარათში არის გაკეთებული განმარტებები და რაც მხედველობაში იქნა მიღებული სადავო გადაწყვეტილების მიღებისას.

ამასთან, კასატორი განმარტავს, რომ სამინისტროს ჰქონდა აბსოლუტური ლეგიტიმური უფლებამოსილება განეხორციელებინა რეორგანიზაცია და შემცირებინა კონკრეტული საშტატო ერთეულები, შესაბამისად, გაეთავისუფლებინა ამ საშტატო ერთეულზე დანიშნული თანამშრომლები. სამინისტრო მოქმედებდა კანონით გათვალისწინებულ ნორმათა დაცვით, შესაბამისად, არ უნდა

იქნეს გაზიარებული მოსარჩელის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მისი გათავისუფლება მოხდა უკანონოდ.

კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-166-165(კ-16) საქმეზე გაკეთებულ განმარტებაზე, რომლის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე კანონის 97-ე მუხლი იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფრთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს.

ამდენად, კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, რეორგანიზაცია შტატების შემცირებით, საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე, იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიციური კადრით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს საშუალო ერთეულის ოპტიმიზაციის შესაძლებლობა და ხელი არ უნდა შეეშალოს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონირებას.

კასატორი ასევე ყურადღებას ამახვილებს ა. რ.-ას მიერ დაკავებული საშუალო ერთეულის შემცირებაზე და აღნიშნავს, რომ ამ გადანყვეტილების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს თავად სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის პოზიცია, რომელიც ემყარება მისთვის დაქვემდებარებულ ორგანოში მომუშავე თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და თვისებების შედარებით ანალიზს. მ. ჩ.-ას 2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათის თანახმად, მან მიზანშეწონილად სწორედ ა. რ.-ას გათავისუფლება მიიჩნია იმ მიზეზით, რომ მასთან შედარებით დანარჩენ 5 უფროს სპეციალისტს – ჯ. ნ.-ას, რ. ნ.-ას, ბ. ქ.-ას, ნ. მ.-ასა და ხ. გ.-ას უკეთესი საშუალო ერთეულის მუშაობის მისია, არიან კომუნიკაბელურები, შესწევთ გუნდურად მუშაობის უნარი და გააჩნიათ უკეთესი კვალიფიკაცია.

ამდენად, კასატორი განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული

უფლებამოსილების ფარგლებში, რა დროსაც მან სრულყოფილად შეაფასა საქმის გარემოებები და მხოლოდ მას შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი მიიჩნევს, რომ სააკელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, ხოლო არსებული დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააკელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №406-კ ბრძანების თანახმად, ა. რ-ა დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-



ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე სამთვიანი გამოსაცდელი ვადით, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 დეკემბრის №312-კ ბრძანებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2017 წლის იანვარში დაგეგმილი რეორგანიზაციის და თანამდებობების შესაძლო შემცირების შესახებ, გაფრთხილებულ იქნენ სამინისტროს, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა და აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეები.

2016 წლის 2 დეკემბერს განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით ა. რ.-ას ეცნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 დეკემბრის №312-კ ბრძანების შესახებ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №318-კ ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანდართული საშტატო ნუსხები (იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა – დანართი №1, აჭარისა და სამეგრელო-ზემოსვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა – დანართი №2). დანართი №2-ის თანახმად, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს საშტატო ნუსხა განისაზღვრა 8 პირით, მათ შორის – უფროსი 1 შტატი, უფროსის მოადგილე 1 შტატი, მთავარი სპეციალისტი 1 შტატი, უფროსი სპეციალისტი 5 შტატი. ამავ ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 აპრილის №99-კ ბრძანება.

აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მ. ჩ.-ას 2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რე-



ორგანიზაციის ფარგლებში, ოპტიმიზაციის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში არსებული უფროსი სპეციალისტის 6 საშტატო ერთეული შემცირებულიყო 1 საშტატო ერთეულით და დღემდე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები განეხორციელებინა 5 უფროს სპეციალისტს. ამავე მოხსენებითი ბარათის თანახმად, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთის უფროსი სპეციალისტის 6 საშტატო ერთეულზე დანიშნულები იყვნენ: ა. რ-ა, ჯ. ნ-ა, რ. ნ-ა, ბ. ქ-ა, ნ. მ-ა და ხ. გ-ა. აღნიშნული 6 მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მ. ჩ-ამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ უნდა მომხდარიყო უფროსი სპეციალისტის – ა. რ-ას თანამდებობიდან გათავისუფლება, რადგან დანარჩენ 5 სპეციალისტს – ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას, ნ. მ-ას და ხ. გ-ას სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე უკეთ ესმოდათ სამმართველოს მუშაობის მისია, იყვნენ კომუნიკაბელურები და შესწევდათ გუნდური მუშაობის უნარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანების თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტი ა. რ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2017 წლის 3 იანვრიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო აქტის, 30-ე მუხლით, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს

სამუშაო“.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიძე-ლი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დამუშავება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, 29-ე მუხლის მე-2

პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, ნახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებული არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულიებას იღებენ აღიარონ:

ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებუ-

ლი უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით;

ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შენაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ, მუშაკის რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულობის ხარისხს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ზემოხსენებულ უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და, შესაბამისად, სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის კონკრეტულ სამსახურებთან მიმართებით მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე,

რომლის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. ამავე კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ატესტაციის შედეგები.

ამასთან, ამავე კანონის 97-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დადგენილ პრაქტიკაზე, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 8 ივლისის №ბს-449-442(კ-15) გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება, წარმოადგენს რეორგანიზაციას. ამავე გა-

დანყვეტილების თანახმად, საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, ან/და ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და ა.შ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტატი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ, იყოს იმავე იერარქიულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და ითვალისწინებდეს იმავე უფლება-მოვალეობების შესრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოხელის გასათავისუფლებლად აუცილებელია რეორგანიზაციას თან სდევდეს შტატების შემცირება, ხოლო საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როდესაც ფუნქციური დატვირთვით ამგვარი შტატი აღარ არსებობს. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც შტატები სრულად არ უქმდება, უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ერთსა და იმავე პოზიციაზე დანიშნული რომელი მოხელე გაათავისუფლოს და რომელი დატოვოს თანამდებობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანაღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.



ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის №ბს-166-165(კ-16) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ როორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიკაციური კადრის დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება. შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა, უკავშირდება მუშაკთა უნარჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პრობებში ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება.

საქმის მასალების თანახმად დასტურდება, რომ ა. რ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანებას საფუძვლად დაედო აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსის მ. ჩ-ას 2017 წლის 3 იანვრის №05-13 მოხსენებითი ბარათი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, უფროსი სპეციალისტის 6 საშტატო ერთეულზე დანიშნულები იყვნენ: ა. რ-ა, ჯ. ნ-ა, რ. ნ-ა, ბ. ქ-ა, ნ. მ-ა და ხ. გ-ა. დასახელებული 6 მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მ. ჩ-ამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ უნდა მომხდარიყო უფროსი სპეციალისტის ა. რ-ას თანამდებობიდან გათავისუფლება, რადგან დანარჩენ 5 სპეციალისტს – ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას, ნ. მ-ას და ხ. გ-ას სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, უკეთ ესმოდათ სამართველოს მუშაობის მისია, იყვნენ კომუნიკაბელურები და შესწევდათ გუნდური მუშაობის უნარი. თუმცა საქმეში წარმოდგენილი ჯ. ნ-ას, რ. ნ-ას, ბ. ქ-ას, ნ. მ-ას და ხ. გ-ას CV-ების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა მოხდეს ექვსი მოხელიდან იმ 5 პირის შერჩევა, რომლებიც კადრების შემცირების გამო დარჩენილი ადგილების მიხედვით სარგებლობენ უპირატესი დარჩენის უფლებით მათი სამუშაო გამოცდილების, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს საქმის მა-



სალებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №406-კ ბრძანების თანახმად, ა. რ-ა დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე სამთვიანი გამოსაცდელი ვადით, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება – უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ა. რ-ასთვის დაკავებულ თანამდებობაზე სამთვიანი გამოსაცდელი ვადის გაგრძელებას დაადასტურებდა. თავის მხრივ, მსგავსი შინაარსის დოკუმენტის საქმის მასალებში არარსებობის პირობებში, ა. რ-ას 2015 წლის 1 ოქტომბრისათვის დაკავებული თანამდებობიდან 2017 წლის 3 იანვარს გათავისუფლება მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელეს გამოსაცდელი ვადა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმატებით ჰქონდა გადალახული, შესაბამისად, გათავისუფლების მომენტი-სათვის იგი აღარ იმყოფებოდა გამოსაცდელ პერიოდში და ამდენად, სრულად სარგებლობდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოხელის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოხელის გამოსაცდელ პერიოდში და გამოსაცდელი პერიოდის შემდგომ გათავისუფლების საკითხის კანონიერების შემოწმების კუთხით ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე სასამართლო კონტროლის განსხვავებული ფარგლები ვრცელდება. გამოსაცდელი პერიოდი, თავისი შინაარსით, ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას დააკვირდეს მოხელის საქმიანობას და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის, მისი ეფექტურობის მიხედვით, თავად განსაზღვროს მოხელის მიერ კონკრეტულ თანამდებობაზე საქმიანობის სამომავლოდ გაგრძელების პერსპექტივები. თავის მხრივ, გამოსაცდელი პერიოდის არსებობა გამორიცხავს მოხელესა და დამსაქმებელს შორის სრული ხარისხის ნდობის არსებობას, რამდენადაც გამოსაცდელ პირობებში მოხელის მოქცევით საჯარო დაწესებულება მასზე სადამკვირვებლო რეჟიმის გავრცელებას ახდენს, რაც ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოხელის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მოხელის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ სრული ნდობის არარსე-

ბოზაზე მიუთითებს. ასეთ ვითარებაში, გამოსაცდელი პერიოდის დასრულების შემდგომ საჯარო დაწესებულება მოხელის თანამდებობაზე დატოვებისა თუ მისი გათავისუფლების, როგორც ორი ალტერნატიული, კანონიერი შედეგის მიმართ აღიჭურვება დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც იგი ერთპიროვნულად წყვეტს მოხელესთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების მიზანშეწონილობას. შესაბამისად, გამოსაცდელ ვადაში დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობის სამომავლოდ გაგრძელებისადმი ნდობის სრული ხარისხით არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ შეიჭრება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში და თავად ვერ განუსაზღვრავს მას გამოსაცდელი პერიოდის შედეგების საფუძველზე არასასურველად მიჩნეული პირის კონკრეტულ თანამდებობაზე საქმიანობის მიზანშეწონილობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის გაგრძელება მოხელის მიერ აღნიშნული პერიოდის წარმატებით გადალახვაზე მეტყველებს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლებისას იზრდება საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტიც.

საკასაციო სასამართლო განსახილველ დავასთან მიმართებით ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ა. რ-ა გათავისუფლების მომენტიდან ალარ იმყოფებოდა გამოსაცდელ პერიოდში. ამდენად, მართალია, ასეთ ვითარებაშიც კი საჯარო დაწესებულება ა. რ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების დროს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს მისი მხრიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით მოხელის სამსახურიდან დაუსაბუთებელი ან სათანადო დასაბუთების არმქონე გადაწყვეტილების საფუძველზე გათავისუფლების დაშვებას. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ არის აბსოლუტური და იგი სწორედ აღნიშნული კანონმდებლობითვე დაშვებულ შეზღუდვას ექვემდებარება, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტილებიდან მის მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება სათანადო, ადეკვატურ და ობიექტურ გარემოებებს დააფუძნოს და ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებებით გაამყაროს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოხელის

თანამდებობიდან განთავისუფლება(, მით უფრო შტატების შემცირების საფუძვლით, რა დროსაც კონკრეტულ პირთა თანამდებობაზე შენარჩუნება საუკეთესოს შერჩევის პრინციპით უნდა წარიმართოს, ობიექტურ, ცხად და გამჭვირვალე პროცესსა და კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც შედეგობრივად განთავისუფლებულ პირს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სრულად აღიქვას და გაიაზროს მისი განთავისუფლების, ასევე, მასთან შედარებით სხვა კონკრეტულ პირთათვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელებულა მუშაკთა პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინისა და სხვა საჭირო ინფორმაციის ადეკვატური, ობიექტური შეფასება. ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანება დაეფუძნა ერთადერთ დოკუმენტს – შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსის – მ. ჩ-ას მოხსენებით ბარათს, რომელში აღწერილი ინფორმაციაც წარმოადგენდა არა ატესტაციისა თუ სხვა ობიექტური, გამჭვირვალე გზით დადგენილ შედეგს, არამედ მტიკიცებულებებით გაუმყარებელ სუბიექტურ შეფასებას, რომელიც არ შეიძლებოდა მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი გამხდარიყო. ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი სამართლებრივი, ობიექტური მექანიზმის საფუძველზე უნდა მოეხდინა ექვსივე მოხელის პროფესიული უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესწავლა-შეფასება, უნდა გაეთვალისწინებინა ატესტაციის შედეგები (არსებობის შემთხვევაში) და ისე მიეღო გადაწყვეტილება ერთ-ერთი მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული ამგვარი ქმედების კანონიერად მიჩნევა და მისი პრაქტიკაში დამკვიდრება მოხელეთა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლების ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ შეფარვით შელახვის დიდ საფრთხეს წარმოშობს, რამდენადაც აღნიშნული საჯარო დაწესებულებას საშუალებას მისცემს, თუნდაც ფორმალური რეორგანიზაციის ჩატარების მოტივით, მისთვის არასასურველი მოხელე მხოლოდ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით გაათავისუფლოს სამსახურიდან, მაშინ როცა, ამ საკითხზე მსჯელობა მის მიერ სწორედ ზემოაღწერილი მოთხოვნების კვალობაზე უნდა წარიმართოს. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოხელეთა პროფესიული

უნარ-ჩვევები, კვალიფიკაცია, შრომის დისციპლინა და ა.შ. ობიექტურად სწორედ საჯარო დაწესებულების მიერ უნდა შემოწმდეს, რამდენადაც ხსენებული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ ოფლებამოსილებას წარმოადგენს და მისი შეფასება სცდება სასამართლო კომპეტენციის ფარგლებს. ამდენად, საჯარო დაწესებულების მხრიდან ზემოაღნიშნულ ქმედებათა განუხორციელების ფაქტი და მათი განსახილველ დავასთან მიმართებით განხორციელების საჭიროება, ა. რ-ას განთავისუფლების შესახებ მინისტრის გასაჩივრებული აქტის სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხზე ხელახლა მსჯელობის დავალების საფუძველს წარმოშობს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მასზედ, რომ შტატის შემცირების შედეგად მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, რათა დაინტერესებული პირისთვის ცნობილი გახდეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება. ასეთ დროს ის ვალდებულია გადაწყვეტილებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ შესაბამისი აქტის გამოცემისას. გასაჩივრებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება კი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას და არ იძლევა გადაწყვეტილების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ საკითხზე ხელახლა მსჯელობისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, რომ გაუქმდა არა კონკრეტული, ანუ ა. რ-ას სამტატო ერთეული, არამედ, ზოგადად, 6 შტატიდან მხოლოდ ერთი და დარჩა 5 ერთეული, ხოლო გაუქმებამდეც და გაუქმების შემდეგაც ყველა მათგანზე დასაქმებულ პირებს ერთი და იგივე ფუნქციური უფლება-მოვალეობები გააჩნდათ, რაც გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხი უნდა გადაწყვიტოს უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპის საფუძველზე, რაც, როგორც ზემოთ აღნიშნა, უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი, ობიექტური მექანიზმის გამოყენებით.

რაც შეეხება საქმის მასალებში არსებულ მ. ჩ-ას მიერ შედგენილ სამსახურებრივ ბარათს, აღნიშნულით ახსნილია ის მიზეზი, თუ რა დაედო საფუძველად ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლებას. კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ ხ. გ-ა პროფესიით იურისტი

და უკეთ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს. მითითებულ დოკუმენტთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ ა. რ-ას, ისევე როგორც ამ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული მუშაკების, მიერ დაკავებული თანამდებობებისათვის, სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენდა ზოგადად უმაღლესი განათლება და არა კონკრეტულად უმაღლესი იურიდიული განათლება. გარდა ამისა, ხ. გ-ას მიერ ა. რ-აზე უკეთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება არ დასტურდება საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით. ამასთან, აღნიშნული სამსახურებრივი ბარათი (22.08.2017) შექმნილია ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლების (03.01.2017) შემდეგ, უფრო მეტიც, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვის (08.06.2017) შემდეგაც, რაც გულისხმობს იმას, რომ ა. რ-ას სამსახურიდან განთავისუფლების მომენტისათვის ამგვარი მოტივაცია მისთვის უცნობი იყო მისი არარსებობის გამო, რაც აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის დამატებითი საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლობმა სწორად გადაწყვიტეს განსახილველი საკითხი, შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სადავო საკითხის გადაუწყვეტლად მართებულად ცნეს ბათილად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №4-კ ბრძანება და მოპასუხე სამინისტროს დაავალეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ა. რ-ას მიმართ კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)